ალბანეთი

:: ძველი ალბანეთი: ძველი ბერძენ-ალბანელების: ეროვნული-ეთნოგრაფიული: ეკონომიკური ::

893/1996/2

ՔՐԻՍՏՈՍԻ ԾՆՆԴԱՅՆ ԱՐՏԱՀԱՅՈՒԹԻՒՆ - ԱՍՈՒՊԱՏԱՒՈՐՈՅ ՀԱՅԻՆԻՆ

გსურს გაიგო „ვინა ხარ“, უნდა შეიგნო „ვინ იყავ“; გინდა იქცე „რამედ“, უნდა შეიტყო „რა განვლე“; „საითკენ?“ – მიზანმეწევლრია მაშინ, თუ ესეც იცი: „საიდან?“ ისტორია არის არა მარტო ხსოვა წარსულისა – იგი თანვე ქმედითი მონაწილეა მომავლისა.

გრიგოლ რუბაქიძე

1

1996

თბილისი

დასაბამიდან	ԿԹ
ქორონიკონი	ՌՀԶ
ქრისტეს შობიდან	ՌԿԿԴ

ახალგაზრდა ისტორიკოსთა სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალი

არტანუჯი

ალმფუძნებელი — ეროვნული ბიბლიოთეკა „არტანუჯი“

1996 5

ეროვნული ბიბლიოთეკა

რედაქტორ-გამომცემელი

ბუბა კუდავა

სარედაქციო ჯგუფი:

შალვა გლოველი
გიორგი კალანდია
ნინო მიღიშვილი
თემო ჯოჯუა

მხატვარი

მამუკა სულხანიშვილი

კორექტორი

ნინო ნოდია

კორესპონდენტები:

ლევან თაძთაძიშვილი
მარეხ კავთიაშვილი
თეა ქართველიშვილი

ჟურნალ „არტანუჯთან“ არსებული
სარეცენზიო საბჭო:

ტარიელ გვალია
თედო დუნდუა
ვახტანგ ითონიშვილი
მერაბ კალანდაძე
დავით ნინიძე (თავმჯდომარე)
გიორგი ოთხმეზური
პაატა სურგულაძე
დავით ხოშტარია

© არტანუჯი

ჟურნალ „არტანუჯში“ დაბეჭდილი სამეცნიერო სტატიები რეცენზირდება სარეცენზიო საბჭოს მიერ

გამოდის 1994 წლიდან

✉ რედაქციის დროებითი მისამართია: 380028 თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი № 1, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, I კორპუსი, ქართული დიპლომატიის ცენტრი, ოთახი № 201. ☎ 29-31-33, 29-49-23.

ბუბა კუდავა, გიორგი კალანდია	4	ვაება ვაებისა... (არმაზისხევის მუზეუმი დღეს)
	8	მივიწყებული დავითგარეჯი — პრობლემები, რეალობა, პერსპექტივები (ინტერვიუ ბ-ნ ლადო მურ[illegible]ით)

5. 1996

სარკვევი

		საქართველოს ისტორია
მარიამ ზალდასტანიშვილი	17	„მანუილის მოთხრობა აწყურის ხატის შესახებ" (დათარიღებისა და ავტორობის საკითხისათვის)
დავით ნინიძე	22	სამუხრანბატონოსა და მუხრანბატონთა წარმოშობისათვის
იური ჩიქოვანი, სოსო ბიჭიკაშვილი, დავით ნინიძე	29	მუხრანბატონთა გენეალოგიური ტაბულა
თორნიკე ასათიანი	37	საქართველოს გერბი
		მსოფლიო ისტორია
მერაბ კალანდაძე	49	შილერი და ფრონდა
		ეთნოლოგია
ქეთევან შოშიაშვილი	55	მიცვალებულის დატირება-დაკრძალვის რიტუალი ქართველ ებრაელებში (რაჭის ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით)
		კულტურის ისტორია
დავით ხოშტარია	60	ქალაქი არტანუჯი და მისი სიძველენი
		რეზიუმე
	76	Abstracts
		კრწანისის ბრძოლა — 200
ნინო მიწიშვილი	78	კრწანისის ბრძოლა — ეპოქის დასასრული
		სერგი მესხი — 150
სერგი მესხი	83	მცხეთის აკლდამები
		ინფორმაცია
	86	ახალი წიგნები
		საახალწლო ისტორია
ნინო ქავთარია	88	„მომღერალი" ქანდაკება
	91	კროსვორდი
	94	იუმორი, მეგობრული შარჟები

ვაება ვაებისა...

არმაზისხევის მუზეუმი დღეს

„მე ვარ სერაფიტი, ასული ზევახისა, მცირისა პიტიახშისა ფარსმან მეფისა, მეუღლე იოდმანგანისა — ძლევამოსილისა და მრავალი გამარჯვების მომპოვებელი ეზოსმოძღვრისა ქსეფარნუგ მეფისა, ძისა აგრიპა ეზოსმოძღვრისა ფარსმან მეფისა. ვაება ვაებისა. ის, ვინც იყო ახალგაზრდა და იმდენად კეთილი და მშვენიერი იყო, რომ არაუინ იყო მსგავსი სილამაზით და გარდაიცვალა 21 წლისა."

ალბათ გეცნოთ არმაზის ბილინგვის ტექსტი.

18 საუკუნის წინ ამოუკვეთავთ ეს ეპიტაფია.

დღეს კი ამ ადგილას არმაზისხევის საველე მუზეუმია შექმნილი.

სამწუხაროა, მაგრამ ეპიტაფიის სევდიან ტონს არმაზისხევის მუზეუმის სევდისმომგვრელი, უფრო მეტიც, სავალალო მდგომარეობა ეხმიანება.

არმაზისხევი — „დიდი მცხეთის" ერთ-ერთი უბანი, ქართლის მეფეთა ერისთავების (პიტიახშების) რეზიდენცია. 1937-1946 წლებში აქ არქეოლოგიური გათხრები წარმოებდა. ყველას კარგად მოგვეხსენება, თუ რაოდენ ფასეულია არმაზისხევში მოპოვებული უნიკალური არქეოლოგიური მასალა საქართველოს ისტორიისათვის. თუნდაც ზემოალნიშნული არმაზის ბილინგვის დასახელებაც კმარა საილუსტრაციოდ.

მოგვიანებით, გათხრების დასრულების შემდეგ, ტერიტორია მაღალი ავურის კედლით შემოიღობა და შეიქმნა არმაზისხევის საველე მუზეუმი. აიგო დიდი შენობა, რითაც გადაიხურა II-III საუკუნეების არმაზისხევის აბანო — ერთ-ერთი უძველესი აბანო საქართველოს ტერიტორიაზე. მიწის დონიდან ამაღლდა და გამაგრდა ერისთავთა სასახლის ნაშთები. გაიწმინდა სარკოფაგები. გამწვანდა მუზეუმის ტერიტორია და რაც მთავარია, აშენდა ორი შუშაბანდიანი, მოგრძო პავილიონი.

ერთ-ერთ მათგანში მოთავსდა ახლომდებარე ეკლესიებიდან და საერთოდ, მიმდებარე ტერიტორიიდან მოტანილი ქართული ექსპონატები — ორნამენტიანი თუ წარწერებიანი ქვები, რელიეფური ჯვრები, ბარელიეფები, ძველი, ჩუქურთმიანი კანკელის ნაწილები,

ტიმპანები, ლამაზი სვეტისთავები და ბაზისები, სარკმლისა და კარის შემკულობები, ეკლესიის მცირე გამოსახულებები (ტაძრის სახურავზე აღსამართავი), საფლავის ქვები, სამეურნეო დანიშნულების ქვის ნივთები — საცეხველები, საფქვავები, დოლაბის ქვები...

მეორე პავილიონში საქართველოში მცხოვრები სხვა ხალხების მიერ შექმნილი ხელოვნების ნიმუშებია წარმოდგენილი — რელიეფური გამოსახულებები, სტელეტები, ხაჩქარები, არაბულწარწერიანი, შვეულად აღსამართავი საფლავის ქვები, საფლავის ქვის ზოომორფული, ცხვრის გამოსახულებიანი ქანდაკებანი...

აღსანიშნავია ისიც, რომ ზოგიერთი ორნამენტი, ბარელიეფი თუ ეპიგრაფიკული ძეგლი მუზეუმში ასლით არის წარმოდგენილი, როგორც მაგალითად სერაფიტას ორენოვანი ეპიტაფია.

ერთი სიტყვით, შექმნილი იყო მშვენიერი შესაძლებლობა იმისა, რომ არმაზისხევის საველე მუზეუმი გადაქცეულიყო სიძველეების მოყვარულთათვის საინტერესო და საყვარელ ადგილად, დათვალიერებისა და გართობის ცენტრად. როგორც ჩანს, ასეთი ცენტრი აქ ოდესღაც მართლაც არსებობდა. სწორედაც რომ „არსებობდა", რადგან იმას, რაც დღეს არმაზისხევში რეალურად არის, ძნელია „მუზეუმი" უწოდო.

რითი შეიძლება განისაზღვროს XX საუკუნის ბოლოს ერის ცივილიზირებულობა? ალბათ რიგითი მოქალაქის ფსიქოლოგიით — მარადიულ ფასეულობათა აღქმისა და დაფასების უნარით...

არმაზისხევის მუზეუმის ვიტრინებს ნატყვიარების რიგები გასდევს...

რითი შეიძლება განისაზღვროს საუკუნის ბოლოს ერისა და სახელმწიფოს სიძლიერე? ალბათ იმითაც, თუ რაოდენ კეთილსინდისიერად ასრულებს თითოეული მოქალაქე თავის მოვალეობას...

არმაზისხევს არ ჰყავს პატრონი, იგი ახლა გულგრილობის სარკეა მხოლოდ:

ჩამტვრეულია მუზეუმის თითქმის ყველა მინა (ნამსხვრევების ნაწილი ექსპონატებზეც არის დაყრილი). მუზეუმისათვის აუცილებელ მუდმივ ტემპერატურას ვინღა ჩივის, ელემენტარულად — ექსპონატებს აწვიმს და ათოვს (!). რამოდენიმე ადგილას პავილიონის ჭერი გარღვეულია, სხვაგან კი ავბედითად არის ჩამოზნექილი. სინესტისაგან ჭერი და კედლები ჭაობისფერი გამხდარა. ცვივა შელესილობა, ჭერიდან ჩამოყრილი კენჭები აზიანებს ექსპონატებს. ამინდის ზემოქმედების გამო ხელოვნების ზოგიერთი ნიმუში

პავილიონის ნაწილი. მოჩანს გარღვეული ჭერი. ნესტიანი ჭერიდან და კედლებიდან ცვივა ბათქაში.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა



პავილიონის ნაწილი

ექსპონატები პავილიონში



ეკალ-ბარდებით დაფარული სამარხი

საბოლოოდ არის დაშლილი, მათ უკვე ალარაფერი ეშველება. ჩუქურთმიანი ქვები ერთმანეთზე უსისტემოდ არის დაყრილი. დამტვრეული ექსპონატები უკვე ძნელი ასაწყობია, მათი ნაწილები ხვადასხვა ადგილებშია გაბნეული. შიგ პავილიონში აქაიქ ბალახები ამოსულა. ... ... საჭონლის ნეხვიც (!) კი გვხვდება ექსპონატებთან (საველე მუზეუმის ტერიტორიაზე ხშირად ნახავთ საბალახოდ შემორეკილ ძროხებს). ეზო მოფენილია ანწლითა და ეკალ-ბარდებით, სამარხებში ბუჩქებია ამოსული...

იბადება კითხვა: სად არის გამოსავალი?

ყველაზე უფრო საშური და მისასალმებელი, მაგრამ ალბათ დღესდღეობით განუხორციელებელი გზა ის არის, რომ სახელმწიფომ (ან იმ დაწესებულებამ, რომელსაც ეს პირდაპირ ეკალება), ან თუნდაც რომელიმე კერძო პირმა მუზეუმის აღდგენისთვის საჭირო თანხა გამონახოს. მეორე, უფრო იოლი, მაგრამ „ნაკლებმიმზიდველი" გამოსავალია ექსპონატების დროებით გადატანა ნებისმიერ (თუნდაც ახლომდებარე, სულ რაღაც 2-3 კილომეტრით დაშორებულ მცხეთის) მუზეუმში. პრობლემის მოგვარება შესაძლებელია, თუკი ჭეშმარიტი გულშემატკივარი გამოუჩნდება არმაზისხევს...

მანამდე კი...

საუკუნეები იმზირება არმაზისხევის მუზეუმის ჩალეწილი პავილიონებიდან... დაკინვის ღირსია ჩვენი საუკუნე, რომელმაც დიდის მონდომებით ამოართვა მიწას კუთვნილი განძი და დღითიდღე, აწ უკვე განადგურებული სახით, კვლავ მიწას უბრუნებს მონაპოვარს. განა შორს წავა ხალხი, რომელიც ისტორიის ნგრევით ატარებს აწმყოს? ან ხვალ რა მომავალს ააშენებს ბავშვი, დღეს რომ ჩუქურთმების ნამსხვრევებზე დადის?

20 საუკუნე იმზირება არმაზისხევის მუზეუმის ჩალეწილი პავილიონებიდან...

ჩანს მშველელი?..

„არტანუჯის" რედაქციის სახელით

ბუბა კუდავა,

გიორგი კალანდია



ეროვნული ბიბლიოთეკა

არმაზისხევის საკელე მუზეუმი. საერთო ხედი მთის ფერდობიდან. მარცხნივ მოჩანს პავილიონები, მარჯვნივ – გადახურული აბანო და ჰიგიენურთა სასახლის ნაშთები.



დამსხვრეული ეჭპონაგი (ალექსანდრე ბაგონიშვილის მეულის – მარიამის საფლავის ქვა).

საუკუნეები იმზირება არმაზისხევის მუზეუმის ჩალეწილი პავილიონებიდან...

მივიწყებული დავითგარეჯი

პრობლემები, რეალობა, პერსპექტივები

(ინტერვიუ ბ-ნ ლადო მირიანაშვილთან)

— ბ-ნო ლადო, რამ განაპირობა იქვეყნა ჩართვა დავითგარეჯის საამონასტრო კომპლექსის გადარჩენის საქმეში და როგორ დაიწყო აღნიშნული პროცესი?

— ეროვნული მოძრაობის აღმავლობის პერიოდში ახალგაზრდობის უმეტესი ნაწილი სრული თავდადებით, მაგრამ იმავდროულად დავითგარეჯის საამონასტრო კომპლექსის პრობლემათა მრავალმხრივობის გაუცნობიერებლად მიაწყდა ამ წმინდა საგანს. იმ დროისათვის უნიკალური ძეგლის პრობლემების მოგვარება ფაქტიურად მხოლოდ საბჭოთა პოლიტიკის გაუქმებასთან იყო გაიგივებული. საწყისი ეტაპისათვის ამას თავისი გამართლება ჰქონდა. გარეჯი რუსეთის იმპერიის მიმართ პროტესტის გამოხატვის ერთგვარ საჯიდაო ქვად იქცა. ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ 1991 წლის ოქტომბერში გარეჯის საამონასტრო პოლიტიკის გაუქმებით მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია. საამონასტროებს 36000 ჰექტარი მიწა ჩამოერთვათ. უკიდეგანო ყარაიას ველზე შეწყდა სროლის ხმა და ხიჩუმემ დაისადგურა. დასმული ამოცანა შესრულდა, შემდგომი მიზანი კი არ ჩანდა და ეს კუთხეც სწრაფად დაივიწყეს.

მართალია ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი მოგვარდა, მაგრამ დავითგარეჯის პრობლემები არ გამქრალან. მათთან პირისპირ დარჩნენ ძეგლის ყოველდღიური გულშემატკივარნი მეტად რთულ ეკონომიკური პირობების ფონზე. მე ვგულისხმობ იმ პირებს, რომლებიც საამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით დავითის ლავრის მიმდებარე ტერიტორიაზე ცხოვრობენ. ისინი ძალების უკიდურესი დაძაბვის ფასად ახერხებდნენ გარეჯში მუდმივად ყოფნასა და მასზე მზრუნველობას. აუცილებელი იყო ძეგლის ფაქტიურად ერთადერთ ჭირისუფალთა მხარეში ამოდგომა, რადგან ესოდენ დიდი ტვირთის ზიდვა მხოლოდ ერთეულ პიროვნებათა ენთუზიაზმის ხარჯზე ხანგრძლივად შეუძლებელი იქნებოდა. ფინანსური სახსრების მოძიებისა და საქმიანობის ორგანიზების აუცილებლობიდან გამომდინარე, გაგვიჩნდა აზრი ჩამოგვეყალიბებინა არასამთავრობო ორგანიზაცია და 1994 წლის ივნისის დამდეგს საფუძველი ჩავუყარეთ

ფონდ „უდაბნოს“ (გოგიტა ბუხაიძე, დავით გოცაძე, ბესო გულაშვილი, ლადო მირიანაშვილი. მოგვიანებით შემოგვიერთდნენ თემო ჯოჯუა და მინდია შუშანაშვილი).

ფონდმა პირველი ნაბიჯები გადადგა აშშ არასამთავრობო ორგანიზაცია „ISAR-Georgia“-საგან მიღებული გრანტის წყალობით, რომელიც გადმოგვეცა კონკურსში გამარჯვებული პროექტის განსახორციელებლად. მიღებული თანხა მოხმარდა ახალგაზრდობის ეკოლოგიური განათლების დონის ასამაღლებელი სკოლა-სემინარებისა და გარემოსდაცვითი ღონისძიებების ჩატარებას, ძეგლის შესწავლასა და [illegible]ციას, აგრეთვე შუზეუმ-საკრძალისა და სეისმური სადგურის თანამშრომელთა-საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას.

საწყის ეტაპზე დავიწყეთ ძეგლების, ფლორისა და ფაუნის წარმომადგენელთა აღნუსხვა, რათა მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე დაგვესახა ყველაზე საშური სამოქმედო საქმეები. ამ მიზნით მოვაწყვეთ ზოოლოგიური (არასამთავრობო ორგანიზაცია „მცირე ცხოველების შესწავლისა და დაცვის ცენტრის“ მონაწილეობით) და მხარეთმცოდნეობითი ექსპედიციები. აღმოჩნდა, რომ, რეალურად, დავითგარეჯი სრულყოფილ შესწავლას და არსებული მასალის სისტემატიზაციას მოითხოვდა. მაგალითად, არასწორად იყო ლოკალიზებული და შეუსწავლელი რჩებოდა ე. წ. „ოთხი სენაკები“. მოძველებული იყო მონაცემები გარეჯის მრავალმთაში გავრცელებულ მცენარეთა და ცხოველთა სახეობების შესახებ. დავითგარეჯთან დაკავშირებული საკითხები შესწავლილი იყო განცალკევებულად, ერთმანეთთან კავშირის გაუთვალისწინებლად. ეს შეიძლება შევადაროთ მოზაიკური სურათის აღქმის მცდელობას შემადგენელი ცალკეული ფრაგმენტების ანალიზის საფუძველზე, მაგრამ ერთობლივი მხატვრული ეფექტის გაუთვალისწინებლად.

— რას გულისხმობს თქვენი მუშაობის მეორე ეტაპი? მოპულარიზაციასა და ახალგაზრდობის აქტიურ ჩაბმას ფონდის მუშაობაში?

— დავითგარეჯში უკვე ჩავატარეთ ეკოსემინარი (1994 წლის 26 სექტემბერი — 7 ოქტომბერი) თბილისის სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისათვის და ეკოსკოლა (1994 წლის 16-25 ნოემბერი) თბილისის საშუალო სკოლების უფროსკლასელთათვის. მიზნად გვქონდა ეკოლოგიური საკითხებით ახალგაზრდობის

ქვაბოვანი მონასტერი „უდაბნო“. საგრაპეშო. მსატვრობა განეკუთვნება X-XI საუკუნეებს. სვეტებზე გამოსახულია წმ. მესვეტეთა — სვიმეონ დიდისა და სვიმეონ მცირეს ფრესკები.



უდაბნოს ქედი (საქართველო-აზერბაიჯანის ღღეევანდელი ადმინისტრაციული საზღვარი). ხედი აზერბაიჯანის ტერიტორიიდან. მარცხნივ ჩანს ქვაბოვანი მონასტრის – „ჩიჩხიტურის“ გვიანი შუა საუკუნეების კომპი. საბჭოთა საქართველოს ხელმძღვანელობის უნიათობის გამო საქართველო-აზერბაიჯანის სასაზღვრო ხაზმა მდ. მტკვრიდან თანდათან ჩრდილოეთით გადმოიჭიჭა რამდენიმე ათეული კილომეტრით და ბოლოს სურათზე ნაჩვენებ უდაბნოს ქედზე გაიარა. რის გამოც ქვაბოვანი მონასტრები – „ბერთუბანი“, „უდაბნო“ და ნაწილობრივ „ჩიჩხიტურიც“ აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მოექცა.

ქვაბოვანი მონასტერი „ჩიჩხიტური“. კლდეში ნაკვეთი საფეხურები.

ქვაბლეანი მონასტერი „წმ. დავითის ლავრა". კლდის ფერდობზე ნაკეთი უნიკალური წყალშემკრები სისტემა და სასწაულმოქმედი წყარო „დავითის ცრემლები".

დაინტერესება და გარკვეული პრაქტიკული ჩვევების გამომუშავება. სტუდენტებმა გაწმინდეს დავითის ლავრის წვიმის წყლის შემკრები სისტემის კლდეში ნაკვეთი ერთ-ერთი ჭა, რამაც შეუმსუბუქა უწყლობის პრობლემა დავითის ლავრაში მყოფ იმ დროისათვის ერთადერთ ბერსა და მუზეუმ-ნაკრძალის თანამშრომლებს. ხემანარის მონაწილეებმა დასუფთავეს აგრეთვე მონასტრის ტერიტორია. მოსწავლეებმა გაიყვანეს თხრილი ელექტროკაბელის ჩასადებად, რომლითაც დავითის ლავრას დენი მიეწოდა. გითრეობის დღეს წინამძღვარმა მაცა ნათმა წირვა ჩაატარა და ბავშვები აზიარა. სხვათა შორის, მოგვიანებით, ტესტირებისას, ბავშვების უმრავლესობამ ყველაზე დასამახსოვრებლად სწორედ ეს დღე მიიჩნია.

საქართველოს ტელევიზიის საშეცნიერო-პოპულარული პროგრამების რედაქციასთან ერთად ფონდმა მოამზადა ჰუთნაწილიანი დოკუმენტური ფილმი, რომელიც 1995 წლის აგვისტოს თვეში გადაიცა პირველი არხით. ფილმებში გაშუქებული იყო მხარის უნიკალური ბუნება, კლდის ძეგლები, ფრესკული მხატვრობა.

დასვა სასაზღვრო პრობლემაც. ბერთუბნის დაბრუნება ალბათ მეტად რთულია, მაგრამ რაც შეეხება მოხატულობის თვალსაზრისით უმდიდრეს უდაბნოს (მას „მოხატულსაც" უწოდებენ) და ჩიჩხიტურის მონასტრებს, რომლებიც უდაბნოს ქედის ოხემზე გაძავალი საზღვრის გადაღმა, აზერბაიჯანის კუთვნილ საძრეთ კალთაზე მდებარეობენ, მოგვარებადია. სამთავრობო დონეზე უნდა დასვას სახელმწიფო საზღვრის უდაბნოს მთის ძირში გატარებისა და ბერთუბნის, რითაც ისტორიული ძეგლის საქართველოს დაქვემდებარებაში გადმოსვლის საკითხი, რათა ჩვენს სპეციალისტებს ძეგლზე მუშაობის საშუალება მიეცეთ. სასურველია დღის წესრიგში დადგეს მონასტრით დაკავებული ტერიტორიის გაცვლის საკითხი ანალოგიურ, თუნდაც უფრო ნაყოფიერ ფართობზე. ასეთი მცდელობა უკვე იყო, მაგრამ, სამწუხაროდ, შედეგი არ გამოიღო.

ფონდმა მოამზადა და გამოსცა ორენოვანი (ქართულ-ინგლისური) კრებული „დავით-გარეჯი", რომელშიც პოპულარულადაა მოთხრობილი გარეჯის ისტორიაზე, არქიტექტურასა და ფრესკულ მხატვრობაზე, მონასტერ თეთრ სენაკებში ჩატარებული მხარეთმცოდნეობითი ექსპედიციის შედეგებზე, ადგილობრივ ფლორასა და ფაუნაზე.

მეტად დიდი იყო ინგლისელ მეცნიერთა დაინტერესება დავითგარეჯით, რომლის ისტორიასა და ფრესკული მხატვრობის შედევრებზე ოქსფორდის უნივერსიტეტში 1995

ქვაბოვანი მონასტერი „თეთრი სენაკები". ცენტრალური ეკლესიის ფასადი. ბერმონაზონებისაგან დაცლილი ეკლესია და მის წინ მდებარე ტერასა (იხ. მარჯვნივ) საუკუნეების განმაველობაში მემოგახილმა მლამმა თითქმის პირთამდე ამოავსო.

წლის თებერვალში ჩემს მიერ წაკითხული ერთსაათიანი ლექციის მეშვეობით შეიტყვეს. ამას შედეგად მოჰყვა ის, რომ საქართველოში გვესტუმრა აშმოლინის მუზეუმის მცველის უფროსი თანაშემწე ბატონი მაიკელ ვიკერსი. ივი გაეცნო დაეთის ლავრასა და უდაბნოს მონასტერს. მივიღე შეტყობინება, რომ მეორე მსმენელმა, ოქსფორდის უნივერსიტეტის არქეოლოგიის ფაკულტეტის დამამთავრებელი კურსის სტუდენტმა მაიკელ დეკერმა სადიპლომო თემად დავითგარეჯი აირჩია.

გარდა იმისა, რომ ფონდი „უდაბნო" ერთგვარად გზის გამკაფველის როლს კისრულობს, ჩვენსავე ამოცანებში შედის კვლევის მომდევნო ეტაპებზე სპეციალისტთა ჩართვა და მათი მუშაობის ხელშეწყობა ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე. ამ მხრივ არის გარკვეული სირთულეებიც: იმის გამო, რომ ხელოვნებათმცოდნეთა უმრავლესობა ქალები არიან და მათთვის ძნელი, ხშირად კი შეუძლებელიცაა გარეჯის მრავალმთის ძნელად მისადგომ ქვაბებში მუშაობა, რიგი საყურადღებო ძეგლების სრულფასოვანი შესწავლა გართულებულია.

— როგორ დაბრუნდა ფონდის მიერ მოწყობილი პირველი ექსპედიციები?

— პირველი ექსპედიცია ფონდმა 1995 წლის მარტსა და მაისში ჩაატარა ზოოლოგებთან ერთად. ექსპედიციამ გამოავლინა თეთრთავა ორბის ბუდობის ადგილები (საქართველოში ათეოდე წყვილი თუ ბუდობს. მათგან სამ წყვილს ბუდეები უდაბნოს მთაზე აქვს მოწყობილი). ზღარბების აღმოჩენა კი სრული მოულოდნელობა იყო. ძდიდარია გარეჯი ნამარხი ცხოველებითაც. მათგან შეიძლება აღინიშნოს ხორთუმიანები და პიპარიონები. უკანასკნელთაგან დადგენილია ადგილობრივი სახეობა — Hipparion garedzicum Gabunia, რომელიც დღემდე ცნობილი სახეობებისაგან დიდი ზომით განსხვავდება.

უაღრესად საინტერესო მასალა მოვიმოვეთ თეთრი სენაკების მონასტრის შესასწავლად ჩატარებული ექსპედიციების დროს. მივაკვლიეთ ათ ქვაბს, რომელთა უმეტესი ნაწილი ბუნებრივი და ხელოვნური პროცესების ზეგავლენით დაზიანებულია და ნაშალითაა ამოვსებული. ხუთი მათგანი ეკლესიას წარმოადგენს: 1) ჯვარ-გვირგვინოვანი ეკლესია სრული კონუსური ფორმის გუმბათებით, რომლებიც აგვირგვინებენ მთავარ დარბაზსა და საკმრეთ-აღმოსავლეთით მდებარე სათავსს. ასეთი ფორმის გუმბათები უპრეცედენტო

მაგალითია გარეჯის მრავალმთის სინამდვილეში. ეკლესია პირობითად IX–X საუკუნეებით დავთარიღეთ, თუმცა, შესაძლოა, VII–VIII საუკუნეებისაც იყოს; 2) დარბაზული ერთაფსიდიანი ეკლესია. იგი წარმოადგენს დავთის ლავრის ფერისცვალების ეკლესიის არქიტექტურულ გაძეორებას, და გარეჯის მრავალმთაში დაკანონებული ტრადიციის გათვალისწინებით მონასტრის მთავარი ეკლესია უნდა იყოს (სავარაუდოდ IX–XI სს.); 3) და 4) ორი მომცრო სამლოცველო-ეკლესია. მათგან ერთი, კვადრატული გეგმისა, სავარაუდოდ XI–XIII საუკუნეებისაა, ხოლო მეორე, რომელშიც შეინიშნება ფრესკული მხატვრობა და მეტად საინტერესო წარწერები – X საუკუნის. [illegible] ფრესკული მოხატულობის შესრულების მანერის, ფრესკული წარწერების პალეოგრაფიული ანალიზისა და ეკლესიის საამრეთ კედელზე აღმოჩენილი მრგლოვანიდან ნუსხა-ხუცურზე გარდამავალი ნაკაწრი ანბანის თავისებურებების გათვალისწინებით. აღნიშნული ანბანი ბ-ნმა ვალერი სილოგავამ XI საუკუნით დაათარიღა. სიძველით იგი მეორეა დავთის სტელაზე გამოსახული ანბანის შემდეგ; 5) უაღრესად საინტერესოა ჩვენი ექსპედიციების შედეგად მიკვლეული კვადრატული გეგმის მოზრდილი ეკლესია. კუბის გარეთ გატანილია 85 სმ სიღრმის უბეები (რაც ეკლესიის მკლავების ინტერიერისათვის უნდა იყოს გაკეთებული) და საკურთხეველი (სიღრმე 223 სმ). საამრეოით არის კამარითვანი ჭერის მქონე სადიაკონე. ორიგინალურია ეკლესიის გეგრგვინი, რომლის მსგავსი საქართველოში არსად დასტურდება. ესაა ერთმანეთზე შემოდგმული სამი ცილინდრის ერთობლიობა, რომელთა დიამეტრები ქვევიდან ზევით მცირდება. ქვედა ცილინდრის დიამეტრია 268 სმ, ზედასი – 167 სმ. ტაძრის ვერტიკალური ღერძის გასწვრივ ცილინდრული ფორმების ასეთი მონაცვლეობა რიტმული ზესწრაფვის შეგრძნებას იწვევს, უაღრესად შთაბეჭდავია და არქიტექტორის ორიგინალურ მიგნებად უნდა ჩათვალოს. ეკლესიის დაუშლაშავი სივრცის სიმაღლე გეგრგვინის ჩათვლით არის 506 სმ. ნაყარის სიმაღლე 180 სმ მაინც იქნება, რამდენადაც ის განიერი შემოსასვლელის ზედა ზღუდარის დონემდეა დაგროვილი. გეგრგვინის თაღი შემკული ყოფილა ტოლმკლავიანი ჯვრის რელიეფური გამოსახულებით, რომელიც სამწუხაროდ, შელესილობასთან ერთად ჩამოცვენილა. ჯვრის აღდგენა ნაყარზე მიმობნეული ფრაგმენტებით მოვახერხეთ. ეკლესია გარდამავალ პერიოდში – X–XI საუკუნეებში უნდა იყოს გამოკვეთილი. დანარჩენი ქვაბები საცხოვრებელი და სამეურნეო დანიშნულებისაა. ერთ-ერთ მათგანში მივაკვლიეთ თიხის ჭურჭლის გამოსაწვავი თუნების ფრაგმენტებს და კერამიკის ნამტვრევებს, რომელთა უმეტესობა სპეციალისტებმა IX–X საუკუნეებით

ქვაბოვანი მონასტერი „თეთრი სენაკები". ჯვარ-გეგრგვინოვანი ეკლესიის ფასადი. მთავარი შესასველელი შლამით არის ამოვსებული, ამიტომ ეკლესიაში მოხვედრა მხოლოდ სურათზე გამოსახული სარკმლის ღიობის საშუალებით შეიძლება.

ქვაბოვანი მონასტერი „თეთრი სენაკები". ერთ-ერთი მომცრო ეკლესიის მოხატულობის ფრაგმენტი. ღვთისმშობელი ყრმით (X ს.).

დაათარიღეს. დათვალიერებულ ქვაბთაგან ერთ-ერთი, ჩვენი აზრით, IX საუკუნემდე მერეოდსაც კი უნდა მეკუთვნებოდეს. თეთრი სენაკების ტერიტორიის ყველაზე შემაღლებულ ნაწილში მივაკვლიეთ მიწაში ჩაფლულია გვიანანტიკური კრამიტების გრეხვას, რომელთაგან ერთ-ერთზე დაზიანებული წარწერა აღმოჩნდა (სავარაუდოდ არამეული ან ძველებრაული).

აღვნუსხეთ თეთრი სენაკების სავარაუდო უსახელო ფილიალი, რომელსაც სახასიათო თავისებურების გამო „შავი სენაკები" ვუწოდეთ. აქ მივაკვლიეთ 6 ქვაბს, რომლებიც ძლიერაა დაზიანებული, შეტწყლად იმის გამო, რომ საბჭოთა მეთმრებს ქვაბები რეაქტიული ჭურვების სამიზნეებად გამოუყენებიათ. ერთ-ერთი ქვაბის კედლის მასივში 14 ჭურვი იყო ჩასობილი.

მოკვლეული მასალის ანალიზის საფუძველზე მივედით დასკვნამდე, რომ თეთრი სენაკები და მისი ფილიალი უკავშირდება გარეჯის მრავალმთაში მიმდინარე სახელოვნო ცხოვრების ყველა ეტაპს, მათ შორის IX საუკუნეზე ადრეულსაც კი. თუ გავითვალისწინებთ, რომ აღნიშნული მონასტერი მდებარეობს მდინარე მრავალწყლის ხეობის მიმდებარე ტერიტორიაზე სადაც წარმოებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა ძველი წელთაღრიცხვის ნამოსახლარები გამოავლინეს, იზრდება თეთრი სენაკების სამეცნიერო მნიშვნელობა და მის შესწავლას გადაუდებელ ამოცანად აქცევს.

— რა მდგომარეობაშია დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსის ძეგლები?

— შედარებით უკეთესადაა მოვლილი. დავითის ლავრა და უდაბნოს მონასტერი, თუმცა გასამაგრებელი სამუშაოები აქაც ჩასატარებელია. დიდოსრქის მთავარი ეკლესია ნაწილობრივ ნაშალითაა ამოვსებული და გასაწმენდია. ძლიერაა დაზიანებული თეთრი სენაკები. ამის მიზეზია როგორც ბუნებრივი ეროზიული პროცესები, ისე საბჭოთა არმიელების ბარბაროსობა სამხედრო პოლიგონის ფუნქციონირების წლებში. საბოლოო მიზანი ძეგლების რესტავრაცია-კონსერვაციაა..

— როგორია თქვენი სამომავლო გეგმები?

— დავითის ლავრის წვიმის წყლის შემკრები სისტემა შესწავლას საჭიროებს. იგი მიწისაგან უნდა გაიწმინდოს და აიგეგმოს, რათა აიხსნას წყალშემკრების, როგორც

ერთიანი სისტემის მოქმედების პრინციპი. საქართველოს ხელოვნების მუზეუმის თანამშრომლის ბატონ იგორ გილგენდორფის კონსულტაციებით დაგეგმილი გვაქვს გავაგრძელოთ მხცოვანი სპეციალისტის მიერ დაწყებული საქმე — ულტრაიისფერი და ინფრაწითელი სხივების გამოყენებით შევისწავლოთ უდაბნოს მთავარი ეკლესიისა და გარეჯის მრავალმთის სხვა ეკლესიების ფრესკული მხატვრობის აღრეული ფენები.

ჩვენს მიერ ჩატარებული ექსპედიციების დროს მოპოვებული მონაცემების გამოყენებით შევქმნით გარეჯის მრავალმთის რელიეფური რუკას, რომელზეც დატანილი ყველა ცნობილ ძეგლს, აშენებისა და ცხოვრების გავრცელების არეალებს.

ვაბირებთ იმ სამეცნიერო შრომების გამოცემის დაფინანსებას, რომლებიც დავითგარეჯს შეეხება. მაგალითად, დაგეგმილი გვაქვს გარეჯის მონასტრებში მიკვლეული ნაკაწრი წარწერების გამოცემა, რომელიც მეცნიერთა მიერ უკვე კარგა ხანია მომზადებულია დასასტამბად, მაგრამ უსახსრობის გამო დღემდე თარეზეა შემოდებული.

დავიწყეთ გარეჯის შესახებ გამოცემული წიგნებისა და სტატიების შეგროვება, რათა შეგქმნათ სპეციალიზებული ბიბლიოთეკა აღნიშნული თემით დაინტერესებულ პირთა დასახმარებლად. დაგეგმილი გვაქვს საგამოფენო და სალექციო ოთახების მოწყობა.

უმთავრესი, რასაც ვეშურებით საამოძავლოდ, არის გარეჯის მრავალმთაში ბოსფერული ნაკრძალის შექმნა, რადგან აუცილებელია ბუნებისა და არქიტექტურის ამ უნიკალური ძეგლის საიმედო დაცვა და შესწავლა. დღეს არსებული მუზეუმ-ნაკრძალის პირობებში ეს შეუძლებელია, რადგან ის ფაქტიურად მხოლოდ ქაღალდზე არსებობს. მუზეუმ-ნაკრძალში შემავალი ძეგლების მიმდებარე აღკვეთილი ზონების საზღვრები არც კი არის დადგენილი, მათ დამტკიცებაზე რომ არაფერი ვთქვათ. ნაკრძალის საზღვრების რეალურად დაცვის საკითხის მოგვარება არ ითქმნს, რადგან, სამწუხაროდ, ოთხწლიანი პაუზის შემდეგ კვლავ განახლდა სამხედრო-საწვრთნელი ვარჯიშები გარეჯის პოლიგონზე. თუმცა იგი ახლა უკვე ალგეთის პოლიგონად იწოდება და საბჭოთა არმიელების ნაცვლად საარტილერიო ჭურვებს ერთვნული არმიის ქართველი მეომრები ისვრიან, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ აფეთქებული ჭურვი ყველა შემთხვევაში, ვის მიერაც უნდა იყოს ნასროლი, ძეგლისთვის ზიანის მომტანია.



„შავი ხელაკები" (ქვაბლიანი მონასტრის – „თეთრი ხელაკების" ფილიალი). სურათზე ჩანს ტერასის ნაწილი და მასში შესობილი ჭურვები. გარეჯში სამხედრო პოლიგონის ფუნქციონირებისას საბჭოთა არმიელები სამიზნედ იყენებდნენ აღნიშნულ ხელაკებს, რასაც მათი გასადგურება მოყვა.

— რა შეგიძლიათ გვითხრათ გარეჯის ნახევარუდაბნოს ჩამოყალიბების მიზეზებზე ბარაქიანი კახეთის ტერიტორიების შეზიმლად?

— გარეჯი შავმიწა და წაბლანიადაგიანი ზონაა, რაც ისტორიულ წარსულში ამ ტერიტორიებზე ტყის მასივების არსებობაზე მეტყველებს. ძვ. წ. I ათასწლეულში მრავალწყლის ხეობის მობინადრე მოსახლეობა მეტალურგიას მისდევდა და რკინის გამოსადნობად ხის ნახშირს იყენებდა, რადგან ადგილობრივად მზეზეზე შუშა ნახშირი მოიპოვება და მისი წვის ტემპერატურა საკმაოდ დაბალია. აღმოჩენილია დიდი რაოდენობის წიდა. სავარაუდოა, რომ ტყის მასიურ, უკონტროლო გაჩეხვას შედეგად მოჰყვა წყლის დაკარგვა და კლიმატის შეცვლა. ანალოგიური ვარაუდი 1991 წელს ჩვენამდე გამოუთქვამს გეოლოგ თენგიზ მგელიაშვილს. გაუდაბნოება დაახლოებით ძვ. წ. I ათასწლეულის შუახანებში უნდა მომხდარიყო, როცა მოსახლეობამ ერთიანად მიატოვა ტერიტორია. ეს რომ უცხოტომელთა შემოსევის მიზეზით მომხდარიყო, არქეოლოგებს ნახანძრალის კვალი უნდა აღმოეჩინათ. აქვე მსურს აღვნიშნო ცნობილი პალეონტოლოგის, აკადემიკოს ლეონიდე გაბუნიას მიერ ჩემთან საუბრისას გამოთქმული მოსაზრება, რომ შუშანიკ დედოფალი ვარსქენ პიტიახშს სწორედ გარეჯში უნდა ჰყოლოდა დამწყვდეული, რამდენადაც აქაური უდაბნოს აღწერილობა საოცრად ეხმიანება წმ. შუშანიკის მარტვილობაში ნახსენებ პასაჟს: „ჟამსა ზაფხულისასა ცეცხლებრ შემწუელი იგი მზურვალება მზისა, ქარნი ხორშაკნი და წყალნი მავნებელნი, რომლისა მკვიდრნიცა მის ადგილისანი სავსენი სენითა, წყლითა განსავებულნი და განყვითლებულნი, დაწერტილნი და დამჭნარნი და დამღიერებულნი, ჩარადოვანნი, ბირმსივანნი და დღემოკლედ ცხორებულნი; და მოხუცებული არვინ არს მათ ქუეყანათა.“ მაგრამ დავითის ცხოვრების თანახმად, ამ ტერიტორიაზე წმ. მამები თითქოს შემთხვევით უნდა იყვნენ მოსული, მაგრამ გარკვეული მოსაზრებები გვაძლევს უფლებას ვივარაუდოთ, რომ შესაძლოა წმ. დავითმა და წმ. ლუკიანემ გამიზნულად აირჩიეს საძოლვაწეოდ გარეჯის მრავალმთა, როგორც წმ. შუშანიკის მარტვილობის ადგილი. არ გამოვრიცხავთ, რომ საეპისკოპოსო ცენტრი ცურტავი აქვე, შეზიმლად მდებარეობდა.

— როგორია სამონასტრო ცხოვრება გარეჯის მრავალმთაში?

— დღეისათვის სასულიერო ცხოვრება მხოლოდ დავითის ლავრაში მიმდინარეობს. არ შეიძლება არ აღინიშნოს ამ საქმეში მამა ირაკლის (მახარაძის) წვლილი, რომელმაც მრავალწლიანი ბაუზის შემდეგ ააღორძინა სამონასტრო ცხოვრება დავითის ლავრაში. ცოტა ხნის წინ მონასტერში მხოლოდ ერთი ბერი — მამა ნაომი მოღვაწეობდა. ახლახან კი აქ ბერთა საძმო დამკვიდრდა — ოთხი ბერი და ხუთი მორჩილი შეემატა მონასტერს. მათი ხელი დაეტყო საუკუნეებგამოვლილ სენაკებს. სასახარულოა, რომ საქართველოს უძველესი მონასტერი აღორძინების გზას დაადგა.

— ფონდის საქმიანობის წარმატების საიმედოდ უზრუნველყოფას მნიშვნელოვანი დაფინანსება ესაჭიროება. რას ამბობთ ამ თვალსაზრისით?

— ახლო მომავალში ძირითადად დასავლეთის დახმარებაზე გავაკეთებთ აქცენტს, რადგან დღეისათვის მოქმედი საქართველოს კანონმდებლობით სახელმწიფოს არა აქვს არასამთავრობო ორგანიზაციების ფინანსური დახმარების გალდებულება, ადგილობრივი კერძო სტრუქტურები კი მხოლოდ ახლა იდგამენ ფეხს და არც ქველმოქმედების არსი აქვთ სათანადოდ გათვითცნობიერებული. არსებობს ერთადერთი საშუალებაა კერძო შემოწირულობები, პროექტების მომზადება და მათი სხვადასხვა ფონდებში წარდგენის გზით გრანტების მოპოვება. ადგილობრივი ორგანიზაციებიდან დახმარება გაგვიწია საქნავთობკონცერნმა, რომლის მიერ უსასყიდლოდ გამოყოფილი საწვავის წყალობით გარკვეული დროით მოგვარდა ფონდის წევრების დავითგარეჯამდე მგზავრობის პრობლემა. იმის გათვალისწინებით, რომ საბარბრუტო ავტობუსი მონასტრამდე არ მოძრაობს, აღნიშნული დახმარება ფონდის საქმიანობისათვის მეტად მნიშვნელოვანია. ოვით „უდაბნოს“ წევრები უხელფასოდ ვმუშაობთ, თუმცა არც იმედი და არც საქმიანობის ხალისი არ დაგვკარგვია.

ესაუბრა **ბონდო კუპატაძე.**

«მანუილის მოთხრობა აწყურის ხატის შესახებ»

(დათარიღებისა და ავტორობის საკითხისათვის)

ეროვნული ბიბლიოთეკა

აწყურის ხატი

5710 8

1987 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომების დამატებაში (№ 266) დაიბეჭდა „კონსტანტინოპოლის ღვთის წმინდა დიდებული ეკლესიის დიდი რიტორის მანუილის მოთხრობა აწყურის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მარადქალწული მარიამის წმინდა ხატისა და იმ სასწაულების შესახებ, რომელიც მან მოახდინა სხვადასხვა დროს".

აღნიშნული წყარო, რომელიც XVI საუკუნის დასაწყისის ძეგლია, სომეხმა ისტორიკოსმა ჰრაჩ ბართიკიანმა გამოუგზავნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრას. აქ იყო „მოთხრობის" ბერძნული ორიგინალი და ბარტიკიანისეული რუსული თარგმანი, ასევე სომეხი ისტორიკოსის წინასიტყვაობა, სადაც იგი ეხებოდა წყაროს მნიშვნელობას საქართველოს, კერძოდ კი სამცხე-საათაბაგოს ისტორიის შესწავლის საქმეში.

XV-XVI საუკუნეები ერთიანი ქართული სახელმწიფოს დაშლის პერიოდია. ამ დროის წყაროები ნაკლებად ეხებიან სამცხე-საათაბაგოს ისტორიას. „მესხური მატიანე" 1559-1587 წლების ამბებს მოგვითხრობს. უფრო გვიანდელი ავტორები (არჩილი, ფეშანგი, იოსებ თბილელი, ფარსადან გორგიჯანიძე) არ ეხებიან XV საუკუნის სამცხეს. მხოლოდ ვახუშტი ბატონიშვილი აღწერს

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ დროის საათაბაგოს ისტორიას, მაგრამ აქაც მას უზუსტობა აქვს სამცხის მთავრების ქრონოლოგიურ რიგში. ჩვენი წყარო კი ზუსტად ჩამოთვლის ათაბაგთა თანმიმდევრობას.

წყაროში მოთხრობა შემდეგნაირადაა დალაგებული: ამბავი საქართველოში ანდრია პირველწოდებულის მოსვლასა და მის მიერ ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატის მოტანაზე; მოკლედ არის აღნიშნული ჰერაკლე კეისრის მიერ აწყურის ეკლესიის აშენების ფაქტი; შემდეგ ავტორი გადადის თავის თანადროულ ეპოქაზე — აწყურის ხატის დატყვევებასა და მის მიერ მოხდენილ სასწაულებზე; ბოლო ნაწილი კი შინაარსით წარმოადგენს ხოტბა-დიდებას, შესხმას, პანეგირკს სამცხის ათაბაგების — ყვარყვარე II-ისა და მისი ვაჟების — ქაიხოსრო I-ისა და მზეჭაბუკის მიმართ (სწორედ ამ ნაწილის შინაარსიდან გამომდინარე, პრ. ბართიკიანი წყაროს „პანეგირიკს" უწოდებს (4), რაც, ჩვენის აზრით, არ არის მართებული. წყაროს სათაური სრულიად გარკვევით მიანიშნებს, რომ საუბარია აწყურის სასწაულმოქმედ ხატზე, თხრობაც ხატის შესახებ არის, პანეგირიკი — ათაბაგთა ხოტბა-დიდება — მხოლოდ ბოლოშია. ალბათ არ არის მიზანშეწონილი, რომ ბოლო ნაწილის შინაარის მიხედვით მთელ წყაროს „პანეგირიკი" ეუწოდოთ).

წყაროს მიერ მოთხრობილი ამბავი ორგანულადაა დაკავშირებული ერთმანეთთან. ავტორი ამზადებს ნიადაგს ათაბაგების განსადიდებლად. ამავე დროს წინ არის წამოწეული აწყური, რომელიც საათაბაგოს მცხეთის საკათალიკოსოსგან გამოყოფის შემდეგ (თუკი ამ მიზანს მიაღწევედნენ სამცხის მთავრები), სამცხის ეკლესიური ცენტრი უნდა გამხდარიყო.

„მოთხრობის" ბერძნული ტექსტი პირველად საკმაოდ ადრე ყოფილა გამოცემული სპირიდონ ლამბროსის (1851-1919) მიერ ათენში, 1909 წელს. როგორც სათაურიდან ჩანს, წყაროს ავტორად ითვლებოდა კონსტანტინოპოლის ღვთის წმიდა დიდებული ეკლესიის რიტორი მანუილი. სპ. ლამბროსს, დარწმუნებულს, რომ ლაპარაკია ცნობილ მოღვაწეზე მანუილ კორინთოელზე, თავის პუბლიკაციაში ჩაუმატებია სიტყვა „კორინთოელი", რაც ორიგინალში არ არის.

კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს რიტორზე, ნაყოფიერ მოღვაწესა და კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს უმაღლესი სკოლის მასწავლებელზე ჩვენ მცირე ცნობები მოგვეპოვება. ამიტომ ბიზანტიის დაცემის შემდეგ მანუილ კორინთოელი ხშირად ეშლებოდათ მის ადრე, თანამედროვე თუ მის შემდეგ მოღვაწე სეხნიებში, რომელთა ნაშრომებს ხშირად კორინთოელის ბიბლიურდნენ ხელმე. მანუილ კორინთოელი (დაბადდა დაახლოებით 1460 წ.) პირველად იხსენიება 1481 წელს, როდესაც სიტყვით გამოვიდა პატრიარქ მაქსიმე III-ის (1476-1481) დაკრძალვაზე. იგი 1483-1484 წლებში იხსენიება როგორც დიდი რიტორი და პირველია, ვინც აჭარებდა ამ წოდებას კონსტანტინოპოლის დაცემის შემდეგ. გარდაიცვალა დაახლოებით 1550 წელს (4, 39-40).

მაგრამ ბართიკიანს თავიდანვე ეჭვი შეპარვია მანუილის ავტორობაში. როგორც იგი აღნიშნავს, ტექსტი დაწერილია ისეთი პიროვნების მიერ, რომელიც იყო სამცხე-საათაბაგოში, ახალციხესა და აწყურის მონასტერში. ავტორი იცნობდა სამცხის მთავრებსა და საულიერო პირებს. ბართიკიანის აზრით, სამცხეში ყოფნა მზეჭაბუკის ათაბაგობის პირველ წლებზე უნდა მოდიოდეს, ვინაიდან წყაროში ყვარყვარე II (1451-1498) და მისი ვაჟი ქაიხოსრო I (1498-1500) გარდაცვლილებად მოიხსენიებიან, მზეჭაბუკი კი, როგორც ჩანს, ცოცხალია (ავტორი ეუბნება ღვთისმშობელს მისთვის). მანუილი კი ვერ იქნება ავტორი, რადგან იგი არ ყოფილა სამცხეში (4, 41).

მაშ, ვინ არის ბერძნული ტექსტის ავტორი? წყაროს ბოლოს წითელი მელნით მიწერილი იყო სახელი „იოაკიმ". სპ. ლამბროსს იგი უბრალოდ ტექსტის გადამწერად მიუჩნევია. მაგრამ ბართიკიანი ამბობს, რომ შეიძლო დაემტკიცებინა — იოაკიმი წყაროს ავტორია და თანაც, თვით კონსტანტინოპოლის პატრიარქი იოაკიმ I-ო.

იოაკიმი პატრიარქობამდე იყო მაკედონიის ქალაქ დრამის მიტროპოლიტი. იგი პატრიარქად ყოფილა ორჯერ — 1498 წლის შემოდგომიდან 1502 წლის გაზაფხულამდე და 1504 წლის დასაწყისიდან იმავე წლის შემოდგომამდე (გარდაცვალებამდე). ამგვარად, წერს ბართიკიანი, მისი პატრიარქობის ორივე თარიღი მზეჭაბუკის მმართველობის წლებს ემთხვევა. აქვე მოჰყავს მონემვასიის მიტროპოლიტის დოროთეოსის სიტყვები პატრიარქზე, რომ იოაკიმი მართლაც იყო საქართველოში და დიდი შესაწირავითაც გაბრუნებულა. იგივეს იმეორებს თავის „პატრიარქის ქრონიკაში" კირილე ლავრიოტი (4, 42-43).

ბერძნული გამოკვლევების თანახმად, იოაკიმის ეს მოგზაურობა საქართველოში 1500 წელს

უნდა ყოფილიყო. საქართველოდან ის გაბრუნებულა ერთი წლის შემდეგ.

აქვე უნდა ითქვას, რომ ჩვენი ქვეყნისათვის არ იყო უცხო მღვდელმთავართა მსგავსი სტუმრობა. XV საუკუნეში საქართველოში და კერძოდ, სამცხეში მათ შესაბამისი ნიადაგი ჰპოვეს. ათაბაგთა განკერძოებისათვის და მითუმეტეს, სამცხის ეკლესიის მცხეთისგან ჩამოშორებისათვის ისინი შესაფერის იარაღად გამოდგებოდნენ.

ბართიკიანს იოაკიმ I-ის საქართველოში უცილობელი სტუმრობის დადასტურების შემდეგ ეჭვი აღარ რჩება წყაროს ავტორის თაობაზე — იგი იოაკიმ I არისო. ამითვე აიხსნება ისიც, რომ თხრობა მზეჭაბუკის მმართველობის პირველ წლებზე წყდებაო. რა თქმა უნდა, 1504 წელს გარდაცვლილი კაცი ველარ აღწერდა თავის შემდეგ მომხდარ ამბებს, რაც მოსალოდნელი იქნებოდა, თუკი ავტორი 1550 წელს გარდაცვლილი მანუილი იქნებოდაო (4, 45).

მაგრამ ამავე დროს აღსანიშნავია, რომ ჩვენთვის საინტერესო წყაროში მზეჭაბუკი მოხსენიებულია ორი სახელით — იოანე-მზეჭაბუკ. ბართიკიანი წყაროს მიერ მოწოდებული სხვა ძვირფასი ცნობების აღნიშვნისას იმასაც ამბობს, რომ „მოთხრობა" "называет настоящее имя атабека Мзечабука. Мы выше отметили, что Мзечабук не имя а прозвище: "Солнце-Юноша", "Солнце-богатырь". Имя же его было Иоан" (4, 65).

მზეჭაბუკი, რაღა თქმა უნდა, ამ ძლიერი ათაბაგის მეტსახელი არ ყოფილა-რაც შეეხება იოანეს, იგი მზეჭაბუკის ბერობის სახელი უნდა იყოს. როგორც ცნობილია, სამცხის ეს მმართველი 1515 წელს შემონაზონდა (2, 94).

თუკი სამცხის მმართველი მზეჭაბუკ 1515 წელს აღიკვეცა ბერად, ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ საერო სახელსაც იმავე წელს შეიცვლიდა და არავითარ შემთხვევაში უფრო აღრე. მისი იოანედ მოხსენიება (ქართული წყაროების მიხედვით მზეჭაბუკის ბერობის სახელია იაკობი), მაშასადამე, 1515 წლის მერე უნდა იყოს შესაძლებელი.

ზემოთქმულიდან ადვილია დასკვნის გამოტანა, რომ 1500-1501 წლებში საქართველოში სამყოფი და 1504 წელს გარდაცვლილი კონსტანტინოპოლის პატრიარქი თავის „მოთხრობაში" სამცხის მმართველს ვერ მოიხსენიებდა ბერობის სახელითაც. აქედან კი ჩნდება საფუძველი ვიფიქროთ, რომ ტექსტი დაწერილია მზეჭაბუკის შემონაზონების (1515 წ.) შემდეგ და შესაბამისად, მის



ანწყურის ღვთისმშობლის ეკლესია (X-XI სს.). ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან.

სიკვდილამდე (მზეჭაბუკი იმავე 1515 წელს გარდაიცვალა). ამდენად, იოაკიმ I-ის ავტორობა სათუო ხდება.

ჩვენის აზრით, აღსანიშნავია ათონის აღაპებში მოძიებული ერთი ფაქტი:

ათონის ივერთა მონასტრის აღაპებში დადგენილია მათი მოხსენიების წესი, ვინც რაიმეთი დახმარებია მონასტერს. ერთ-ერთი ასეთი აღაპია სამცხის ათაბაგ ქაიხოსროსი, რომლის გარდაცვალების შემდეგ მზეჭაბუკს მისი სულის საოხად წარუგზავნია ამბროსი, რომელსაც დიდძალი შესაწირავი დაურიგებია ტრაპიზონიდან ვიდრე კონსტანტინოპოლამდე და კონსტანტინოპოლიდან ათონის მთამდე.

-აღაპში თავდაპირველად მოხსენიებულია „დიდი და სახელგანთქმული საქართველოისა ათაბაგი სამცხისა, სპასალარი, ჯაყელ-ციხისჯვარელი და დიდად წარჩინებული პატრონი ყვარყვარე", რომელიც „ნებიერად და ღუთის მსახურებით ცხოვრობდა და კეთილდღეობით აღასრულნა ყოველნი დღენი მისნი" (1, 266). ამის შემდეგ მოხსენიებულია ქაიხოსრო, რომელიც მამის შემდეგ გაათაბაგდა.

აქ შეიძლება გარკვეული მსგავსება აღინიშნოს „მოთხრობისა" და აღაპის ტექსტების შორის. ჯერ კიდევ ივანე ჯავახიშვილი და შემდეგ ქრისტინე შარაშიძე ათაბაგთა ქრონოლოგიის დადგენისათვის უპირატესობას სწორედ ათონის აღაპებს ანიჭებდნენ. ზემოთაც აღვნიშნეთ, რომ „მოთხრობა" ზუსტად ჩამოთვლის ათაბაგთა თანამიმდევრობას და საინტერესოა, რომ მისი მონაცემები ისეთივეა, როგორიც ათონის აღაპებისა. თვით „მოთხრობაც" ხომ ათონის ივერთა მონასტრის № 811 ხელნაწერის 104a-132a ფურცლებზე აღმოჩნდა. საფიქრებელია, რომ ამ ორ წყაროს შორის გარკვეული კავშირი არსებობს (აღაპში დასახელებულია ყვარყვარეს გარდაცვალების თარიღი, „მოთხრობაში" კი ყვარყვარეს ასაკი; თითქმის ერთნაირადაა ჩამოთვლილი ადგილები, სადაც მზეჭაბუკმა გაგზავნა შესაწირავები).

რამდენადაც იოაკიმ პატრიარქისაგან „მოთხრობის" დაწერა გამოვრიცხეთ, შეიძლება ათონის აღაპებში მიკვლეული პარალელის საფუძველზე გამოვთქვათ ფრთხილი ვარაუდი, რომ „მოთხრობის" ავტორი მზეჭაბუკის კარზე მყოფი პიროვნება იყო, რომელიც შესანიშნავად იცნობდა სამცხის ათაბაგებს, მათი ნება-სურვილის გამომხატველი იყო და ათონის წმინდა მთაზედაც მოღვაწეობდა.

მაგრამ რჩება მანუილ რიტორის პრობლემა, თუ რა კავშირი შეიძლებოდა ჰქონოდა მას „მოთხრობასთან". ამ მხრივ შეიძლება ითქვას, რომ მანუილი ან გადამწერი იყო, ან კიდევ წყაროს ავტორმა „მოთხრობისათვის" მეტი მნიშვნელობის მისანიჭებლად დიდი რიტორის მანუილის ავტორიტეტი, მისი სახელი გამოიყენა.

აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ წყაროს დასახელება — „მანუილის მოთხრობა" პირობითია და რეალურ შინაარსს მოკლებული. ჩვენს მიერ ამ სათაურის შენარჩუნება მხოლოდ იმით არის გამოწვეული, რომ იგი წყაროს დედნისეული სახელწოდებაა.

როგორც აღვნიშნეთ, წყაროს დაწერის თარიღად შეიძლება 1515 წელი მივიღოთ. ახლა შევეცადოთ ჩვენი ეს მოსაზრება სხვა არგუმენტებითაც შევამაგროთ. „მოთხრობაში", იქ სადაც საუბარია ათაბაგის სახლის წევრების მიერ გაღებულ შესაწირავებზე აწყურის მონასტრისადმი, ყვარყვარე II-ის ასული, გიორგი VIII-ის მეუღლე მზეჭაბუკის და თამარ მოხსენიებულია როგორც ცოცხალი. მაშასადამე, ჩვენთვის საინტერესოა ვიცოდეთ თუ როდის გარდაიცვალა დედოფალი თამარ. ამისათვის მნიშვნელოვანია „მეფეთ-მეფის გიორგის ასულის ქეთევან-ქრისტინეს სულთა მოსახსენებელი". ქეთევან-ქრისტინე თამარისა და გიორგი VIII-ის ასულია.

არსებობს მოსახსენებლის სამი ვარიანტი. როგორც ტექსტიდან ჩანს, „მოსახსენებლის თითქმის ყველა ჩანაწერი ქეთევნის სახელით იწერებოდა, საფიქრებელია, პირადად მისი კარნახით (პირველი პირით „პაპა ჩემი", „ბერბერა ჩემი", „მამა ჩემი", „ბიძა ჩემი", „დედა ჩემი")", ე. ი. „თვითონ ქეთევნი მოსახსენებლის სამივე ვარიანტისა და მინაწერებში შეტანილ პირებზე გვიან გარდაცვლილა" (3, 211).

სხვა ახლობელთა გვერდით ქეთევნს არ ჰყავს მოხსენიებული ათაბაგი მზეჭაბუკ. ამის საფუძველზე ქრისტინე შარაშიძე ვარაუდობს, რომ ქეთევნი მზეჭაბუკზე ადრე გარდაცვლილა, 1514 წლის მიწურულში ან 1515 წლის ივნისის ხუთამდის და ამით ხსნის სამცხის ამ მმართველის მოუხსენიებლობას ნათესავების გვერდით. რაც შეეხება თამარს, „1504 წელს იგი ცოცხალია და რაკი მისი ასულის ქეთევნის გარდაცვალების თარიღად 1514-1515 წწ. ვვარაუდობთ, ამავე დროს ვიცით, რომ თამარმა ქეთევნი ცოცხალი დატოვა, უნდა ვიფიქროთ, რომ თამარი 1504-1514 წწ.

შუა მომკვდარა" (იქვე, 215).

მაგრამ აქ ერთი რამ არის საყურადღებო: „მოსახსენებლის მეორე ვარიანტს ერთი ჩანამატი კიდევ აქვს. აქ ქაიხოსროს სახელის შემდეგ ბაღურის მოსახსენებლის ზემოთ, მეშვიდე და მერვე სტრიქონებს შუა ჩამატებულია: „ძმასა მათსა იაკობს" (იხ. იქვე).

მაშასადამე, ქეთევან-ქრისტინე, რომლის კარნახითაც იწერებოდა მოსახსენებელი, არ შეიძლება მზეჭაბუკზე ადრე გარდაცვლილად ჩავთვალოთ, ვინაიდან მას მოხსენიებული ჰყავს მზეჭაბუკი სხვა ნათესავების გვერდით, მხოლოდ ბერობის სახელით — იაკობი. ე. ი. თუკი ქეთევნი მზეჭაბუკის მერე გარდაცვლილა, უფლება გვაქვს თამარის გარდაცვალებაც 1515 წლის შემდეგ ვივარაუდოთ. აქედან გამომდინარე, სავსებით შესაძლებელია, რომ 1515 წელს დაწერილ „მოთხრობაში" თამარიც ცოცხლად ყოფილიყო მოხსენიებული.

მზეჭაბუკის დახასიათებისას ავტორი ამბობს: "Он, свою, с материнского чрева девственность и чистоту, считая её божьим основанием, помощью божьей сохранил до старости ненарушенной" (5, 87-88).

მზეჭაბუკი დაახლოებით 1447-1453 წლებს შორის უნდა დაბადებულიყო (1447 წელს დაიბადა მისი უფროსი ძმა ქაიხოსრო, ხოლო მისი მომდევნო ბაღური — 1453 წელს). 1515 წელს იგი დაახლოებით 65 წლისა იქნებოდა და სიბერემდეო, რომ ამბობს ავტორი, უფრო სავარაუდოა, სწორედ ამ ასაკის კაცზე ეთქვა, ვიდრე 51-54 წლის ადამიანზე (დაახლოებით ამ ასაკის იქნებოდა მზეჭაბუკი, თუ ჩავთვლით, რომ წყარო 1501-1504 წლებს შორის დაიწერა).

წყაროს ბოლოს ავტორი ლოცვა-ვედრებას აღავლენს ღვთისმშობლის მიმართ და სთხოვს მთელი ქრისტიანებისა და სამცხის ხელისუფალთათვის შეევედროს ღმერთს, დაიფაროს, მიანიჭოს უძლეველობა, დაუმორჩილოს მოწინააღმდეგენი და საშიში გახადოს სარწმუნოების მტერთათვის მისი ერთგული მსახური „ახალი ყვარყვარე", მისცეს ძალა კეთილი საქმეების ქმნისათვის.

ბართიკიანს ეს ახალი ყვარყვარე (новый Георгора) სქოლიოში მიუთითებია, რომ ეგულებოდა, რომ მზეჭაბუკი. თითქოს ყვარყვარე ამ შემთხვევაში საკუთარი სახელი კი არა, ეპითეტია მზეჭაბუკის დასახასიათებლად გამოყენებული — როგორც ყვარყვარე II (1416-1498) იყო ყველა სიკეთით აღსავსე, ასევეა მისი შვილი, ღირსეული მემკვიდრე და მამის საქმის გამგრძელებელი მზეჭაბუკიო. მაგრამ თუკი ვამბობთ, რომ წყარო 1515 წელს, მზეჭაბუკის შემონაზვნების შემდეგ დაიწერა, მაშინ უფრო ლოგიკურია ვიფიქროთ, რომ ეს „ახალი ყვარყვარე" არის არა მზეჭაბუკი, არამედ მისი ძმის — ქაიხოსრო I-ის (1447-1500) შვილი ყვარყვარე III, რომელიც ბიძის შემდეგ ხდება სამცხის ხელისუფალი (1515-1535).

რადგან მზეჭაბუკი 1515 წელს ტოვებს საერო ხელისუფლებას, მაგრამ ჯერ კიდევ ცოცხალია (წყაროს მიხედვით) და ყვარყვარე III ძლიერი და სახელოვანი ბიძის შემდეგ ახალი გაათაბაგებულია, ალბათ ადვილად ახსნის ავტორის მიერ მზეჭაბუკის ესოდენ შესხმას და მის ხოტბადიდებას, აგრეთვე იმას, რომ ახალ მმართველს ბოლოში მოიხსენიებს და შესთხოვს ღვთისმშობელს მის ძლიერებას.

ეს არის ნაკლებად ცნობილი წყაროს — „მანუილის მოთხრობის" შესწავლის პირველი ცდა ჩვენს ისტორიოგრაფიაში. შევეცადეთ წარმოგვედგინა წყაროს ჩვენეული დათარიღება, რის შესაბამისადაც ავტორობის საკითხიც ახლებურად დაისვა.

მარიამ ზალდასტანიშვილი
თსუ საქართველოს ისტორიის
კათედრის ასპირანტი

ლიტერატურა

1. ათონის ივერიის მონასტრის 1074 წ. ხელთნაწერი ალაპებით. [ტფ.]. 1901.
2. საშრეთი საქართველოს ისტორიის მასალები (XV-XVI სს.). ტექსტი, პუბლიკაცია, გამოკვლევები და სამეგლები ქრ. შარაშიძისა. თბ. 1961.
3. ქრისტინე **შარაშიძე**. საქართველოს ისტორიის მასალები XV-XVIII სს. კრ. „მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიიდან". ნაკვ. 30. თბ. 1954.
4. **Бартикян Р. М.** Приписываемый Мануилу, великому ритору Константинопольской патриархии (первая половина XVI века) панегирик государям Самцхе-Саатабаго Кваркваре II, Каихосрою и Мзечабуку. ᲗᲡᲣ შრომები. ტ. 266. 1987.
5. Мануила, великого ритора святейшей Божьей великой церкви в Константинополе, Повествование о находящейся в Азгории иконе святой пречистой Госпожи нашей Богородицы, присно девы Марии, и о чудесах, сотворенных ею в разные времена. ᲗᲡᲣ შრომები. ტ. 266. 1987.

სამშვრანბატონოსა და მშვრანბატონთა წარმოშობისათვის



კონსტანტინე მუხრანბატონის ვერცხლის დროშა, რომელიც მას ერთგული სამსახურისათვის უბოძა თეიმურაზ II-მ. 1745 წ.

ქართლის, კახეთისა და იმერეთის ბაგრატიონთა სამეფო შტოების ჩამოყალიბების გარდა საქართველოს სამეფოს დაშლას ბაგრატიონთა სახლის არაერთი განშტოების წარმოშობა მოჰყვა. ერთიანი სახელმწიფოს დაშლა, რომელიც ახალი ეტაპია დინასტიური ბრძოლის ისტორიაში, „ბატონიშვილობის" საკითხშიც შესაბამის ცვლილებებს იწვევს — მისი ძველი ფორმები ქრება და ახალი იბადება. მათ შორისაა XIV-XV საუკუნეებში საქართველოში არსებული „პროვინციის მეფეების" ინსტიტუტიც (8). XVI საუკუნიდან ქართლის, კახეთისა და იმერეთის სამეფო ტახტები უფრო უნარიანნი აღმოჩნდნენ „კნინი მეფეების" წინააღმდეგ ბრძოლაში, ისინი ასეთი „მეფეების" მფლობელობისათვის აუცილებელი პირობების არსებობის შესაძლებლობას აღარ უშვებენ. ყალიბდება ახალი ეტაპი — დამოუკიდებელ ქართულ სახელმწიფოებში ბატონიშვილთა და ბაგრატიონთა საგვარეულოს სხვადასხვა წარმომადგენელთა ბრძოლა უფლებრივი მდგომარეობის მოსაპოვებლად. XVI-XVIII საუკუნეებში, არსებული მძიმე ვითარების გამო, სამეფო ტახტებს უჭირს „ბატონიშვილობის" პრობლემის მოგვარება, სამეფო ოჯახის უახლოესი (ძძაშვილები) თუ შორეული ნათესავები, განსაკუთრებით, ბაგრატიონთა საგვარეულოს გამრავლებული გვერდითი შტოს წარმომადგენლები, თავიანთი ბაგრატიონობის გამო, ცენტრისაგან შესაბამისი უფლებებისა და იურიდიული სტატუსის მინიჭებას ითხოვენ. სამეფო ტახტის მემკვიდრეობითი ფლობის წესის ხშირი რღვევის პირობებში მათ ზოგიერთ წარმომადგენელს გარკვეული ლეგიტიმური უფლებებიც უჩნდება. ყოველივე ეს ბაგრატიონთა ისედაც გამრავლებული შტოების გვერდით ახალ განშტოებათა წარმოშობას განაპირობებს, ხოლო პირობები მათთვის შესაბამისი სტატუსის შესაქმნელად აღარ არსებობს. თუ წინა ეტაპზე, XIV-XV საუკუნეებში, გვერდითი შტოს ბაგრატიონთა ერთი ნაწილი ქვეყნის გარკვეულ ტერიტორიებზე მფლობელობას ან „პროვინციის მეფობას" აღწევს, XVI-XVIII საუკუნეებში „ბატონიშვილობის" საკითხი კიდევ უფრო მწვავდება — ბაგრატიონთა გვარის ჩამომავლობის მიუხედავად, აღარც შესაბამისი „პატივი" და აღარც „კნინი მეფობა". ვერ ხერხდება აგრეთვე უმეტესი მათგანის სახელმწიფო თანამდებობით დაკმაყოფილება.

ბაგრატიონთა გვარის ერთი ნაწილი, მიუხედავად მცდელობისა, კარგავს რა სამეფო ტახტზე ასვლის ყოველგვარ საშუალებას, წყვეტს მეფობისათვის ბრძოლას. თუ XIV-XV საუკუნეების ეტაპზე ბაგრატიონთა სახლის გვერდითი შტოები უკლებლივ ბაგრატიონებად რჩებიან (მაგალითად, ალასტანელი ბაგრატიონები), XVI საუკუნიდან, სათავადოების წარმოსაქმნელად არსებულ ხელსაყრელ პირობებში, ზოგიერთი მათგანი ველარ ინარჩუნებს „ყელსა გუარობასა მეფეთასა" (ვახუშტი), ანუ ბაგრატიონობას. ყალიბდება ბაგრატიონთა საგვარეულოს გვერდითი განშტოებები — ბაგრატიონთ-ყოფილთა ახალი თავადური სახლები, რაც ახალი გვარების ანუ ბაგრატიონთა სახლის გათავადებული შტოების წარმოშობის საფუძველი ხდება (9).

იოანე ბატონიშვილი თავის ნაშრომში — „შემოკლებით აღწერა საქართველოსა შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა" აღნიშნავს: „ხოლო მდაბალნი რომელთაც არა ხვდათ მეფობით შთამომავლობა, იხსენებოდნენ ტიტლოთი განათლებულესათ, ბრწყინვალე თავა-

დად, ვითარცა არს აწ მუხრანის თავადი, მუხრანის ბატონად წოდებული" (6, 3). აქ სწორედ ის მომენტია აღნიშნული, როცა XVI საუკუნიდან „მდაბალთა" ანუ გვერდითი შტოს ბაგრატიონთა ერთი ნაწილის (რადგან „არა ხვდათ მეფობით შთამომავლობა") თანდათან გათავადება ხდება. ხაზგასასმელია იოანე ბატონიშვილის მიერ მუხრანბატონების მოხსენიების ფორმაც — „მუხრანის თავადი". ბაგრატიონთა „მდაბალი ნათესაობის" (ვახტანგ VI-ის ტერმინია — 4, 341) რამდენიმე სახლის შორის, რომლებიც დროთა განმავლობაში სამეფო გვარიდან ვამოყოფილ, გათავადებულ საგვარეულო განშტოებებად ჩამოყალიბდნენ (მაგ. გოჩაშვილები, დავითიშვილები, რამაზიშვილები), განსაკუთრებულ და გამორჩეულ ადგილს მუხრანბატონთა შტო იკავებს. მათ შესახებ იოანე ბატონიშვილი ლაკონურ დახასიათებას გვთავაზობს: მუხრანბატონები არიან „მეორისა ხარისხით ბაგრატოანად წოდებულნი და პირველნი თავადნი" (6, 3). ხოლო თეიმურაზ II-ის მიერ კონსტანტინე მუხრანბატონისათვის 1745 წელს ნაბოძებ ვერცხლის დროშის წარწერაზე საგვარეულოსთან (განშტოებასთან) დაკავშირებით აღნიშნულია, რომ მეფემ გადასცა „დროშა ესე დიდად ჩინებულსა და ერთგულად ნამსახურსა ნატომსა მეფეთასა მუხრანის ბატონს..." (13, 117). აქ ყურადღებას იქცევს ამ შტოს მიმართ ნახმარი ტერმინი — „ნატომსა მეფეთასა" (ანუ „ნატომი მეფეთა").

მოკლედ „მეფეთა სახლშვილობითა ხსენებულთა" (პაპუნა ორბელიანი) — მუხრანბატონთა განშტოების წარმოშობის შესახებ:

XVI საუკუნეში, დავით X-ის (1505-1525) მეფობაში, ქართლის ოხრებას „არა დასცხრა" კახეთის მეფე ავ-გიორგი (1511-1513). კახეთში გამეფების შემდეგ მას „ნებავდა ქართლიცა". 1512 წელს ქართლის მეფეს მისმა ძმამ — ბაგრატმა „ვამოსთხოვა მუხრანი საუფლისწულოდ და არაგვსა და კსნის ქვენი მთიულ-მოკევითურთ თჳსსა მორჩილებასა ქუეშე", რათა მტრად აღუდგეს ავ-გიორგის (5, 393). ვახუშტის სიტყვებით, „მაშინ იძულებულმან მეფემან (დავით X-მ — დ. ნ.) ნება სცა ბაგრატს", რომელმაც „შეიპყრა ავგიორგი და პატიმარ-ჰყო მტკვრის ციხესა შინა", სადაც შემდეგ „მოაშთვეს" კიდეც (5, 394). ბაგრატმა მუხრანში „ძველი ტახტი განაახლა" და საცხოვრებლად გადავიდა, რასაც ქართლის შუაგულში ახალი სათავადოს — სამუხრანბატონოს წარმოშობა მოჰყვა.

ამ მნიშვნელოვან მოვლენას თავისი გამომწვევი მიზეზები და წინაპირობები ჰქონდა. ყოველი სათავადო კონკრეტულ ისტორიულ ვითარებაში ყალიბდება და ამ მხრივ სამუხრანბატონო გამონაკლისს არ წარმოადგენს. განსხვავება იმაშია, რომ იგი უშუალოდ სამეფო დომენიდან გამოიყო და მისი პატრონები არა რომელიმე ფეოდალური გვარის, არამედ თვით სამეფო საგვარეულოს ჩამომავლები არიან (3, 102).

მუხრანის ციხე

XVIII საუკუნის 30-იან წლებში ციხე-ციალავანი ააგო შაჰნაზა მუხრანბატონმა. 1756 წელს ძლიერ დაზიანებული ციხე განაახლა მეფის სახლთუხუცესმა — კონსტანტინე მუხრანბატონმა.



ქსნის ციხე
(მგკვრის ციხე, მგეერის ციხე, კონსტანტინეპატი)
დგას სარკინეთის მთაზე, მდ. ქსნისა და მგკვრის შესაყართან. აგებულია 1511-1514 წლებში ბაგრატ ბატონიშვილის (პირველი მუხრანბატონის) მიერ ქართლში ავ-გიორგის შემოსევების მოსაგერიებლად. 1746 წელს ციხე ხელახლა აშენა კონსტანტინე მუხრანბატონმა.

სამუხრანბატონოს წარმოშობის არსისა და ბაგრატიონთა ამ უმნიშვნელოვანესი განშტოების ჩამოყალიბების სრული სურათის შესაქმნელად პასუხი უნდა გაეცეს რამდენიმე კითხვას:

1) რატომ დათანხმდა ან რამ გახადა იძულებული დავით X გადაედგა ზემოაღნიშნული ნაბიჯი — ბაგრატ ბატონიშვილისათვის მუხრანის „ქვეყანა" გადაეცა, რასაც სამუხრანბატონოსა და ბაგრატიონთა სამეფო სახლის განშტოების წარმოშობა მოჰყვა. ეს ხომ სახასო მამულიდან ამ ტერიტორიის გამოყოფას ნიშნავდა, რაც ცენტრალური ხელისუფლების კიდევ ერთ მარცხად უნდა შეფასდეს.

2) მართალია, ავ-გიორგის მარცხით „განიხარა სიხარულითა დიდითა" დავით X-მ, მაგრამ რატომ მაინცადამაინც მუხრანის „ქვეყანა"?! იგი ხომ სტრატეგიულად თუ სოციალურ-ეკონომიკურად უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებდა, მითუმეტეს, სამეფო ტახტისათვის. ვახუშტის სიტყვები რომ გავიხსენოთ, ისტორიულ-გეოგრაფიული „ქვეყანა" მუხრანი „პირველ იყო მეფეთა სადგური".

თავიდანვე თვალნათლივია, რომ ამ პროცესის განვითარებას ხელი შეუწყო ცენტრის — სამეფო ტახტის სისუსტემ, დავით მეფისადმი საკუთარი ძმების ოპოზიციაში ყოფნამ, ამ ოპოზიციის გამარჯვებამ და ავ-გიორგის პოლიტიკამ — მისმა შემოსევებმა, რამაც დააჩქარა ეს პროცესი. მაგრამ ისიც აშკარად ჩანს, რომ ამ მომენტებთან ერთად უნდა არსებულიყო სხვა ფაქტორებიც, რამაც განაპირობა ქართლის მეფის — დავით X-ის ასეთი ნაბიჯი და სწორედ მაინცადამაინც სამუხრანბატონოს წარმოშობა.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ სამუხრანბატონოს წარმოშობის საფუძველია საქართველოში სათავადოების სისტემის ჩამოყალიბება და მისი ფუნქციონირება. მსგავსი პროცესის განვითარებისათვის არსებული ხელსაყრელი ვითარების პირობებში ბატონიშვილის მამული გადაიქცა პირველი კატეგორიის სათავადოდ, ანუ დიდებული თავადის მამულად.

მეორე უმნიშვნელოვანესი ფაქტორია თავად პირველი მუხრანბატონის — ბაგრატ ბატონიშვილის ადრეული სტატუსი, რომელიც მას გამუხრანბატონებამდე ჰქონდა. ყურადღებას იქცევს ამ პერიოდში მისი „მეფის" ტიტულით მოღვაწეობა: ასეა იგი მოხსენიებული გრიგოლ წერეთლის მიერ კაცხის მონასტერში მოძიებული ჯვრის ვერცხლის ბუდის კარებისა და ვალეს ეკლესიის წარწერებში (14, 85; 7, 30), მეფის რანგშია რუსი ელჩების — ტატიშჩევისა და ივანოვის

ულჩობის (1604-1605 წწ.) აღწერასა (12, 503) და „მესხური ფსალმუნის ქრონიკაში“ ანუ „მესხურ მატიანეში“ (10, 38-39). როგორც ვხედავთ, ბაგრატ ბატონიშვილს გარკვეული პერიოდი „მეფის“ ტიტულითაც ჰქონია მფლობელობა, რაც, ჩვენის აზრით, „პროვინციის მეფეთა“ ინსტიტუტის არსებობიდან გამომდინარე, გამუხრანბატონებამდე მის „პროვინციის მეფობაზე“ უნდა მიგვითითებდეს. საყურადღებოა „როსტომიანის“ ის ნაწილი, რომელიც სერაპიონ საბაშვილის მიერ არის გალექსილი — აქ ბაგრატი „ხელმწიფედ“ იწოდება და აღნიშნულია, რომ მან „მუხრანს შექმნა ნადიმობა“, „დაიჭირა ბატონობა“, „კელეფო საფდართ აშენება“ და „ძველი ტახტი განახლა“. ყოველივე ეს უნდა ეხებოდეს მისი მოღვაწეობის იმ პერიოდს, როცა ბაგრატმა [illegible] — დავით მეფეს მუხრანი საუფლისწულოდ „გამოსთხოვა“, რასაც ახალი სათავადოს — სამუხრანბატონოს წარმოშობა მოჰყვა. მანამდე ბაგრატ ბატონიშვილი რომ „პროვინციის მეფე“ იყო, ვფიქრობთ, „როსტომიანიდანაც“ ჩანს — მუხრანში ძველი ტახტის განახლებამდე და ბატონობის დაჭერამდე მინიშნებულია, რომ „ბაგრატ ვნახე, მარანას ჯდა“ (11, 90), რაც შიდა ქართლში მის მფლობელობაზე უნდა მეტყველებდეს (მარანა ლიახვის ხეობაში მდებარე გეოგრაფიული პუნქტია).

XV საუკუნის ბოლოს, საქართველოს დაშლის შემდეგ, ბაგრატის „მარანას ჯდომა“ დასრულდა, ახლა უკვე ქართლის სამეფოში მწვავედ დადგა „ბატონიშვილობის“ საკითხი — ბაგრატი „მეფობის“ სანაცვლოდ მუხრანის „ქვეყნის“ სამფლობელო მამულად მიღებას აღწევს, რაზეც მეფე დავით X იძულებით მიდის. მიუხედავად იმისა, რომ ბაგრატს „არაგვსა და კსნის პირნი მთიულ-მოჯვეთურთ თესსა მორჩილებასა ქუეშე“ ჰყავს, „მეფის“ ტიტულს იგი ველარ ინარჩუნებს, მაგრამ სანაცვლოდ მუხრანბატონობას იღებს. დავით X-ს შექმნილ ვითარებაში პრობლემის გადაწყვეტის სხვა შესაძლებლობა აღარ ჰქონდა. მუხრანის საუფლისწულოდ მიღებასა და მის სათავადოდ გადაქცევაში ბაგრატის, როგორც „პროვინციის მეფის“ სტატუსმა სათანადო როლი ითამაშა. ბოლო „პროვინციის მეფე“ — ბაგრატი პირველი მუხრანბატონი და ბაგრატიონთა სამეფო სახლის ამ მნიშვნელოვანი განშტოების მამამთავარი გახდა.

მეორე საკითხია, თუ რატომ მაინცადამაინც მუხრანი და არა რომელიმე სხვა ისტორიულ-გეოგრაფიული ქვეყანა. მუხრანს ხომ უდიდესი სტრატეგიული და სოციალურ-პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა.

მუხრანი სამეფო დომენი იყო და ბატონიშვილს, ამ შემთხვევაში ბაგრატს, საუფლისწულო მამული სწორედ სამეფო დომენიდან შეეძლო მიელო და არა ვთქვათ ქსნის საერისთავოდან, საამილახვროდან, საციციანოდან თუ სხვ. მაგრამ ეს საკითხის ერთი მხარეა. ხაზგასასმელია მეორე მომენტიც: სამეფო ხელისუფლების დასუსტებისა და „ზარტეხილობის“ პერიოდში



ნიკო ბურის (1868-1933) სახახლე. XIX ს.

დავით X-ის ტახტის წინაშე აშკარად დადგა ამ უძველესი და უმნიშვნელოვანესი სამეფო დომენის დაკარგვის საშიშროება, რომლისთვისაც ასე აქტიურად იბრძოდა ჯერ კიდევ დავით აღმაშენებელი. ქართლის სამეფო ტახტს უნდა გადაეწყვიტა მისი გადარჩენისა და შენარჩუნების საკითხი.

საშიშროება აშკარა იყო:

1) მუხრანის მთიანეთში ორი ძლიერი სათავადო – ქსნისა და არაგვის საერისთავოები სამფლობელოების გაფართოებისათვის იბრძვიან. მათი ინტერესი მუხრანისადმი ერთ-ერთ ადგილზე იზრდება. ასეთ ვითარებაში დასუსტებული სამეფო ტახტის მიერ სამეფო დომენის ამ ტერიტორიის დაკარგვა ადვილად იყო მოსალოდნელი.

2) ქსნისა და არაგვის საერისთავოების გვერდით მუხრანის მიმართ აქტიურდებიან მესამე სათავადოს წარმომადგენლები – ზევდგინიძეები. XV საუკუნის II ნახევარში, ზევდგინიძეთა საგვარეულოში არსებული შინადაპირისპირების პირობებში, კონსტანტინე II-მ ზევდგინიძეთა ერთი შტო ქართლიდან გააძევა, ხოლო მეორეს (ავთანდილ ზევდგინიძის შვილებს) გორის მოურაობა და საამილახვრო დაუმკვიდრა. მამისა ზევდგინიძე თავის შთამომავლებთან ერთად კახთ-ბატონს შეეხიზნა. ავ-გიორგის ქართლში ლაშქრობისას ზევდგინიძეთა განდევნილი შტო, ბუნებრივია, განსაკუთრებით აქტიურობს. ისინი პირველ რიგში საამილახვროთი არიან დაინტერესებულნი, მაგრამ სამუხრანოს გარკვეული მამულებისთვისაც იბრძვიან.

3) მუხრანს განსაკუთრებული საშიშროება, როგორც უკვე აღინიშნა, ავ-გიორგის მხრიდან დაემუქრა – მისი ლაშქრობების დროს.

დავით X-ს რაიმე ღონისძიებისათვის უნდა მიემართა. იგი სამეფო ტახტის სისუსტისა და მუხრანის რეგიონის მნიშვნელობიდან გამომდინარე, იძულებულია ამ უძველესი სამეფო დომენის ტრანსფორმაციაზე წავიდეს. მეფე თანახმაა, მუხრანი ბაგრატიონთა ერთ-ერთი შტოს ხელში დარჩეს და ასეთი ფორმით მაინც შენარჩუნდეს მისი ყოფნა სამეფო ხელისუფლების გავლენის სფეროში (2, 102). ეს ნაბიჯი ქართლის სამეფო ტახტის მხრიდან იძულებით ღონისძიებად მოჩანს. მეფის აზრით, ასეთი გადაწყვეტილებით გარკვეული ფორმით მაინც მოხერხდებოდა სამეფო დომენის ამ ტერიტორიის დაცვა-გადარჩენა, მითუმეტეს, როცა დავით X ხედავს, რომ ამ სამეფო დომენის გადაქცევა სათავადოდ მისი სურვილის დამოუკიდებლადაც მოხდება. ამიტომ მიდის ასეთ ნაბიჯზე, ოღონდ კი იგი სამეფო დინასტიის ერთი შტოს ხელში დარჩეს.

ასეთი იყო სამეფო ტახტის პოზიცია, ქვეყანაში შექმნილი რეალობა კი ამ ჩანაფიქრს სრულიად სხვაგვარ განხორციელებას უქადდა: ბაგრატ ბატონიშვილის საუფლისწულოდ გადაცემული მამული სათავადოდ ანუ დიდებული თავადის სამფლობელოდ გადაიქცა. სწორედ XV საუკუნის II ნახევარსა და XVI საუკუნის I ნახევარში არსებულ სიტუაციაზე ამბობს ბერი ეგნატაშვილი: „აქა არღარა იცვალებოდა ერისთავნი და არცა თავადნი, ყოველნივე ჰევსა და სანახებსა და თემთა და ადგილთა მკჳდრ ქმნილიყვნენ, და ვისცა მამულს მისცემდა, მკჳდრად მიეცემოდა...“ (1, 348). ასეთ ვითარებაში ბუნებრივია, რომ ბაგრატ ბატონიშვილს საკუთარი ფეოდალური ინტერესები ყველაფერზე მაღლა დაეყენებინა და თავისი „საუფლისწულოს“ სამემკვიდრეოდ გადაქცევისათვის ეზრუნა (3, 367). სათავადოს ხასიათიდან გამომდინარე, სამუხრანბატონოს შექმნა მას ისეთივე ურთიერთობაში აქცევდა სამეფო ხელისუფლებასთან, როგორც ნებისმიერ სხვა სათავადოს. ამიტომ ცენტრი ასეთი საშუალებით ამ ტერიტორიას ველარ ინარჩუნებს – იგი სამეფო ხელისუფლებამ კი არა, არამედ სამეფო დინასტიის ერთ-ერთმა განშტოებამ მოიპოვა სამკვიდროდ. ამიერიდან იგი უკვე „პირველი თავადის“ სამფლობელოა და ამ კუთხით მას ტახტთან აღარა აქვს საერთო. მეფე თავისი დომენის აღნიშნულ ტერიტორიას ველარ ინარჩუნებს. ასეთი საფეოდალოს გაჩენა კიდევ უფრო ასუსტებს ქართლის ტახტს და ხელს უწყობს სეპარატისტულ ტენდენციებს. სათავადო – სამუხრანბატონოს წარმოშობა ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური დაძაბუნების შედეგი იყო.

ამ ვითარების გადაჯაჭვამ ბაგრატის „პროვინციის მეფობის“ სტატუსთან ხელი შეუწყო სამუხრანბატონოს ჩამოყალიბებას, რამაც ბაგრატიონთა სამეფო სახლში ერთ-ერთი პირველი საგვარეულო განშტოების – მუხრანბატონთა წარმოშობა განაპირობა. „პროვინციის მეფეთა“ ინსტიტუტი ბაგრატიონთა ამ გათავადებული შტოს გაჩენის ისტორიას ახალ ნიუანსებს მატებს. განშტოებაში „პირველი თავადი“ უპირველესი ოჯახის უფროსია, რომლის მეთაურს „მუხრანის ბატონი“, ხოლო უმცროსებს „მუხრანის ბატონის ბატონიშვილი“ ეწოდება. ამ განშტოების „სხუანი“ ანუ უმცროსი მუხრანელი ბაგრატიონები „მეორისა“ და „მესამისა“ თავადობის „ხარისხისანი“ არიან. იოანე ბატონიშვილი მუხრანბატონების („მეორისა ხარისხით ბაგრატოანად წოდებულნი და პირველნი თავადნი“) განაყოფებსაც ასახელებს: 1) კონსტანტინეს შვილები, 2) ბაგრატის შვილები, 3) სვიმონის შვილები, 4) ივანეს შვილები.

1658 წელს ბახუტას ანუ შემდეგ ვახტანგ მუხრანბატონის (შაჰნავაზი) ქართლის სამეფო ტახტზე ასვლით მოხდა ბაგრატიონთა სამეფო საგვარეულო განშტოების — მუხრანბატონთა უფროსი შტოს გამეფება. სამუხრანბატონოში მფლობელობას მუხრანბატონთა უმცროსი შტო, კერძოდ, ვახტანგ V-ის უმცროსი ძმა — კონსტანტინე აგრძელებს. მუხრანბატონებად და მუხრანბატონის შვილებად უკვე მისი შთამომავლები იწოდებიან.

დავით ნინიძე
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი,
თსუ საქართველოს ისტორიის კათედრის დოცენტი

ლიტერატურა

1. **ბერი ეგნატაშვილი.** ახალი ქართლის ცხოვრება. პირველი ტექსტი. წგნ.: ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. II. თბ. 1959.
2. ჯონდო **გვასალია.** აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ნარკვევები (შიდა ქართლი). თბ. 1955.
3. დავით **გვრიტიშვილი.** ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან (ქართლის სათავადოები). თბ. 1955.
4. კონსტანტინე **გრიგოლია.** ვახტანგის „ბაგრატოანთ ნათესაობის წიგნი" და მისი ხელნაწერი. მის წგნ.: ახალი ქართლის ცხოვრება. თბ. 1954.
5. **ვახუშტი ბატონიშვილი.** აღწერა სამეფოსა საქართველოსა. წგნ.: ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. IV. თბ. 1973.
6. ჟურნ. „ივერია". IV. 1884.
7. რუსუდან **მეფისაშვილი.** ვალეს ტაძარი და მისი აღმშენებლობის ორი ძირითადი პერიოდი. ARS GEORGICA (ქართული ხელოვნება). 3. თბ. 1950.
8. დავით **ნინიძე.** „პროვინციის მეფეები" XIV-XV სს. საქართველოში. თბ. 1995.
9. დავით **ნინიძე.** ბაგრატიონთა სამეფო სახლის განშტოებათა წარმოშობისათვის. ჟურნ. „მაცნე". ისტორიის, ... სერია. № 3-4. 1993.
10. სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XV-XVI სს.). გამოსცა ჭრ. შარაშიძემ. თბ. 1961.
11. **ფირდოუსი.** შაჰ-ნამე. იუს. ამულაძის, ალ. ბარამიძის, ვ. ინგოროყვას, კ. კეკელიძის და ა. შანიძის რედაქციით, კომენტარებით და ლექსიკონით. II. ტფ. 1934.
12. **Белокуров С. А.** Сношения России с Кавказом. вып. I (1578-1613 гг.). М. 1889.
13. **Такайшвили Е. С.** Серебряное знамя Мухранского владетеля Константина, 1745 г. "Изв. Кавк. отд. Имп. Моск. арх. Общества". вып. II. 1907.
14. **Церетели Г. Ф.** Археологическая экскурсия по Квирильскому ущелью. "Материалы по археологии Кавказа". вып. VII. Под редакцией графини Уваровой. М. 1898.

ნიკოლოზ ედიშერის ძე მუხრანბატონის ოჯახი. უცნობი მხატვარი. XIX ს. ნახევარი წლები.

მუხრანბატონთა გვრეტილი



XVIII-XIX სს.

XVIII-XIX სს.

XIX ს.



XX ს.

XX ს.

აქვე გთავაზობთ მუხრანელი ბაგრატიონების სრულ გენეალოგიურ ტაბულას მათი წარმოშობიდან დღემდე. შემდგენლები:

იური ჩიქოვანი

ქართული გენეალოგიური საზოგადოების თავმჯდომარე;

სოსო ბიჭიკაშვილი

საზოგადოება „ბაგრატოვანთა სახლის“ ისტორიული განყოფილების ხელმძღვანელი;

დავით ნინიძე

ისტორიის მეცნ. კანდიდატი, თსუ საქართველოს ისტორიის კათედრის დოცენტი.

მუხრანბატონთა გენეალოგიური ტაბულა





ბაგრატ
✳ 16. 07. 1572
ელენე

თეიმურაზ
(≈1605-1625)
† 1625
ანა, ნუგზარ არაგვის ერისთავის ასული
o1618

ქაიხოსრო
(1625-1626)
† 1629
თინათინ,
მამა II გურიელის ასული
o1618, † 1627

ერეკლე
(1581-≈1605)
✳ 29. 03. 1560
1578
თამარ

ელენე o1572

ჯუსეინ-ბეგ

ქეთევან („წამებული")
✳ 1561-მდე (?)
† 22. 09. 1624
1587
დავით I, კახეთის მეფე
(1601-1602)

III (XXIX)

ვახტანგ
(ვახტანგ V), (ბახუტა)
(1629/33-1658) † 1676

ლუარსაბ
o1620-იანი წწ.

არჩილ
o1618-1637

დავით
o1618-1631

ერეკლე
o1618-1676

კონსტანტინე
(1658-1667) † 1667
დარეჯან, ღონანა
აბაშიძის ასული
† 1667

დარეჯან
ქაიხოსრო ბარათაშვილი
o1619, † 1626

აშოთან
(1688-1692)
o1637, † 1697-მდე
ანა
o1687

ბაგრატ
o1618-1622
ქეთევან,
გივი ამილახორის და
o1622

დიმენტი III
კათალიკოსი
(1660-1676)
o1643, † 22. 09. 1676

დედისიმედი
o1659, † 1671
პაპუა, ზაზა ციციშვილის ძე
o1624-1663

ელენე
o1627-1675
გიორგი, ნუგზარ არაგვის ერისთავის ძე
o1617-1647

თინათინ

IV (XXX)

თეიმურაზ
(1667-1688) † 1688
1
ანა o1687
2
ქეთევან ორბელიშვილი

პაპუა
(1692-1696,
1709-1717(?))
1651(?)-02. 1717
თამარ,
ლევან აბაშიძის ასული
† 1704

ქრისტეფორე
ეპისკოპოსი
o1683-1703

დავით
o1670, † 5. 11. 1728

ერეკლე
(1701-1717)
† 1723

თათია o1661-1664
ბაგრატ IV იმერეთის მეფე
(1660-1681 ხანგამოშვებით)

თამარ † 1683
1 1661
ლევან III დადიანი
(1661-1680)
2 1663
ბაბრატ IV იმერეთის მეფე
3 1683
გიორგი III გურიელი
(1664-1684)

ქაიხოსრო o1672-1700

? იესე
(1700)
† 1716

თინათინ o1701-1712

სიმონ o1659-1665

ნიკოლოზ,
ბოლნელი ეპისკოპოსი
o1665-1687

V (XXXI)

ეროვნული ბიბლიოთეკა

1 კონსტანტინე (1696-1700) † 1716

ნინო, დავით ამილახვრის ასული

1 ოტია o1670, † 1718

1 ადარნასე o1670-1701

1 ბაგრატ o1687-1703

ელენე o1687

ლევან (1717-1721, 1736-1739) o1670, † 14. 05. 1739

ელენე, ქაიხოსრო სარდლის დისწული

დარეჯან 1684

ფარსადან, ნოდარ ციციშვილის ძე o1680-1732

დავით o1703, † 1729

მამუკა (მაჰმად-ბეგ) (1730-1735)

აშოთან o1738, † 1750

გივი o1717

ბაგრატ o1671-1717

VI (XXXII)

კონსტანტინე (1739-1756) 1716-26. 10. 1756

1 ძმთევან

2 ბარბარე, ბარძიმ არაგვის ერისთავის ასული † 1790

ალექსანდრე o1717

ოტია ✻ 1718

ლუარსაბ ✻ 24. 03. 1715

ლევან (პატარა) ✻ 1. 02. 1719

პაპუნა 1. 02. 1719-1740

სვიმონ „ნასახ-ჩიბაში“ (1756-≈1778) 17. 08. 1726-13. 03. 1785

1 თამარ

2 ანა † 13. 03. 1823

იოანე 1727-1. 01. 1793

ხორეშან, დავით ნაზირის ასული o1810

მამუკა

ელია (ილია) ✻ 20. 06. 1728

ედიშერ (ედია) ✻ 20. 01. 1734

✠ ქრისტეფორე, წილკნელი ეპისკოპოსი o1727-1736

გიორგი (გოგია) o1757-1788

გიორგი (გოგია) o1757-1758

სვიმონ ✻ 1. 04. 1715 o1757-1795

ბაგრატ o1795

VII (XXXIII)

2 ძმთევან 20. 02. 1744-4. 03. 1808

ვახტანგ, ერეკლე II-ის ძე 1742-60

2 მარიამ

1 გეგლარ (იოანე), ქსნის ერისთავი 1764-1768

2 გივი ჩიტაიშვილის o1756-1773

2 დავით ✻ 13. 12. 1755

2 იოანე (≈1778-1801) 13. 12. 1755-1801

1781 ძმთევან, ერეკლე II-ის ასული 1764-5. 07. 1840

2 თინათინ ✻ 1756, o1807

1794 მზეჭაბუკ, პაპუნა ორბელიანის ძე † 1794

ლევან ✻ 1753

ლუარსაბ ✻ 15. 02. 1754

2 კაცია o1826

2 გიორგი ✻ 1767, † 1827

ეკატერინე, ნიკოლოზ აბაშიძის ასული o1822

2 ერმილე (ერმია) ✻ 1780, o1843

ძმთევან ვაჩნაძე

2 დავით † 1828-მდე

1807 მარიამ o1828

2 დიმიტრი † 1812

1792 ნინა o1817

2 სალომე o1820

დავით, ლუარსაბ აბაშიშვილის ძე ✻ 1744, o1808

სალომე o1806

ნიკოლოზ, სიმონ თუმანიშვილის ძე † 1804

ნიკოლოზ ✻ 3. 12. 1767, o1794

პაპუა ✻ 25. 12. 1770

ედიშერ ✻ 1787, o1810

თამარ, ივანე მაჩაბელის ასული

ბაგრატ o1803-1810, † 1832-მდე

1 ?

2 თინათინ, დიმიტრი დიასამიძის ასული ✻ 1775, o1832

VIII (XXXIV)

გაგრძელება იხ. გვ. 34

სიმონ
✻1796, o1826
13. 01. 1822
ბარბარე, ქრისტეფორე ჩრდილელების ასული o1822

ლუარსაბ
✻1797, o1826

ნინო o1819
14. 11. 1819
პეტრე, გიორგი გაბაშვილის ძე
✻1792, †1844-მდე

სოფიო
1809-27. 09. 1847
1827
ალექსანდრე, ივანე სუმბათაშვილის ძე
1801-1844

მარიამ o1847
დავით, რევაზ ციციშვილის ძე ✻1816, †1866-მდე

ლევან ✻1814, o1829-31

პეტრე ✻1816, o1824-31

მელანია
✻ 20. 01. 1819, †≈1866
9. 11. 1835
ნიკოლოზ, ყაფლან ვაჩნაძის ძე ✻1806

თამარ ✻1805, o1877
დიმიტრი, სოლომონ მელიქიშვილის ძე ✻1796, o1846

გლახა †1822-მდე

სოლომონ
✻1810, †1844-მდე
3. 01. 1835
ანა ლუარსაბის ასული o1835

ასული o1807
გრიგოლ კობიაშვილი

ბავშვი † 1812

ბავშვი † 1812

ბავშვი † 1812

თინათინ o1843

ნიკოლოზ
1807-10. 05. 1864
11. 11. 1823
თამარ, ივანე ჯორჯაძის ასული 1813-9. 04. 1878

ელიშერ o1808

ქაიხოსრო 1799-1857
9. 02. 1830
ბარბარე, ალექსანდრე აბესაძის ასული o1830

გიორგი o1808-1820
მარია ივანეს ასული o1859

ქეთევან ✻1807, o1832
17. 05. 1822
ლევან, ლუარსაბ ქნნის ერისთაების ძე ✻1805

მაია ✻1812, o1820-1832

თინათინ
ივანე, ოქროპირ ამირეჯიბის ძე ✻1810, o1830

ალექსანდრე
✻14. 10. 1824, †1872-მდე
1 2. 02. 1856
ივლიტა, სიმონ პავლიაშვილის ასული 1830-10. 04. 1860
2 1872
მარიამ, ბარძიმ ხიმშიაშვილის ასული
✻1843, †1949-მდე

როსტომ o1889

მარიამ †1896

ალექსანდრე

დავით
✻ 30. 05. 1837, o1872
მარია პეტრეს ასული o1878

დიმიტრი
✻8. 01. 1842, †1884-მდე
ნინა, დავით გლურჯიძის ასული

სალომე
✻1825, o1852-1869
3. 07. 1843
არჩილ, თეიმურაზ ბაგრატიონ-მუხრანსკის ძე
✻1824, †1862-მდე

ირაკლი
10. 01. 1833-1857

გიორგი
10. 11. 1834-1884
მპატერინე, ოაკინთე ალექსი-მესხიშვილის ასული
1845-12. 05. 1905

ალექსანდრე
✻ 15. 03. 1838, o1841

ანა 1839-1913
პლატონ, თეიმურაზ ოთხელიანის ძე 1809-1875

მაპრინე
9. 04. 1842-1919
ალექსანდრე, ბეჟან ბუჭუკაშვილის ძე
24. 08. 1825-28. 02. 1902

ელიზბარ o1861

მართა ✻ 1856
რევაზ, ლუარსაბ ქნნის ერისთაების ძე ✻1816, o1865

ივანე
✻ 28. 12. 1835, o1858-1863

ალექსანდრე
✻25. 08. 1838, †1892-მდე
ქეთევან ოთესების ასული o1892

კონსტანტინე
✻13. 07. 1841, o1858-1863

ქეთევან
28. 08. 1843-3. 08. 1914
ილია, ივანე წინამძღვრიშვილის ძე

ანა
27. 09. 1831-14. 01. 1899
ალექსანდრე, იური კოვაკოს ძე †1900

ნიკოლოზ
1. 11. 1862, o1872

ალექსანდრე
10. 05. 1864-1897
ევფემია, ლევან თულაშვილის ასული
✻1866, †1931-მდე

გიორგი
23. 04. 1870-1933
1
ციციშვილი
2
ნინო, მიხეილ საგინაშვილის ასული

ივანე
12. 06. 1872-11. 08. 1905
ელენე, ბეჟან რატიშვილის ასული †1930

ლევან
25. 12. 1863-1901
ანასტასია, სიმონ წერეთელის ასული

ნიკოლოზ(ნიკო ბური)
12. 01. 1865-9. 05. 1933
1902
ანა, ალექსანდრე ბუჭუკაშვილის ასული
1883-1959

ივანე 24. 03. 1868-1889

მიხეილ
5. 08. 1872-1942
ვარვარა სიმონიჩი

ალექსანდრე
15. 10. 1873-1892

დავით
22. 02. 1877-1940
ეპატერინე, ფედორ ენგელმის ასული
1878-1963

ილია
28. 05. 1878, o1885

თამარ
21. 11. 1881-20. 07. 1960
მიხეილ, დავით ჭავჭავაძის ძე 8. 04. 1873-1918

ქაიხოსრო
(კონსტანტინე)

ევსები

გიორგი

თეიმურაზ

როსტევან

პეტრე

რევაზ

კონსტანტინე
16. 07. 1870, o1892
სოფიო ილიას ასული

გიორგი
15. 07. 1871, o1898

IX (XXXV) X (XXXVI) XI (XXXVII)

ეკატერინე
6. 03. 1892-1984

იმსე, ენთეოზ ყარანგოზიშვილის ძე
1879-24. 10. 1949

ვლადიმერ
25. 09. 1894-28. 05. 1969

მარიამ, ლაზარე გომელაურის ასული 1895-1962

ლია 1916-1931

ოთარ
5. 05. 1918-20. 11. 1988

7. 12. 1944
ნინო, ეტიენი ვალაჭკორიას ასული ✻ 11. 12. 1922

ვლადიმერ
✻ 3. 01. 1947

07. 1970
ძმითვან, პავლე ბერიძის ასული ✻ 16. 11. 1947

ლია ✻ 5. 09. 1957
1
19. 08. 1976
ევგენი, გიორგ ვსპოლინის ძე ✻ 10. 02. 1956
2
26. 02. 1994
თეიმურაზ, ევგენი ფეიზიაის ძე ✻ 9. 05. 1954

დიმიტრი 1892-1960

თამარ, სოლომონ ბაგრატიონ-დავითიშვილის ასული 1891-1975

მარიამ ✻ 3. 08. 1947
1
გივი, ამირან ჩხარტიშვილის ძე ✻ 1938
2
ლევან, ალექსანდრე ჭურჩაშვილის ძე ✻ 1945

კონსტანტინე
1894-1963

1921
ლუბა, თეودორ ციხისელის ასული 1899-1984

ნინო 1899-1986

ვალერიან, მინა ბაჭრაძის ძე 1901-1971

მედეა ✻ 1922

ვიქტორ, ვასილ პავლოვის ძე 1920-1961

რუსუდან ✻ 1926

გიორგი, ალექსანდრე მაზურინის ძე 1924-1974

თამარ
21. 05. 1899, ο1909

სიმონ 1. 09. 1895-1924

ნინო, ვასილი ბაგრატიონ-დავითიშვილის ასული
3. 03. 1897-1969

XII (XXXVIII)

გიორგი *(ბავშვი)*

ნატალია
14. 02. 1903-28. 09. 1979

შან ტურანელი 1885-1977

რუსუდან
24. 11. 1905-1986

ივანე, ვასილ ჩიგვაიძის ძე 1900-1979

ალექსანდრე
2. 05. 1907-21. 06. 1934

ირინ ✻ 14. 04. 1910

ოლგა 1903-1928

ნინო 1906-1924

ირაკლი 1910-1940 —— მედეა ✻ 1938

როინიშვილი ✻ 1911

კონსტანტინე
1915-1926

ნინო 30. 05. 1905-1965

ნიკოლოზ, კუსტატე ზედგინიძის ძე

ლუდმილა
3. 07. 1907-1927

ლეონიდ
✻ 30. 06. 1909
1
ძმითვან, მიხეილ ქათამაძის ასული 1909-1979
2
გალინა, ნიკოლოზ ლიაშენკოს ასული 1920-1988

ძმითვან 1914-1963

XIII (XXXIX)

1 ია ✻ 24. 06. 1941

ნიკოლოზ, ევგენი ამირეჯიბის ძე ✻ 1939

2 ირინა ✻ 1945
1
ევგენი, ვიქტორ მაევსკის ძე ✻ 1944
2
ალექსანდრე, ილია ფეინბერგ-სამოილოვის ძე 1941-1981

XIV (XL)

ნინო ✳ 29. 03. 1971
ლაშა, გურამ ფანფიკიძის ძე ✳ 1962
ოთარ ✳ 29. 04. 1973

დასაწყისი იხ. გვ. 31

XV (XLI)

კონსტანტინე (1801) 1782-7. 09. 1842
1 ?
2 16. 05. 1810
ხორეშანი, ზაალ გურამიშვილის ასული 1786-21. 11. 1831

- ივანე 7. 12. 1812-11. 03. 1895
  1836
  ნინო, ლევან V დადიანის ასული 1816-28. 10. 1886
- ირაკლი 17. 07. 1813-1892
  [illegible]
  მეკატერინე, ივანე არლუთინსკის ასული ✳ 1830
- ალექსანდრე 15. 08. 1817-25. 08. 1851
  ანა, ოქროპირ ბატონიშვილის ასული ○1838, † 1898
- გიორგი 16. 07. 1820-13. 01. 1874
- მეკატერინე ✳ 1825
- მარიამ ✳ 1826, ○1827
- მიხეილ 13. 11. 1831-11. 05. 1907
  ეკატერინა, დიმიტრი ივინსკის ასული 1833-1856
  - კონსტანტინე ○1799
  - ლევან ✳ 1811, ○1850
  - დიმიტრი ✳ 1813, ○1827
  - თამარ ✳ 1817, ○1827
  - არჩილ 8. 08. 1824-1862-მდე
    3. 07. 1843
    სალომე, ნიკოლოზ ბაგრატიონ-მუხრანსკის ასული ○1843-1869

IX (XXXV)

- თეიმურაზ ✳ 1784, ○1827
  1 ორბელიანი † ≈1820
  2 3. 05. 1823
  ძმისშვილი, არტემ აკიმოვის ასული † 1827-მდე
- გრიგოლ (გიორგი) 1787-25. 02. 1861
  მარიამ, ქაიხოსრო წერეთელის ასული 1807-1877
- ბარბარე 1790-24. 07. 1843
  თეიმურაზ (ალექსანდრე), იესე ქსნის ერისთავის ძე 1770-1860
- დავით 1793-22. 05. 1878
  1815
  სოფიო, სოლომონ არლუთინსკის ასული † 29. 10. 1834
- თამარ ✳ 1798
  ზაქარ, იაკობ ფალავანდიშვილის ძე ✳ 1796, ○1842
- ირაკლი ✳ 1800, † ≈1816

X (XXXVI)

- მახტანგ 8. 10. 1817-22. 08. 1902
- ნიკოლოზ 16. 07. 1822-29. 01. 1885
  ანა, დიოდორ ტრუბნიკოვის ასული
- დარია (*ბავშვი*) ✳ 28. 10. 1823
- მსტატე 11. 01. 1830-12. 03. 1908
  1 გენია, ლეონტი ცეიტლინის ასული ○1871
  2 ბახვალოვა ✳ 15. 02. 1853
- დიმიტრი 2. 06. 1833-1839

კონსტანტინე
24. 12. 1838-2. 05. 1903
1858
ელისაბედ, ნიკოლოზ ფალავანდიშვილის ასული
1. 07. 1840-20. 12. 1916

ვარვარა
7. 12. 1848-1930

სოფიო
15. 06. 1850-8. 10. 1932
1876
სერგეი, ნიკიტა ტრუბეცკოის ძე
1829-14. 06. 1899

ძეთევან
3. 04. 1852-1. 07. 1918
ალექსანდრე, გიორგი ამილახვარის ძე
6. 03. 1845-23. 11. 1919

ალექსანდრე
20. 07. 1853-20. 10. 1918
25. 10. 1881
მარია, დიმიტრი გოლოვაჩოვის ასული
11. 10. 1855-12. 06. 1932

გიორგი (გრიგოლ)
1. 09. 1854, o1857

თამარ
18. 03. 1855, o1918
ზაქარ, ალექსანდრე ჯორჯაძის ძე ✻ 6. 07. 1847

ლევან
19. 01. 1862-1888

მიხეილ *(ბავშვი)*

ალექსანდრე
16. 03. 1856-19. 11. 1935
25. 05. 1879
ნინო, იოსებ თარხან-მოურავის ასული
27. 10. 1860-28. 01. 1934

ნიკოლოზ
30. 01. 1861-1914

სოფიო ✻ 23. 04. 1863
ზინკევიჩი

ვერა ✻ 11. 12. 1866
1889
ოსკარ, ალექსანდრ ხედერსჯერნის ძე

კონსტანტინე

დიოდორე o1892
1
ძსენია, დიმიტრი შკოტის ასული
2
კორეპუტ-დაშკევიჩი

გიორგი
10. 01. 1875-1928
ზინაიდა, ვასილ ბიკოვის ასული

სოფიო
18. 12. 1876-1956
კონსტანტინე, ნიკოლოზ რატიშვილის ძე ✻ 1886

თამარ ✻ 12. 01. 1894
1
ნიკოლოზ, ლევან სიდამონ-ერისთავის ძე ✻ 1888
2 27. 12. 1919
ნორმან ვიტეხაუსი ✻ 1886

XI (XXXVII)

ნინა
2. 09. 1882-10. 11. 1972

გიორგი
16. 07. 1884-29. 09. 1957
1908
ელენე, სიგიზმუნდ ზლოტნიცკის ასული
29. 03. 1886-25. 04. 1979

ელისაბედ
14. 04. 1880-8. 04. 1915
1 23. 10. 1899
ბორის, სერგეი შერემეტიევის ძე
8. 01. 1871-17. 04. 1952
2 14. 04. 1914
მარკო მორიცო დე ლა როკა
10. 05. 1881-6. 11. 1945

მარიამ
2. 08. 1882-16. 02. 1893

მიხეილ
23. 08. 1883-1926
1907
დარია, ევგენი ჭობულაშვილის ასული
23. 08. 1885-1939

ანასტასია
30. 01. 1885-1972
15. 10. 1905
ვასილ, დიმიტრი იაკოვლევის ძე
13/25. 03. 1882-1937

გიორგი
7. 03. 1886-29. 06. 1922
15. 01. 1912
ოლგა, ალექსი სინელნიკოვის ასული
9. 07. 1893-15. 04. 1969

ივანე
23. 07. 1887-27. 06. 1888

კონსტანტინე
2. 03. 1889-19. 03. 1915
24. 08. 1911
ტატიანა, დიდი მთავრის კონსტანტინე რომანოვის ასული
11. 01. 1890-1979

კირილე
5. 02. 1898-17. 02. 1898

1 **ლუსია**
1 **კირილე**
1 **დიმიტრი**
1 **მარინა**

თამარ
18. 08. 1909-1991

თეიმურაზ
✻ 11. 06. 1915
4. 06. 1942
სილვია გალოუ პალასლო

ნიკოლოზ *(ბავშვი)*

XII (XXXVIII)

ირაკლი
21. 03. 1909-30. 11. 1977
1
მარია ბელაფე

2 **გიორგი**
✻ 22. 02. 1944

1 ♛ 10. 03. 1963
მარია დე ლას მერსედეს ზარნოზა ი პონსე დე ლეონ
✻ 14. 08. 1942

2 ♛
ნურია ლიიპესი
✻ 14. 10. 1953

1 **მარია-ანტუანეტა**
✻ 21. 06. 1969

1 **ირაკლი**
✻ 26. 08. 1972

1 **დავით**
✻ 24. 06. 1976

2 **უგო (გურამ)**
✻ 14. 02. 1985

3 **მარია**
✻ 27. 06. 1947
♛ 24. 10. 1968
ხოსე ლუის ბლანკო დე ბრიონესი
✻ 23. 12. 1935

3 **ბაგრატ**
✻ 12. 01. 1949
♛ 12. 11. 1976
მარია დელ კარმენ ულოა ისველვეზი
✻ 6. 05. 1953

ივანე
✻ 12. 08. 1977

ინესა
✻ 4. 12. 1980

მიხეილ
✻ 8. 11. 1938
♛
ალბინა, ნიკოლოზ სიფრონოვის ასული
✻ 22. 05. 1944

ალექსანდრე
✻ 18. 03. 1973

ირაკლი
✻ 13. 02. 1977

ირინე
✻ 28. 03. 1942
♛
ვახტანგ კვაჭაძე
✻ 19. 03. 1937

ქეთევან
✻ 20. 07. 1954
♛ 6. 06. 1978
რაიმონდიო უმბერტო მარია ორსინი (პრინცი)
✻ 18. 11. 1931

ალექსანდრე
✻ 4. 08. 1956

თამარ
✻ 23. 04. 1950

საქართველოს გერბი

საქართველოს სახელმწიფო გერბს სამსაუკუნოვანი ისტორია აქვს. იგი ისეთივე მრავალგვარი და ცვალებადია, როგორც ჩვენი სამშობლოს უკვანსკნელი სამასი წლის ცხოვრება. გერბმა, ვითარცა ქვეყნის უტყუარმა სახემ, სარკესავით აირეკლა და უჩუმრად აღბეჭდა ყველა ის ცვლილება, რომელიც საქართველომ ამ ხნის განმავლობაში განიცადა. წინამდებარე ნაშრომში შეეცდებით თვალი გავადევნოთ ეროვნული სიმბოლოს დამკვიდრების ჯერაც შეუწყვეტელ პროცესს, მისი პერალდიკური სახით ჩამოყალიბებიდან დღევანდლამდე.

პირველი ქართული გერბი

სხვა მონარქისტული ქვეყნებისაგან განსხვავებით, საქართველოს სახელმწიფო გერბი თავდაპირველად სრულებით არ ემთხვეოდა მმართველი სამეფო დინასტიისას. ეს იმით უნდა იყოს გამოწვეული, რომ პირველი ქართული სახელმწიფო გერბი უცხო ქვეყანაში — რუსეთში და ფიქსირებული. რუსეთის მეფის — ალექსეის ე. წ. „ტიტულიარნიკში" (უძველესი რუსული საგერბე, ქვეყანაში დასავლურ სიახლეთა შემოღების ერთ-ერთი მაუწყებელი). ბუნებრივია, ამ პრეტენზიის გერბში ნაკლებად გაუსვამდნენ ხაზს და მიჩქმალავდნენ კიდეც სხვა სამეფო სახლის უფლებას მოცემულ ტერიტორიაზე. XVIII საუკუნის დამდეგიდან ყოველივე თავის ადგილზე დგება და უკვე მეტწილ ბაგრატოვანთა სიმბოლიკა წარმოადგენს საქართველოს. თუმცა, ამაზე ქვემოთ ვისაუბრებთ.

ქართლისა და საქართველოს გერბი „ტიტულიარნიკიდან". 1672 წ.

ქართლის გერბი ყორბის ლლიურიდან. 1698-1699 წწ.

ახლა კი განვიხილოთ თუ რას წარმოადგენს პირველი ქართული გერბი. იგი ორ ადგილასაა დადასტურებული; პირველი, ეს არის მეფე ალექსეი მიხაილოვიჩის 1672 წლის „ტიტულიარნიკი", სადაც ჩამოთვლილია მის მფლობელობაში მყოფი მიწები სიმბოლოებითურთ. მათ შორისაა გერბი „Карталинских, грузинских царей". ფარი სტილიზებულია (ფაქტიურად არცაა), მასში გამოსახულია მარცხენა არაჰერალდიკურ მხარეს შებრუნებული, ცხენზე ამხედრებული, შეაბჯრული წმ. გიორგი, მკერდზე

თეთრი ჯვრით, რომელიც შუბით გმირავს გველეშაპს (14, 188-189). ჯერჯერობით უცნობია და შეიძლება ვერც ველარასოდეს გაირკვეს ვისი რჩევით ან ფანტაზიით შეიქმნა პირველი ქართული გერბები, მაგრამ ცხადია, რომ წმ. გიორგის გამოსახვა საქართველოს გერბზე შემთხვევითი კი არ არის, არამედ პირდაპირი გამოვლინებაა ჩვენში საშობლოს მფარველად ამ წმინდანის აღიარებისა და მისი დიდი პატივისცემისა.

მეორე წყარო, სადაც საქართველოს გერბია დადასტურებული, არის მეფე ფიოდორ ალექსეევიჩთან წარგზავნილი რომის სალვთო იმპერიის დესპანის, ავსტრიელი კორბის დღიური. მასშიც ზემოთ აღწერილის იდენტური გამოსახულებაა, მაგრამ წარწერა მხოლოდ „Kartalinia"-ს შეიცავს (13, 39). ეს უმნიშვნელო ცვლილება წყაროს არაოფიციალურობით და აქედან გამომდინარე, გამარტივებისაკენ მიდრეკილებით თუ აიხსნება.

საერთოდ, „ტიტულიარნიკში" ქართული გერბების შეტანა გამოძახილია რუსეთ-საქართველოს შორის ელჩობათა იმ გახშირებული გაცვლისა, რომელსაც XVII საუკუნეში ჰქონდა ადგილი. ქართველი მეფეები ცდილობდნენ ჩრდილოელ მეზობელთან მჭიდრო კონტაქტის დამყარებას, ზოგი ვასალობასაც კისრულობდა, ასე რომ, გარკვეული საფუძველი რუსეთის მეფის ტიტულში საქართველოს მოხსენიებისა შესაძლოა მართლაც იყო. ეს თავის მხრივ, იმპერიის კავკასიისადმი ინტერესის გაღვივებას მოწმობს.

„ტიტულიარნიკში" მოიპოვება საქართველოსთან დაკავშირებული კიდევ ორი გერბი: ერთი, წარწერით „иверские земли", ორი ისრით გახვრეტილი ცეცხლის-მფრქვეველი მთა, სავარაუდოდ კახეთისაა; მეორე – მარცხნივ მაცქერალი, ყალყზე შემდგარი ცხენი. ზედა მარჯვენა და ქვედა მარცხენა თავისუფალ მხარეებში ოთხი რვაქიმიანი ვარსკვლავი. ყოველივეს თან სდევს საკმაოდ უცნაური წარწერა – „всея северныя страны повелитель" (14, 188-189). XVIII-XIX საუკუნეებში რუსეთის იმპერიის გერბმცოდნეობამ სამივე გამოსახულებას დახვეწილი ჰერალდიკური სახე მიალებინა. ამასთანავე, წმ. გიორგი მხოლოდ საქართველოს განასახიერებდა, ცეცხლოვანი მთა ქართლის გერბად იქცა, ხოლო ე. წ. სრულიად ჩრდილოეთის ქვეყნები ივერიად გადაკეთდა (14, 188).

„სრულიად ჩრდილოეთის ქვეყნების მბრძანებლის" გერბი „ტიტულიარნიკიდან". 1672 წ.

„ივერიის მიწების" გერბი „ტიტულიარნიკიდან". 1672 წ.

რუსეთის იმპერიის გერბი კორბის დღიურიდან. 1698-1699 წწ.
ისრებით მოთითებულია საქართველოსთან დაკავშირებული გერბები.

ვახტანგ VI-ის გერბი

ქართულ ჰერალდიკაში, სახელმწიფო გერბის ქრონოლოგიურ რიგში, მეორე ადგილზე დგას ქართლის მეფე გიორგი XI-ისად წოდებული ვახტანგ VI-ისეული გერბი. მისი უძველესი ვარიანტი გვხვდება 1709 წელს გამოცემულ სამოციქულოში. იმხანად გიორგი XI ირანის დროშის ქვეშ იბრძოდა ავლანეთს და თბილისში სამეფო გერბი მხოლოდ ვახტანგ VI-ის მიერ თუ შეიქმნებოდა. მითუმეტეს, ირან-ში, ასე ვთქვათ, კომპეტენციაში შედიოდა, ვინაიდან 1704 წლიდან ქართლის „ჯანიშინი", განმგე იყო. გერბს მიხეილ ვადბოლსკიც ვახტანგ VI-ისად თვლის (2, 94, ნახ. 135).

ეს არის ჩვენთვის ცნობილი პირველი, საკუთრივ საქართველოში ჩამოყალიბებული და დაფიქსირებული გერბი. ამიერიდან, რუსეთთან შეერთებამდე, საქართველოს სამეფოს გერბი თანხვდება მმართველი დინასტიისას.

ვახტანგ VI-ის გერბი (ყოფილურად გიორგი XI-ისა).

რაც შეეხება თვით გამოსახულებას: ქართული ორნამენტით გარემოცული კვადრატულ ფარში ოთხ ფრთოსან ანგელოზს სახელურებით უპყრია მცირე, მრგვალი, ე. წ. ბიზანტიური ფარი, რომლის ცენტრშიც მაცხოვრის კვართია (იგი ასახავს ცნობას, რომლის მიხედვითაც ქრისტეს სამოსი სვეტიცხოვლის ქვეშაა დაფლული). კვართის მარჯვნივ მეფსალმუნე მეფე დავითის ქნარია, მარცხნივ — მისივე შურდული (ლეგენდით ბაგრატიონები ხომ ბიბლიური, გოლიათის მძლე დავითის შთამომავალნი არიან), დაბოლოებაში კი სიასამურის ბეწვი მომცრო ჯვრით. საერთოდ, დაბოლოება (ასე ეწოდება გერბის უკიდურეს ქვედა ნაწილს) ძნელი გასარჩევია. ჩასმულ ფარს თავზე გვირგვინი ადგას, მარჯვნივ-მარცხნივ კი შესაბამისად სამეფო რეგალიები — ხმალი და სკიპტრაა მოთავსებული, ხოლო ქვევით ლეოპარდია გამოხატული. გამოუცდელი თვალისთვის ჰერალდიკურ ლომსა და ლეოპარდს შორის არც ისე დიდი განსხვავებაა, მაგრამ გერბმცოდნეობაში მათი გამოსახულებანი მკვეთრადაა გამიჯნული. ლომის ზოგადი ჰერალდიკური პოზა პროფილშია, ისე, რომ ჩანდეს მისი ცალი თვალი და ყური. იგი უკანა თათებზე დგას, წინა თათები კი მარჯვნივ აქვს მიმართული, სისხლიანი ენა ხახიდანაა გადმოგდებული, კუდი კი ზევითაა აპრეხილი და ბოლოთი ზურგისკენ ვარდება. ლეოპარდის ფიგურა იმით განსხვავდება, რომ სიარულშია წარმოდგენილი, ანუ სამ ფეხზე დგას, ხოლო მეოთხე ზევით აღუმართავს. თანაც, შემართული კუდი სხეულის საპირისპირო მიმართულებითაა გადახრილი. გერბი გამოირჩევა ორნამენტების სიუხვით.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ფარზე დატანებული ქარაგმები: პერანგის თავზე — †Ч (ქრისტეს კვართი), ქნარსა და შურდულს ზემოთ — ƧƬ (დავითის ქნარი) და ƧУ (დავითის შურდული). კვადრატის თავისუფალ ადგილებში შემდეგი ასოები იკითხება: Ք, Ո, Ƨ, Ս, Ѫ, Ղ, Կ, Ն. ეს ქარაგმები მარი ბროსემ ამგვარად გაშიფრა: „წყალობითა ღვთისათა, დავითიან პანკრატიონი მეფე გიორგი ყოვლისა საქართველოსი" (5, 41).

ზუსტად ასეთივე გერბს და წარწერას ვხვდებით 1712 წელს გამოცემულ „ევეგხისტყაოსანში". გაუგებარია, რით უნდა იყოს გამოწვეული გიორგი XI-ის სახელის მოხსენიება მისი სიკვდილის შემდეგ, მითუმეტეს, რომ 1710 წლის კონდაკში ქარაგმა უკვე შეცვლილია: Ք, Ո, Ղ, Ƨ, Ն, Ս, Ѫ, †, Կ, Ն — წყალობითა ღვთისათა, იესიან, დავითიან, სოლომონიან, პანკრატიონი მეფე ქაიხოსრო ყოვლისა საქართველოსი. ამ უცნაურ

მოვლენას ერთადერთი სავარაუდო ახსნა გააჩნია. 1711 წელს გარდაიცვალა გამაჰმადიანებული ქაიხოსრო მეფე. 1712 წელს ვახტანგი ტახტის მისაღებად გაემგზავრა ირანს, მაგრამ სარწმუნოება გვირგვინს არ ანაცვალა. ამის გამო, უმეფოდ დარჩენილი ქართლი შაჰმა გამუსლიმებულ იესეს უბოძა. როგორც ჩანს, 1712-1714 წლებში უმეფობით გამოწვეულ აშლილობაში დიდი ყურადღება ალარ მიუქცევიათ, რომელი გარდაცვლილი ხელმწიფის გერბი დაერთოთ „ვეფხისტყაოსნისა“ — გიორგის თუ ქაიხოსროსი.

ფრიად საგულისხმოა ლექსი (სავარაუდო ავტორად მეფე ვახტანგ VI მიიჩნევა), რომელიც თან ერთვის გიორგი XI-ის ორიგე გერბს და მის სრულ განმარტებას წარმოადგენს. ამით დასტურდება, რომ მოცემული გამოსახულება გერბია ამ სიტყვის ჭეშმარიტი, წმინდა ევროპული გაგებით და არა გაურკვეველი წარმოშობის სიმბოლო ან ემბლემა.

„გასინჯეთ ბეჭდის იგავი, მსმენნო ნუ გაჭუან წყინება
ფსალმუნთ ქნართ ცემა დავითის თუმც რაზედ იყო სმინება
ქრისტესა მოასწავებდა ვინ დაკნა ცრემლთა დინება
დავითის ტომით ჯორცთ შესხმა თუ ვითარ მხსნელმა ინება.

ამ შურდულითა დავით სძლო გოლიათ არ თუ ზავებდა
ლომნი ტახტისა სოლომონს შჯდს სიბრძნეს მოასწავებდა
მკსნელი ვინ ალოქმას უდებდა ქმნულთ ეგრე გაუთავებდა
ვით ძალევდა და შეჰგვანდა მის მტერზედ ეგრე დაუებდა.

როს მკსნელმა სათნო იჩინა ქალწულის მუცლად ლებანი
მით იყო წარმართ ყოველთა ამ საქმით განათლებანი
ჯუარცმით გამოკსნით ყოვლთ სულთა უყო მის ქმნისა ნებანი
განკურნა წყლულნი უწამლო რომელი გვჭირდა სნებანი.

ოდეს უქსოვა ქალწულმან მკსნელს კვართი ქსელითა გდებული
იგი ელიოზს წილად ხუდა მოვიდა ქართლად რებული
სად არის სახლად უფლისად სვეტი ცხოველი გებული
აქა ძეს ჩუენთუნ სულთა ხსნად კურნებად იმედებული

ქართველთ მეფენი დავითის გვარ ტომით მოდგამობითა
თუთ ყოვლად წმინდა უბიწო არის მათ ძირთგან შობითა
ვართ მისთუნ წილად ხდომილნი და მისის იმედობითა
ამად არ ვიქმნათ უხილავთ მტერთაგან ლახვარ სობითა“ (5, 41)

ლექსის ბოლო სტროფი საქართველოში ბეჭდვის შემოღებას ეხება და იგი ალარ მოგვიყვანია. იგივე სტროფები ქაიხოსროს დროინდელ სამოციქულოშიცაა მოთავსებული (1709 წ.) ოღონდ იქ უკანასკნელი სტრიქონი სხვაგვარად იკითხება: „ეს ბეჭდა ხოსრო მეფის ზე, გაცუდნენ ყოვლი მწმახველნი“. ქაიხოსროს გერბს ეს ლექსი შემოკლებით კონდაკშიც აქვს მიწერილი (მარტოოდენ ორი სტროფი: „ამ შურდულითა...“ და „ქართველთ მეფენი...“).

ცნობილია აგრეთვე თავად ვახტანგ VI-ის პირადი გერბიც: ანდრია პირველწოდებულის ორდენის ჯაჭვით გარშემორტყმულ მრგვალ ფარში ჩასმულია მცირე მართკუთხა ფარი, რომელიც ორ ლომს უჭირავს. მასში მაცხოვრის კვართია გამოსახული. მცირე ფარის თავზე გადაჯვარედინებული ხმალი და სკიპტრაა, უფრო მაღლა კი სამეფო გვირგვინი, მის მარჯვნივ ქნარი, ხოლო მარცხნივ — შურდული. მრგვალი ფარის დაბოლოებაში, მარჯვნივ, გამოხატულია უმაღლესი სამეფო ხელისუფლების სიმბოლო — სფერო, მარცხნივ კი სასწორი — სოლომონ მეფის ბრძნული მართლმსაჯულების ნიშანი (11, ნ, შენ. 10). როგორც ვხედავთ, გერბის ძირითადი მოტივი წინამორბედის იდენტურია.

ვინაიდან, ვახტანგ VI-ის პირადი გერბის წარმოშობის თარიღზე პირდაპირი ცნობა არ მოგვეპოვება, უნდა ვივარაუდოთ, რომ იგი 1724-1737 წლებში შეიქმნებოდა. ქვედა ქრონოლოგიური ზღვარი ქართლის მეფის რუსეთს გამგზავრებით განისაზღვრება, რადგან მანამდე წმ. ანდრიას ორდენი ვახტანგს არ მიულია. სამწუხაროდ, ვერ დადგინდა ორდენის მინიჭების ზუსტი თარიღი, რომლის ცოდნაც უფრო დაზუსტებდა გერბის წარმოქმნის წლებს. 1737 წელს კი ლეაწლმოსილი მეფე ვახტანგ VI გარდაიცვალა და ბუნებრივია, გერბი მოგვიანებით აღარ შეიქმნებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საერთოდ, ბაგრატიონთა გერბების უმეტეს ნაწილს თან ახლავს [illegible] წარწერა. პირველი, ძირითადი ფარის გარშემო, ფსალმუნიდან არის აღებული და შემდეგი შინაარსისაა: „ეფუცა უფალი დავითს ჭეშმარიტებითა და არა შეურაცხყოს იგი. ნაყოფისაგან მუცლისა შენისა დავსვა საყდართა შენთა“ (ფსალ. 131, 11). მეორე მცირე ფარს არტყია და ამგვარად იკითხება: „კვართი იგი რომელი იყო უკერველ ზეით გამოქსოვილ ყოვლად“ (იოანე 19, 23) (11, 6, შენ. 10). მართალია, ეს წარწერები ფორმით განსხვავდება ევროპული კლასიკური დევიზებისაგან, მაგრამ მაინც სრულიად მისაღებია მათი გერბის ლეგენდად (ჰერალდიკური ძეგლების დევიზად) მიჩნევა.

ვახუშტი ბატონიშვილისეული გერბები

ვახუშტი ბაგრატიონის მიერ შედგენილ კავკასიის რუკას (1735 წ.) დართული აქვს მასზე აღბეჭდილი მხარეების და ქვეყნების გერბები. მათ შორისაა ერთიანი საქართველოს სამი (sic) გერბი. ეს არის პირველი შემთხვევა საქართველოს ყველა სიმბოლოს ერთად წარმოდგენისა. ამგვარი, ასე ვთქვათ, გასამმაგება, ალბათ მხოლოდ იმით თუ აიხსნება, რომ XVIII საუკუნის შუახანებისთვის ჯერ კიდევ არ არსებობდა ოფიციალურად დადგენილი საქართველოს სახელმწიფო გერბი. ნებისმიერ შემთხვევაში ჩვენ თანმიმდევრულად განვიხილავთ ოითოეულ მათგანს.

„საქართველოსი“

„სამეფო-კვარციან-ლაეთიან საქართველოსი“

„საქართველოსი“

ა) ყვითელი ფონის პირობით ფარში, მწვანე უნაგირიან, წითელ ბალნურიან (ბალნურა — ცხენის ზურგზე გადასაფარებელი ქსოვილი) თეთრ ცხენზე ამხედრებული, წითელ აბჯრიანი და მწვანე მოსასხამიანი, შარავანდედით მოსილი წმ. გიორგი შუბით გმირავს ცისფერ გველეშაპს. მხედარს მარცხნიდან თეთრი „ღვთის ხელი“ წითელ გვირგვინს ადგამს (7, 9).

სხვათა შორის, აღსანიშნავია, რომ ამ წყაროში უკლებლივ ყველა ფიგურა მარჯვენა ჰერალდიკურ მხარესაა შებრუნებული. აქედან გამომდინარე, შეიძლება ეფიქროთ, რომ ვახუშტი ბატონიშვილი ევროპული გერბმცოდნეობის ძირითად კანონებს მაინც იცნობდა. თუმცა, ფერების ესოდენ თავისუფალი, არასწორი გამოყენება ცხადყოფს, რომ შემქმნელი არც ისე გაწაფული იყო ჰერალდიკაში.

ბ) მწვანე ფონზე ორ ვარდისფერ ლომს უპყრია მართკუთხა გადაკვეთილი ფარი. ზემო თეთრ ნახევარში მოთავსებულია მაცხოვრის ყვითელი კვართი, ქვედა ნახევარი

კი სწორკუთხადაა ოთხად გაყოფილი. ზემო მარჯვენა მეოთხედში ძალაუფლების გამომხატველი სფეროა, ზემო მარცხენაში — ბიბლიური დავითის ქნარი. ქვემო მარჯვენა ნაწილში დავითისვე შურდული, ხოლო ქვემო მარცხენაში — სამეფო ხელისუფლების ამსახველი, ირიბად გადაჯვარედინებული სკიპტრა და ხმალი (ყველა ფიგურა ყვითელია) (7, 11). როგორც ვხედავთ, ეს გერბი ბაგრატიონთა წარმოშობის ჩვენთვის უკვე კარგად ცნობილი ლეგენდის მიხედვითაა შედგენილი და შინაარსობრივად არ განსხვავდება წინამორბედებისაგან. აქვე აღსანიშნავია განმარტებული წარწერა: „სამეფო კვართიან დავითიან საქართველოსი", რაც პირდაპირი [illegible] ქართველი დინასტიისა და სახელმწიფოს გერბთა გაიგივებაზე.

გ) ყვითელ ფონზე ხმლიანი, წითელ-ყვითელ სამოსიანი მთავარანგელოზი თეთრი ფეხებით და წაღებით (ქრისტიანობაში მახვილიანი მხოლოდ მიქელ მთავარანგელოზია ცნობილი). მახვილი და შარავანდედი შესაბამისად ვარდისფერი და ყვითელია, ქარქაში კი შავი (7, 7). ამ გერბის წარმომავლობა სრულიად გაურკვეველია, ვინაიდან საქართველოსთან კავშირში იგი არც მანამდე, არც შემდეგ არ გვხვდება.

აღწერილ გერბებში ბევრი სიახლეა: ჰერალდიკის ეროვნული ტრადიცია პირველად წარმოაჩენს წმ. გიორგის საქართველოს სიმბოლოდ; გაუგებარი წარმოშობის გერბი მთავარანგელოზის გამოსახულებით; საქართველოს სამი გერბის ერთად დაფიქსირება; მაგრამ უმთავრესი მაინც ქართულ ჰერალდიკაში ფერების გაჩენაა. თუმცა, აქვე დავძენთ, რომ ეს მოხდა გერბმცოდნეობის კანონთა სრული უგულებელყოფით. მიუხედავად ამისა, ფერების შემოღება მეტყველებს საქართველოში ჰერალდიკის განვითარებაზე და ამ მიმართულებით წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს.

ერეკლე II-ის ჰერალდიკური მემკვიდრეობიდან

ერეკლე II-ის მეფობაში ბაგრატიონთა გერბი უკვე სრულიად ითავსებს სახელმწიფო სიმბოლოს ფუნქციებს. ქართლ-კახეთის სამეფოს დაწინაურება-ევროპეიზაციასთან ერთად ერეკლემ გერბმცოდნეობის მოწესრიგებასაც მიჰყო ხელი. ეს შეეხო როგორც სახელმწიფო თუ სამხარეო, ასევე საგვარეულო ჰერალდიკას, რომელიც მანამდე არც კი არსებობდა.

ამ ხანის უმნიშვნელოვანესი გერბი გამოსახულია 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატს დართულ საკიდ ბეჭედზე. ეს არის საქართველოს პირველი ოფიციალურად დამტკიცებული სახელმწიფო გერბი.

მართკუთხა, ფრანგული ფარი ორადაა გაყოფილი. ზევით რუსეთის ორთავიანი არწივია. ქვედა ნაწილი ოთხადაა გაკვეთილ-გადაკვეთილი, მის შუაში კი მომცრო ფარია მაცხოვრის კვართით. პირველ მეოთხედში სფეროა, მეორეში — გოლიათის მძლე, მეფსალმუნე მეფე დავითის ქნარი, მესამეში — გადაჯვარედინებული სკიპტრა და ხმალი, მეოთხეში — იმავე ბიბლიური დავითის შურდული. ფარს არტყია ეკატერინე II-ის მიერ ერეკლე მეფისადმი 1769 წელს ბოძებული (8, 68) წმ. ანდრია პირველწოდებულის

ერეკლე II-ის გერბი გეორგიევსკის ტრაქტატის საბეჭდავზე. 1783 წ.

ბაგრატიონთა გერბის სიმბოლიკა ერეკლე II-ის მაურიანზე. 1765-1766 წწ.

ჯაჭვიანი ორდენი. გერბს თავს ადგას ორიგინალური ქართული გვირგვინი (I, 126). როგორც ჩანს, სწორედ აქედან წარმოდგება რუსულ ჰერალდიკაში დამკვიდრებული „ქართული გვირგვინი". იგი მხოლოდ დიდ „სახელმწიფო არწივზე" (რუსეთის ძირითადი გერბი) მოთავსებულ საქართველოს სამეფოს გერბის (ქვევით განვიხილავთ) დამაგვირგვინებლად იხმარებოდა. იგივე გვირგვინი გვხვდება ე. წ. პროტექტორატის დროინდელ (1800-1801 წწ.) საქართველოს გერბში (მასაც ქვემოთ შევეხებით). ასე რომ, „ქართული გვირგვინი" უწყვეტად არსებობდა საუკუნეზე მეტ ჩანს.

ე. წ. „პროტექტორატის დროინდელი" გერბი. 1800-1801 წწ.

მართალია, ერეკლე II ცდილობს გერბს შეუნარჩუნოს თავისი, უკვე ჩამოყალიბებული ისტორიული სახე, მაგრამ მაინც, ჰერალდიკის ერთ-ერთმა თვისებამ, მყის ასახოს ჟამით გამოწვეული სხვადასხვაგვარი ცვლილება, არც ამჯერად დაახანა და ზედმიწევნით გადმოგვცა საქართველოს პოლიტიკურ სტატუსში მომხდარი ძვრები: ძირითად გერბს თავს დაჰყურებს რუსული თვითმპყრობელობის სიმბოლო — ორთავიანი არწივი, ხოლო მთლიანად გამოსახულებას უცხო ქვეყნის ორდენი შემოსვაჭვია.

ერეკლე II-ის ზეობას მიეკუთვნება ასევე ეროვნულ ჰერალდიკასთან დაკავშირებული ერთი მეტად მნიშვნელოვანი მოვლენა. 1765-1766 წლებში, პირველად ქართული ნუმიზმატიკის ისტორიაში, თბილისში მოჭრილ მონეტებზე ჩნდება ბაგრატიონთა გერბის სიმბოლიკა (4, 151, სურ. 211-213).

თუმცა წარმოდგენილ გამოსახულებას გერბის შემადგენელ ნაწილთა უმეტესობა დაკარგული აქვს, რითაც იგი ფრიად უმეტყველო ხდება, მაგრამ თავისთავად ფაქტი მონეტაზე სამეფო ხელისუფლების სიმბოლოთა სახით სახელმწიფო გერბის გადმოტანისა მიგვითითებს ამ უკანასკნელის ფუნქციათა გაჟართოებაზე, ზოგადად, ქვეყნის კულტურული დონის ამაღლებასა და დასავლეთისკენ ორიენტირებაზე.

„პროტექტორატის დროინდელი" გერბი

XIX საუკუნის პირველივე წლებიდან საქართველო ფაქტობრივად რუსეთის ქვეშევრდომი ხდება. ჰერალდიკამ ამაზე თავისებური რეაგირება მოახდინა, რაც სტილის სრული გამოცვლით გამოიხატა. აქვე დამთავრდა პირველი პერიოდი ეროვნული გერბმცოდნეობისა (1672-1800 წწ.), რომლის დროსაც ნაკლებად ითვალისწინებდნენ დასავლურ წესებს, მათი უცოდინრობის გამო. ეს იყო ქართული ჰერალდიკის ჩასახვის, გაჩენის ეპოქა და სრულიად ბუნებრივია, რომ მაშინ უმთავრესად ადგილობრივ ტრადიციას უწევდნენ ანგარიშს. ამ თითქმის 130-წლიან საწყის ეტაპს მოჰყვა მეორე პერიოდი, რომელსაც პირობითად რუსულ-ევროპულს ვუწოდებდით.

სწორედ ამ, არათუ ჰერალდიკისთვის, არამედ ქვეყნისთვისაც ახალი დროების მაუწყებლად თუ ამსახველად გვევლინება ე. წ. „პროტექტორატის დროინდელი გერბი", როგორც მას მიხეილ ვადბოლსკიმ უწოდა (2, 94, ნახ. 138).

ორ ლომს გადაკვეთილი და ორჯერ გაკვეთილი გერმანული ფარი უპყრია. პირველ ნაწილში დავითის ქნარია, მეორეში — ქრისტეს კვართი, მესამე ნაწილში — სფერო და შურდული, მეოთხეში — გადაჯვარედინებული სკიპტრა და ხმალი, ტარებით ზევით, მეხუთეში — გველეშაპის მძლე წმ. გიორგი, ხოლო ბოლო, მეექვსეში — სასწორი. ფარს თავს ქართული გვირგვინი ადგას, ქვევით კი ლათინური დევიზი უძევს.

როგორც ვხედავთ, გერბი ევროპული ჰერალდიკის მოთხოვნებისამებრ არის გამართული. მთლიანად კომპოზიციის სტილის გარდა, ამაზე მიუთითებს ლათინური ლეგენდა და სრულიად ახალი ელემენტები ქართულ გერბმცოდნეობაში. მაგალითად, სახელმწიფო გერბის აუცილებელი ატრიბუტი — მანტია, ანუ მოსასხამი. აღსანიშნავია, რომ ეს გერბი პირველი შემთხვევაა ბაგრატიონთა სიმბოლიკის და წმ. გიორგის ერთ ფარში მოთავსებისა. იმხანად ეს ქვეყნისა და მმართველი დინასტიის განუყრელობაზე მიუთითებდა, მაგრამ, ამასთანავე, ნებსით თუ უნებლიედ, მზადდებოდა ნიადაგი იმისთვის, რომ მომავალში საქართველოს გერბში ბაგრატიონთა სიმბოლოებს წმ. გიორგი ჩანაცვლებოდა. ამით რუსი დიდმპყრობელები მაქსიმალურად მიჩქმალავდნენ ადგილობრივი დინასტიის უფლებებს.

მ. ვადბოლსკი აღნიშნავს, რომ გერბი ქართლ-კახეთის სამეფოს დამოუკიდებელი არსებობის მიწურულს, 1800-1801 წლებში შეიქმნა დავით ბატონიშვილის ხანმოკლე მმართველობისას (2, 34).

საგუბერნიო გერბი

მოგვიანებით ბაგრატიონებმა ტახტთან ერთად საქმობლის გერბში თავისი საგვარეულო ემბლემის გამოხატვის უფლებაც დაკარგეს და 1851 წლის 22 ივნისს ნიკოლოზ I-ის მიერ „უმაღლესად დამტკიცდა" (Высочайше утвержден) თავისუფლებადაკარგული საქართველოს პირველი გერბი.

საქართველო-იმერეთის გუბერნიის გერბი 1851 წ.

საქართველო-იმერეთის გუბერნიის გერბი: ოქროს ყელიანი ფრანგული ფარი ოთხადაა გაყოფილი. ზედა ორ ნაწილში გამოსახულია: მარჯვნივ — არარატის მთა მწვერვალზე ნოეს კიდობნით; მარცხნივ — ტალღისებრი ქამრით გამოხატული შავი ზღვა. ქვედა ორ ნაწილში განლაგებულია: მარცხნივ — ორი დაკლაკნილი ზოლი (მდინარეები მტკვარი და არაქსი); მარცხნივ — მყინვარწვერის დათოვლილი მწვერვალი. მთავარი ფარის შუაში მოთავსებულია მცირე ფარი, რომელშიც ვერცხლის ფონზე წმ. დიდმოწამე და ძლევამოსილი გიორგის გამოსახულებაა ჩასმული (14, 190-191).

გერბი სრულიად მოწყვეტილია თავის წინამორბედ ვარიანტებს, რომელთა შემადგენელი ნაწილებიდან მხოლოდ წმ. გიორგის ფიგურალაა დარჩენილი. ისედაც უსახო კომპოზიციას კიდევ უფრო აუბრალოებს ოთხივე ნაწილში ერთი ფონის გამოყენება. საერთოდ, გერბში, მასში წარმოსადგენი მიწების ისტორიული წარსულის ნაცვლად აქცენტი გეოგრაფიულ გარემოზეა გადატანილი. ამგვარი რამ შეიძლება გამართლებული იყოს მწირი, უფერული წარსულის მქონე ოლქის თუ მხარის გერბის შესავსებად, მაგრამ, გაუმართლებელია კავკასიის ტიპის რეგიონისთვის. აღნიშნული გარემოება იმით უნდა იყოს გამოწვეული, რომ ფარიდან ამოღებულ ბაგრატიონთა სიმბოლიკას რაიმე მაინც უნდა ჩანაცვლებოდა. საერთოდ, ამ გერბში აშკარად ჩანს იმდროინდელი რუსეთის ხელისუფლების წადილი ქართველთა შეგნებიდან მაქსიმალურად ამოშალოს დამოუკიდებელ წარსულთან დაკავშირებული ყოველგვარი ელემენტი.

ორთავიანი არწივის ფრთებზე

რაც არ უნდა უცნაურად ჟღერდეს, საქართველოს გერბის ყველაზე განვრცობილი ვარიანტი დამპყრობლის, რუსეთის ჰერალდიკაში მოგვევლინა. დამოუკიდებელი ქვეყნისთვის ამგვარი გერბი იმპერიულად ან მიმდებარე მიწებზე პრეტენზიის განსაცხადებლად გამოდგებოდა, მაგრამ ჩვენს შემთხვევაში იგი უბრალოდ კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს საქართველოს წამყვან როლს მიელ კავკასიაში.

„საქართველოს სამეფოს" გერბი რუსეთის „დიდ სახელმწიფო გერბზე". 1882 წ.

რუსეთის „დიდი სახელმწიფო გერბი".

1882 წლის 3 ნოემბერს „უმაღლესად დამტკიცებულ" სახელმწიფო გერბზე, პოლონეთისა და უკრაინის სამეფოების, ყაზანისა და ასტრახანის სახანოებს შორის, ორთავიანი არწივის გარშემო დამკვიდრდა საქართველოს სამეფოს გერბიც.

ვინაიდან გერბი რუსული ჰერალდიკის პირმშოა, დამახასიათებელი სტილის შესანარჩუნებლად, საკუთარი აღწერილობის ნაცვლად ციტატის მოყვანა ვარჩიეთ. სხვათა შორის, ესოდენ ფართო ბლაზონირება დიდი სახელმწიფო გერბის არცერთ ფარს (მმართველი დინასტიის გერბის გარდა) არ ხვდომია წილად.

„გერბი სამეფოსა საქართველოსი: ოთხნაწილიანი ფარი შუაში მცირე ფარით და დაბოლოებით. შუა მცირე ფარში — საქართველოს გერბი: ოქროს ფარზე ლაჟვარდის აღჭურვილობით, მკერდზე ოქროს ჯვრით, შავ, ოქროს არშიის მქონე ბალნურიან ცხენზე ამხედრებული და მეწამული შუბით მწვანე, შავ ფრთიანი და მეწამულ თვალებიანი გველეშაპის განმგმირავი წმ. დიდმოწამე და ძლევამოსილი გიორგი. პირველ ნაწილში — ივერიის გერბი: მეწამულ ფარზე ვერცხლის გაჭენებული ცხენი; ზედა მარცხენა და ქვედა მარჯვენა კუთხეებში რვაქიმიანი ვარსკვლავები. მეორე ნაწილში — ქართლის გერბი: ოქროს ფარზე ორი შავი ისრით, პირებით ზევით, გახვრეტილი ცეცხლის მფრქველი მთა. მესამე ნაწილში — ყაბარდოს მიწათა გერბი: ლაჟვარდოვან ფარზე ვერცხლის ორ, პირებით ზევით გადაჯვარედინებულ ისარზე ოქროს მცირე ფარი მარჯვნივ შებრუნებული, მეწამული ნახევარმთვარით; პირველ სამ მეოთხედში ვერცხლის ექვსქიმიანი ვარსკვლავები. მეოთხე ნაწილში სომხეთის გერბი: ოქროს ფარზე მეწამული გვირგვინოსანი ლომი (აღსანიშნავია, რომ ვახუშტი ბატონიშვილის ცნობილ სამხარეო გერბებში სომხეთს ლეოპარდი წარმოადგენს, იქვე მოთავსებული გვირგვინიც. ლეოპარდი კი გრაფიკულად საკმაოდ ახლოს დგას ლომთან. ვფიქრობთ, ეს შემთხვევითი კი არაა, არამედ საქმე გვაქვს სომხეთის სიმბოლოდ ლომის აღიარების გარკვეულ ტრადიციასთან — თ. ა.). ოქროს დაბოლოებაში — ჩერქეზ და მთიელ თავადთა გერბი: გაჭენებულ შავ ცხენზე ჩერქეზი, ვერცხლის აღჭურვილობით, მეწამულ ტანსაცმელში და ბეწვის შავი მოსასხამით; მხედარს მარჯვენა მხარზე შავი შუბი აქვს გადებული" (15, 406). გერბს ადგას ქართული

გვირგვინი. ეს უკანასკნელი რუსულ გერბმცოდნეობაში უთუოდ ძველი ქართული ტრადიციიდანაა შესული. მტკიცების საფუძველს, პირველ ყოვლისა, გვაძლევს გარეგნული მსგავსება, თუნდაც იგივე გეორგიევსკის ტრაქტატის საბეჭდავზე გამოსახული გერბის გვირგვინთან. მეორე კი ის, რომ ცარიელ ადგილზე იმპერიული ჰერალდიკა საქართველოს ორიგინალურ გვირგვინს არ შეუქმნიდა. ამის დადასტურებაა პოლონეთის და უკრაინის მაგალითი. ამ მსხვილ, მდიდარი ისტორიის მქონე ქვეყანათა [illegible] საბამისად რუსული „იმპერიული გვირგვინი" და „მონომახის ქუდი" ადგ[illegible]

საქართველოს სამეფოს გერბის ესოდენ განდიდება ალბათ იმით უნდა იყოს გამოწვეული, რომ რუსეთს სურდა გამოემზეურებინა მის საზღვრებში მოქცეული უამრავი სამფლობელო (აქ, ჩვენი აზრით, გერმანული ჰერალდიკის გაყლეპა გამოსჭვივის) და ვინაიდან ყველა მათგანის სიმბოლოთ ცალკე ვერ გამოჰყოფდა, არჩია, ასე ვთქვათ, საქართველოს ფარში მოექცია მათი ნაწილი.

თავისთავად კომპოზიცია ოქრის მთლიანად მარცხნივ განთავსებით სანახაობრივად ძალიან ბევრს კარგავს და ასიმეტრიის გრძნობას იწვევს. გერბი გაცილებით უკეთესი შესახედავი იქნებოდა სომხეთისა და ყაბარდოს ნაწილთა ურთიერთშენაცვლებით. განსხვავებულ ფონს ითხოვს აგრეთვე დაბოლოებაც.

ზოგადად გერბი, თავისი მრავალსახოვნებით, უნიკალური და ძლიერ საინტერესოა ქართული ჰერალდიკისათვის. იგი თავისუფლად გამოდგებოდა პრეტენზიის ან ვთქვათ, საქართველოს იმპერიის, ასეთი რომ არსებულიყო, გერბად. მოცემული გამოსახულება გარკვეულ სიქადულსაც იწვევს იმ მნიშვნელობის ასახვით, რომელსაც საქართველო წარმოადგენდა რეგიონისთვის ან თუნდაც რუსეთისთვის.

„თეთრი გიორგი შვიდი მნათობით"

„საქართველოს რესპუბლიკის ღერბი არის თეთრი გიორგი შვიდი მნათობით" – 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუცია, მუხლი 4 (6, 458). ასე სიტყვაძუნწი იყო საქართველოს ძირითადი კანონი ეროვნული გერბის თაობაზე. გამოსახულების კონსტიტუციაში შეტანას კი წინ უძღოდა სოციალ-დემოკრატიული მთავრობის მიერ სახელმწიფო გერბზე გამოცხადებული კონკურსი, რომელიც სამი პირობის დაცვით უნდა ჩატარებულიყო. პირველი, მისი შედეგები უნდა განეხილა ე. წ. დამფასებელთა კოლეგიას მთავრობის, პარლამენტის, მეცნიერთა და მხატვართა წარმომადგენლების შემადგენლობით; მეორე, გერბი ქართული სტილის დაცვით უნდა შესრულებულიყო; მესამე, მასში უნდა გაეთვალისწინებინათ ზოგადი ჰერალდიკური წესები. საბწუხაროდ, არცერთი პირობათაგანი არ დაცულა, რის გამოც გერბი დღემდე იწვევს საზოგადოების უკმაყოფილებას, ვინაიდან, როგორც ცნობილია, იგი ახლაც ძალაშია.

მიღებული საკონკურსო პროექტი (იგი მხატვარ იოსებ შარლემანს ეკუთვნოდა) ჯერ კიდევ 1919 წელს სამართლიანად და მკაცრად გააკრიტიკა დიდმა ქართველმა მხატვარმა დავით კაკაბაძემ (3). ხელოვანმა გამოაქვეყნა სტატია, რომელშიც სინანულით ალნიშნავდა, რომ შემფასებელთა კოლეგიას აკლდნენ მეცნიერი და მხატვარი, რომ გერბის შექმნისას არ გაეწია ანგარიში ჰერალდიკის კანონებს. მართლაც, მხედრის ფიგურა მარცხენა არაჰერალდიკურ მხარესაა მიბრუნებული, ხოლო მინანქრისა და ლითონების ხმარების მკაცრი წესები სრულიად გაუთვალისწინებელია.

დავით კაკაბაძე განსაკუთრებით ალნიშნავს, რომ „თეთრი გიორგის" გამოსახულება რუსული, ე. წ. „შეერთებული მოსკოვის" და ნოვგოროდის მხატვრობის სტილშია შესრულებული, რაც მისი სიტყვებით, აშკარად მეულავნდება გიორგის პირისახეში და ცხენის თავისა და ფეხების მოყვანილობაში. ასევე უსარგებლოდ და უადგილოდ მიაჩნია მხატვარს ფარის დაბოლოებაში გამოხატული არაბული კამარის მსგავსი მოხაზულობა. ამასთანავე, დ. კაკაბაძე ფიქრობდა, რომ ყველა მნათობი ერთი სახის უნდა ყოფილიყო, მაგალითად, ვარსკვლავის და ვინაიდან შვიდი მნათობი საქართველოში შვიდ სამთავროს განასახიერებდა, მათ შორის უთანასწორობის მოხსნის მიზნით მზე და მთვარე კომპოზიციიდან უნდა ამოელოთ. ჩვენის მხრივ დავსძენდით, რომ გერბს

აკლია ძირითადი შემადგენელი ნაწილი — ფარი. მის მაგივრობას სწევს სტილიზებული, მრგვალი გულის მჭონე შვიდქიმიანი ვარსკვლავი, რომელიც შესრულების მანერით ძლიერ ჩამორჩება თუნდაც იგივე შარლემანის მიერ სამოდე წლით გვიან შექმნილ საქართველოს სსრ-ის გერბის ქართულორნამენტიან არშიას.

1921 წელი შეიძლება ჩაითვალოს ქართულ ჰერალდიკაში მესამე ეტაპის დამდეგად. იგი სამწუხაროდ დღემდე გრძელდება, გამოირჩევა გერბმცოდნეობის კანონთა უგულებელყოფით და ეროვნული ტრადიციის მივიწყებით.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გერბი. 1921 წ.

საბჭოთა სიმბოლოები

ხელისუფლებაში საბჭოელთა მოსვლით კიდევ უფრო გაღრმავდა უფსკრული ჰერალდიკასა და საქართველოს გერბს შორის. მეტიც, მათ უკვე არარა აკავშირებდათ. „ფეოდალურ გადმონაშთებთან" ბრძოლაში ბუნებრივია გერბმცოდნეობაც მოყვა, რის შედეგადაც ეროვნულ სიმბოლოდ კომუნისტური იდეოლოგიით გაჟღენთილი აბდაუბდა ნახატი მივიღეთ. მიუხედავად ამისა, ვინაიდან არ შეიძლება ისტორიიდან ამოიშალოს მთელი ეპოქა, ქვევით მიმოვიხილავთ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის და ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის გერბებს.

1922 წლის 28 თებერვალს საქართველოს საბჭოების I ყრილობაზე დამტკიცებული კონსტიტუციის 134-ე მუხლში მოცემული იყო რესპუბლიკის სახელმწიფო გერბის აღწერილობა: ქვევით — მთის ქედი დათოვლილი, ცისფერი და იისფერი მწვერვალებით. მარჯვენა მხრიდან — ოქროს თავთავები, მარცხნიდან — ოქროს ვაზი მტევნებით. ქედის ძირში, ფარის უკიდურეს ქვედა ნაწილში თაკთავისა და ვაზის ბოლოებია გადახლართული. გერბის ცენტრში — ნამგალი და ურო ზევით ყოველმხრივ გასხივოსნებულ ვარსკვლავს ებჯინება, ქვევით — მთების მწვერვალებს, ხოლო გვერდებზე თავთავსა და ვაზს. ყოველივე ეს შემოფარგლულია ქართული, რუსული და ფრანგულენოვანი (ეს უკანასკნელი ამოღებული იქნა 1936 წლის 13 თებერვალს, სრულიად საქართველოს საბჭოების VIII საგანგებო ყრილობაზე) წარწერებით: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!" დევიზს გარშემო აკრავს ქართულ სტილში შესრულებული ორნამენტი (13, 112-113).

მიუხედავად იმისა, რომ გერბი ძლიერ შორსაა კლასიკური ჰერალდიკის ნიმუშებისაგან, იგი მაინც გაკილებით სჯობს დანარჩენი „მოძმე რესპუბლიკების" ემბლემებს.

გამოსახულება ეკუთვნით მხატვრებს — აკად. ევგენი ლანსერესა და ჩვენთვის უკვე დამოუკიდებელი რესპუბლიკის გერბის ავტორად ცნობილ იოსებ შარლემანს. ამ უკანასკნელმა მართალია ორი საკმაოდ უსახო გერბი დაგვიტოვა, მაინც არ უნდა დავუკარგოთ ის ღვაწლი, რომელიც XX საუკუნის ქართულ სახელმწიფო სიმბოლოთა შექმნაში მიუძღვის.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის გერბი. 1922 წ.

ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის გერბი. 1922 წ.

ასშსრ-ის გერბი მიღებულ იქნა ამიერკავკასიის საბჭოების I ყრილობაზე 1922 წლის 10-13 დეკემბერს (ასშსრ-მ 14 წელი იარსება – 1922-1936 წწ.). ზედა ნაწილში, შავი ქედიდან და მთებიდან ამომავალი მზის სხივების ფონზე, განლაგებულია ოქროს ნამგალი და ურო, ოდნავ ზევით, ასევე სხივებში, მოთავსებულია ხუთქიმიანი ვარსკვლავი. ქვედა ნაწილში – ფაბრიკათა მბოლავი მილები. ცენტრში კი მცენარეული კომპოზიციაა: ვაზი მტევნით, ბამბა, სიმინდი, ხორბლის რამდენიმე თავთავი. გერბს შემოვლებულ წითელ ბაფთაზე ქართულად, სომხურად და აზერბაიჯანულად აწერია „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!" (13, 114).

სახელმწიფო გერბის ქრონოლოგიის მაგალითზე თვალნათლივ წარმოგვიდგება ზოგადად ქართული ჰერალდიკის პერიოდიზაცია:

I – ნაციონალური პერიოდი

1.	1672	ცარ ალექსი მიხაილოვიჩის „ტიტულიარნიკიდან"
2.	1698-1699	ავსტრიელი დიპლომატის კორბის დღიურიდან
3.	1709	გიორგი XI-ის, „საბოიქულოდან"
4.	1735	ვახუშტი ბატონიშვილის რუკაზე
5.	1783	ერეკლე II-ის, გეორგიევსკის ტრაქტატის საბეჭდავზე

II – რუსულ-ევროპული პერიოდი

6.	1800-1801	ე. წ. პროტექტორატის დროინდელი
7.	1851 წ. 22 ივნ.	საქართველო-იმერეთის გუბერნიისა
8.	1882 წ. 3 ნოემბ.	რუსეთის დიდ სახელმწიფო გერბში

III – რესპუბლიკურ-კომუნისტური პერიოდი

9.	1921 წ. 21 თებ.	საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის
10.	1922 წ. 28 თებ.	საქართველოს სსრ-ის
11.	1922 წ. 10-13 დეკ.	ამიერკავკასიის სშსრ-ის

თორნიკე ასათიანი

ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საქართველოს ქალაქებისა და სოფლების ისტორიის განყოფილების ლაბორანტი

ლიტერატურა

1. გეორგიევსკის ტრაქტატი. 1783 წლის ხელშეკრულება რუსეთის მფარველობაში აღმოსავლეთ საქართველოს შესვლის შესახებ. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი და შენიშვნები დაურთო გიორგი ჯაიჭაძემ. თბ. 1983.
2. მიხეილ ვადბოლსკი. საქართველოს ჰერალდიკური სიმბოლოები. თბ. 1980.
3. დავით კაკაბაძე. საქართველოს ღერბი (კონკურსის და შესრულების შესახებ).
4. დავით კაპანაძე. ქართული ნუმიზმატიკა. თბ. 1969.
5. რუსთველი შოთთა. ეფეხვისტყაოსანი. ახლად დაბეჭდვილი შეერთებულითა ლეკნლითა უყოლითა [მ.] ბროსეტ. ზ. ფალავანდიშვილისა და დ. ჩუბინოვისათა. II გამოცემა. სპბ. 1841.
6. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო ურთიერთობის აქტების კრებული. 1918-1921. სპეცრედაქტორი ვ. შარაშენიძე. შემდგენელი ე. გურგენიძე. თბ. 1990.
7. საქართველოს დროშები და გერბები ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით, შემდგენლები: ნარგიზა გამცემლიძე, თამაზ კეკნაძე. თბ. 1991.
8. ნიკო ჯავახიშვილი. ქართული ფალერისტიკა (ჯილდოთმცოდნეობა). თბ. 1995.
9. Фон-**Винклер П. П.** Гербы городов, губерний, областей и посадов Российской Империи, внесенные в полное собрание законов с 1649 по 1900 год. СПб. М. 1990.
10. **Драчук В. С.** Рассказывает геральдика. М. 1977.
11. **Иоселиани П.** Краткая история грузинской церкви. СПб. 1843.
12. **Лакиер А. Б.** Русская геральдика. М. 1990.
13. **Соболева Н. А.** Старинные гербы российских городов. М. 1985.
14. **Сперансов Н. Н.** Земельные гербы России XII-XIX вв. М. 1974.
15. Энциклопедический словарь. Издатели: Ф. А. Брокгауз и И. А. Эфронъ. т. IX. СПб. 1893.
16. Stephen **Friar.** A Dictionary of Heraldy. New York. 1987.
17. Luis F. **Messia** de la Cerda y Pita. Heraldica Española. Madrid. 1990.
18. Gers **Oswald.** Lexikon Der Heraldik. Leipzig. 1984.
19. **Eduardo Pardo** de Guevara. Manual de Heraldica Española. Madrid. 1987.

შილერი და ფრონდა

ფრიდრიხ შილერი (1759-1805).
ციხის ეზოში შილერის ანდერძი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1648-1653 წლებში საფრანგეთი მოიცვა უნიკალურმა საშინაო კრიზისმა — ფრონდამ. გამოჩენილი გერმანელი დრამატურგის და თვალსაჩინო ისტორიკოსის ფრიდრიხ შილერის მოსაზრებები აღნიშნულ საკითხზე, ეჭვიქრობთ, არ უნდა იყოს ინტერესმოკლებული. შილერის მოსაზრებები და დაკვირვებები ფრონდაზე მისი ისტორიული შეხედულებების ერთ-ერთი საინტერესო ნაწილია.

აღნიშნული საკითხის შესახებ შილერს სპეციალური გამოკვლევა არ დაუწერია, თუმცა, როგორც მისი წერილიდან ჩანს, ამის გაკეთება მას განზრახული ჰქონდა. შილერის კერძო წერილებში წავაწყდით ერთ საინტერესო ცნობას ფრონდის შესახებ. მხედველობაში გვაქვს მისი წერილი გოტფრიდ კორნერისადმი (დათარიღებული 1788 წლის 1 დეკემბრით), სადაც შილერი ცდილობს თავისი აზრი გამოთქვას ფრონდაზე. აი, რას წერდა იგი: „რაც შეეხება შენს პროექტს ფრონდის შესახებ, ... მინდა გითხრა რაშია საქმე. უკვე წელიწადზე მეტია, მე რომელიმე ჟურნალისათვის ავიღე რეცის, ორლეანის ჰერცოგის, ანა ავსტრიელისა და მაზარინის დახასიათებები, რადგან ყველა ისინი იწვევენ დიდ ისტორიულ და ფსიქოლოგიურ ინტერესს. მეორეს მხრივ, გვაძლევენ იმდენად საინტერესო და დამახასიათებელ შტრიხს ეპოქისა, რომ მისი ჩამოყალიბება წარმატებას გვიქადის. შენი მიზანი განსხვავდება ჩემისაგან. შენ (ე. ი. კორნერი — მ. ა.) ფრონდას განიხილავ როგორც პოლიტიკურ რევოლუციას, მაგრამ ამ აღმავლობას შემდგომში შეუძლია მიგიყვანოთ გაუგებრობამდე, რის შესახებაც წინასწარ გაფრთხილება, თუმცა შენი გეგმა ამით არაფერს კარგავს“ (14, 185).

როგორც წერილიდან ჩანს, ფრონდის ისტორიით შილერის დაინტერესება გამოიწვია კორნელის მოსაზრებებმა. ამ უკანასკნელს მიაჩნია, რომ ფრონდა „პოლიტიკური რევოლუციაა" როგორც ირკვევა, შილერს საეჭვოდ მიაჩნდა ეს შეხედულება. იგი ფრონდის გასაღებს რეცის, ორლეანის ჰერცოგის, ანა ავსტრიელისა და მაზარინის დახასიათებაში ეძებს. კორნელი ალბათ, უპირველეს ყოვლისა, ფრონდაში მის პირველ ეტაპს — საპარლამენტო ფრონდას (1648-1649 წწ.) გამოყოფდა და აქედან გამომდინარე, იმ დასკვნამდე მიდიოდა, რომ ფრონდა „პოლიტიკური რევოლუცია" იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფრონდის პირველ ეტაპზე პარიზის პარლამენტის ძირითადი მიზანი იყო ქვეყანაში წესრიგის დამყარება, გადასახადების შემცირება, ფინანსისტების ალაგმვა, ინტენდანტების გაუქმება. პარლამენტის ამ მისწრაფებებით არის განპირობებული მისი პოპულარობა ხანგრძლივი ოცდაათწლიანი ომის (1618-1648 წწ.) შედეგად განაწამებ ხალხთა მასებში. უბრალო ხალხის აქტივობა კი ოპოზიციურად განწყობილ პარლამენტს სერიოზულ შიშს გვრიდა (ამავე დროს პარლამენტს ოდნავადაც არ ხიბლავდა ესპანეთთან კავშირის იდეა, რომელსაც ძრაველად ჰყავდა მომხრეები არისტოკრატიულ წრეებში). კიდევ უფრო დაფრთხო პარიზის პარლამენტი ინგლისის რევოლუციის მსვლელობამ, განსაკუთრებით კი მეფის სიკვდილით დასჯამ (1649 წ. იანვარი). მას შიშის ზარს სცემდა ის ფაქტი, რომ სახალხო მოძრაობას საფრანგეთში ინგლისური მაგალითისათვის არ მიემართა. პარიზის პარლამენტისათვის აბსოლუტურად სათელი შეიქნა თუ რაოდენ საშიში იყო სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ ოპოზიცია სახალხო მოძრაობასთან კავშირში. აქ ყველაზე კარგად გამომჟღავნდა პარიზის პარლამენტის როიალისტური მრწამსი.

წინააღმდეგობების გაძლიერების შემთხვევაში პარლამენტს აღარ შესწევდა უნარი ყოფილიყო ლიდერის როლში. მისი სოციალური პროგრამა ვიწრო კლასობრივ ჩარჩოებს არ სცილდებოდა და ამიტომ სწრაფად ამოიწურა. დემოკრატიული მოძრაობით დაშინებულ პარლამენტს არ შეეძლო წამოეყენებინა ახალი პოპულარული ლოზუნგები, მონარქიასთან მჭიდროდ დაკავშირებულ პარლამენტს არ შეეძლო ხელისუფლების კონტროლიდან ძალაუფლების საკუთარ ხელში აღებაზე გადასულიყო. პარლამენტს სურდა აბსოლუტიზმის შემცველობა განმტკიცება სასამართლო კორპორაციის მეშვეობით. ამიტომ იყო, რომ პარლამენტი სასტიკად ებრძოდა ინტენდანტებსა და ფინანსისტებს, რომლებიც სულ უფრო და უფრო მეტ გავლენას ახდენდნენ აბსოლუტურ მონარქიაზე. აქ უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ პარიზის მოვლენებს პროვინციებში სათანადო გამოძახილი არ ჰქონია. ასეთ ვითარებაში საკმაოდ ლოგიკური იყო, რომ საპარლამენტო ოპოზიცია ბოლოს და ბოლოს შეთანხმებით დასრულდა (1649 წ. 15 მარტი).

ვლადიმერ მალოვის აზრით, ეს არ იყო პარლამენტის კაპიტულაცია ან დამარცხება, სტატუს-კვოს აღდგენა საკმაოდ აკმაყოფილებდა პარლამენტს. ის ოდნავადაც არ ცდილა შეეშუბუქებინა ოცდაათწლიანი ომის დროს გადასახადებისაგან წელში გაწყვეტილი ხალხის მდგომარეობა. პარლამენტის ფინანსურმა პოლიტიკამ აშკარად გაუცრუა იმედები უბრალო ხალხს, რომელსაც კვლავინდებურად მძიმე ტვირთად აწვა გადასახადები. ამიტომ პარლამენტის პოპულარობამ ხალხის თვალში აშკარად იკლო (6, 76-81).

დიდი ხნის განმავლობაში საბჭოთა ლიტერატურაში პარიზის პარლამენტს განიხილავდნენ როგორც ბურჟუაზიის ინტერესების გამომხატველს. უახლესი გამოკვლევები უარყოფენ ამ მოსაზრებას. „ავტორიტეტული სასამართლო-ადმინისტრაციული ორგანოს — პარლამენტის წევრები იყვნენ საფრანგეთის არისტოკრატიის ის წარმომადგენლები, რომლებსაც „მანტიის აზნაურებს" უწოდებდნენ. საგულისხმოა ისიც, რომ ისინი „მანტიის აზნაურები" იყვნენ მანამ, ვიდრე პარლამენტის მრჩევლებად აირჩევდნენ. პარლამენტის წევრები სასტიკი წინააღმდეგნი იყვნენ მათ კორპორაციაში მესამე წოდების წარმომადგენელთა შესვლისა. ამიტომ საპარლამენტო ოპოზიციაში არ შეიძლება დავინახოთ საბჭოთ ხელისფლების წინააღმდეგ ბურჟუაზიის ოპოზიცია. გ. კორნერი შესაძლოა ოდნავ აჭარბებს საპარლამენტო ოპოზიციის მნიშვნელობას, როდესაც მასში „პოლიტიკურ რევოლუციას" ხედავს. საფრანგეთის ბურჟუაზია ჯერ კიდევ არ იყო მზად იმისათვის, რომ სათავეში ჩადგომოდა რევოლუციას.

როგორც წერილიდან ჩანს, კორნერის აზრს, რომ ფრონდა იყო „პოლიტიკური რევოლუცია“, შილერი უპირისპირებს ისტორიულ-ფსიქოლოგიურ ექსკურსს — რეცის, ორლეანის ჰერცოგის, ანა ავსტრიელისა და მაზარინის დახასიათებებს. მათი ხასიათის განსხვავებული ცდილობს მოძებნოს ფრონდის გასაღები. რა თქმა უნდა, ეს პიროვნებები ფრონდის ერთ-ერთი მთავარი მოქმედი პირები იყვნენ და მათი დახასიათება [illegible] როგორც თვით შილერი აღნიშნავს, „ბევრ საინტერესო და დამახასიათებელ ეპიზოდს ეპოქისა“, მაგრამ ამ გზით ძნელია ფრონდის სრულყოფილი სურათის წარმოჩენა. ყოველივე ეს საკმაოდ შეესატყვისება შილერის წარმოდგენას ისტორიაში პიროვნების როლის შესახებ.

ჩვენი ეარაუდით, შილერს ფრონდის შესახებ რომ დაეწერა სპეციალური გამოკვლევა, ალბათ წინ წამოსწევდა პრინცების ფრონდას, რომელიც ოგუსტენ ტიერის გამოთქმით, იყო „არისტოკრატიის შეთქმულებათა და საზალხო აჯანყების სინთეზი“. ამ მხრივ საგულისხმო უნდა იყოს ფრონდის გააზრების შილერისეული მეთოდი. რატომ მიაპყრო შილერის ყურადღება სრულიად სხვადასხვა პოლიტიკური ორიენტაციის მოღვაწეთა — რეცის, ორლეანის ჰერცოგის, ანა ავსტრიელისა და მაზარინის — დახასიათებამ? რა თქმა უნდა, შილერს ეს პერსონაჟები შემთხვევით არ უნდა ჰყავდეს შერჩეული. შესაძლოა, ამ მეთოდის დედააზრი ის იყო, რომ შილერი ფრონდაში ხედავდა წინააღმდეგობას სამეფო ხელისუფლებასა და არისტოკრატიას შორის. როგორც ცნობილია, რეცი და ორლეანის ჰერცოგი არისტოკრატიული ოპოზიციის თვალსაჩინო წარმომადგენლები იყვნენ და ძლიერი სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ გამოდიოდნენ. ანა ავსტრიელი და მაზარინი კი პირიქით, ამ უკანასკნელს იცავდნენ. ამ პიროვნებების დახასიათება საშუალებას მისცემდა შილერს ან კორნერს, თუ, რა თქმა უნდა, ის თავის მეგობრის აზრს გაიზიარებდა, მკვეთრად გამოეკვეთა ფრონდის დროს არსებული ორი ურთიერთსაპირისპირო ბანაკი — არისტოკრატია და სამეფო ხელისუფლება და მათ შორის არსებული წინააღმდეგობები. ამგვარად, შილერის წერილზე დაყრდნობით გამოვთქვამთ ფრთხილ ვარაუდს, რომ შილერმა იმიტომ მიაპყრო ყურადღება ანა ავსტრიელის, მაზარინის, რეცისა და ორლეანის ჰერცოგის დახასიათებას, რომ ფრონდაში ხედავდა არისტოკრატიასა და სამეფო ხელისუფლებას შორის კონფლიქტს.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ფრონდის წარმოჩენისას ზუსტად ანალოგიურ მეთოდს მიმართავს ცნობილი გერმანელი ისტორიკოსი კრისტოფ შლოსერი: „ფრონდის დროს მთავარი წინააღმდეგობა იყო მაზარინს, ანა ავსტრიელს, კონდესა და გასტონ ორანელს შორის.“ როგორც ჩანს, შლოსერი ფრონდაში მხოლოდ არისტოკრატიასა და სამეფო ხელისუფლებას შორის კონფლიქტს ხედავდა და ამიტომ უპირისპირებს ერთმანეთს ერთის მხრივ, მაზარინსა და ანა ავსტრიელს, მეორეს მხრივ კი — კონდესა და გასტონ ორანელს (15, 340). ძნელი დასაშვებია, რომ ეს შლოსერზე შილერის გავლენის შედეგი იყოს.

შილერის მეგობარი
ქრისტიან გოტფრიდ კორნერი

შილერი მართალია, როდესაც უარყოფს კორნერის პროექტს, მაგრამ ფრონდის შეფასებისას თვითონაც ბოლომდე პირუთვნელი ვერ არის, იგი მეორე უკიდურესობაში ვარდება. შესაძლოა, შილერი აღარიბებდა ფრონდის სოციალურ შინაარსს. იგი, რა თქმა უნდა, არც პირველი იყო და არც უკანასკნელი, რომელმაც ფრონდაში ფეოდალური რეაქცია დაინახა. ფრონდის მსგავს ინტერპრეტაციას საფუძ-

ჟულიო მაზარინი (1602-1661).
ფილიპ დე შამპენის ნახატი.

ველი ჯერ კიდევ მისმა თანამედროვეებმა ჩაუყარეს. ცნობილი ფრანგი განმანათლებელი შარლ ლუი მონტესკიე ფრონდას „არისტოკრატიის თავქარიან წინააღმდეგობას" უწოდებდა. მთელი XIX საუკუნის მანძილზე არაერთი [illegible] ისტორიკოსი ფრონდაში არისტოკრატიასა და სამეფო ხელისუფლებას შორის კონფლიქტს ხედავდა. ამ თვალსაზრისმა ფართოდ მოიკიდა ფეხი რევოლუციამდელ რუსულ ისტორიოგრაფიაში (ნიკოლოზ კარეევი, მიხეილ პეტროვი, რობერტ ვიპერი, პავლე არდაშევი – 4; 8; 2; 1). ღვაწლმოსილი ფრანგი ისტორიკოსი აკად. ერნესტ ლავისი უკვე XX საუკუნის დასაწყისში ფრონდაში „არისტოკრატიის უკანასკნელ საცოდავ წინააღმდეგობას" ხედავდა. ფრონდის ასეთ ინტერპრეტაციას მომხრეები თანამედროვე ფრანგულ ისტორიოგრაფიაშიც ჰყავს. ეს აზრი არის გატარებული ფრანგი ისტორიკოსის ჟან გუბერის მოხსენებაში ისტორიკოსთა XIII საერთაშორისო კონგრესზე მოსკოვში, 1970 წლის აგვისტოში.

„პრინცების ფრონდის" დაწყების ნიშანი გახდა ანა ავსტრიელის მიერ პრინც კონდეს, მისი ძმის – პრინც კონტისა და მათი სიძის – ჰერცოგ ლონგვილის დაპატიმრება. მთავრობის საწინააღმდეგო მოძრაობას არისტოკრატია ჩაუდგა სათავეში. ამიტომ ფრონდის ეს მონაკვეთი ისტორიაში ცნობილია „პრინცების ფრონდის" სახელწოდებით. პრინცებს არავითარი პოლიტიკური პროგრამა არ გააჩნდათ და პირადი ინტერესების დაკმაყოფილებაზე შორს არ მიდიოდნენ. ამაში განსაკუთრებული არაფერია, აბსოლუტიზმის გარდა სხვა რომელიმე სახელმწიფოებრივი წყობა მათ წარმოუდგენლად მიაჩნდათ. თუმცა პრინცებს უფრო მეტად, ვიდრე საპარლამენტო ოპოზიციების ლიდერებს, აღმოაჩნდათ უნარი სახალხო მოძრაობასთან გათამაშებისა. ხალხმა სულ ცოტა ხანში მშვენივრად დაინახა, რომ პრინცებსა და მაზარინს შორის არავითარი განსხვავება არ იყო და ორივენი ეგოისტურ პოლიტიკას ატარებდნენ. ამიტომ ხალხმა სწრაფად აქცია ზურგი პრინცებს. 1652 წლის ივლისის ამბებმა ბურჟუაზიას დაანახა, რომ საჭიროა რაც შეიძლება მალე დავსვას წერტილი ფრონდას. სახელმწიფოს შიგნით შინააშლილობა ყველაზე დიდ ზარალს მდიდარ ბურჟუაზიას აყენებდა. ამიტომ ბურჟუაზია მტკიცე ხელისუფლებაში ხედავდა თავისი სიმდიდრის გაზრდის სამუდამო გარანტიას. ბორდოს კაპიტულაციის შემდეგ, 1653 წლის 3 აგვისტოს ფრონდას საბოლოო წერტილი დაესვა (6, 82-84).

პროფ. ბორის პორშნევმა ზუსტად ჩამოაყალიბა ისტორიოგრაფიული პოლემიკის მთავარი არსი: „რა იყო ფრონდა – ფეოდალური რეაქცია თუ რევოლუციის მცდელობა?" (10, 533) ისტორიოგრაფიაში საკმაოდ დამაჯერებლად არის ნაჩვენები, რომ XVII საუკუნის შუა ხანების საფრანგეთის ბურჟუაზია ჯერ კიდევ არ იყო მზად იმისათვის, რომ სათავეში ჩადგომოდა რევოლუციას (11, 319).

არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ კლასობრივ ძალთა განლაგება სრულიად სხვადასხვაგვარი იყო XVII საუკუნის შუა ხანებში და XVIII საუკუნის მიწურულს. თუ XVII საუკუნეში ბურჟუაზია ჯერ კიდევ სუსტი ძალაა და აბსოლუტიზმის წიაღში ეთარგება, XVIII საუკუნის დასასრულზე ამას ვერ ვიტყვით. ამ პერიოდში ბურჟუაზია ეკონომიურად უკვე საკმაოდ მომძლავრებულია და აბსოლუტიზმის მფარველობას აღარ საჭიროებს. აბსოლუტიზმი ბურჟუაზისათვის დაბრკოლებად იქცა. სწორედ აქედან იღებს სათავეს ბურჟუაზიის რევოლუციური თვითშეგნების ზრდა (11, 319).

ვ. ბალოვს მიაჩნია, რომ „პრინცების პოლიტიკური ხაზის განსაზღვრა როგორც ფეოდალური რეაქციისა, სწორი არ იქნებოდა." არისტოკრატიული ოპოზიცია ხასიათდებოდა აბსოლუტური უპრინციპობით და არავითარი პოლიტიკური პროგრამა მას არ გააჩნდა. ასინი ერთი წამითაც არ ცდილან შეერყიათ აბსოლუტური მონარქიის საფუძვლები და აღდგინათ ფეოდალური რეაქციის ბატონობის ხანა, რაც აშკარად ეწინააღმდეგებოდა მათ კლასობრივ ინტერესებს. მათი ძირითადი მიზანი მთავრობისათვის სარეჭრების, პენსიების [illegible] ბებების გამოძალვა იყო. ამიტომ ბუნებრივია ისმის კითხვა: მაშ, რა იყო ფრონდა? [illegible] ., რომ ფრონდა აღმოჩნდა ისტორიული გზების თავისებურ გასაყარზე. საქმე ისაა, რომ ფეოდალურმა სეპარატიზმმა უკვე მოსწამა დრო, ხოლო რევოლუცია ჯერ კიდევ ადრე იყო. ამიტომაა, რომ ფრონდა ვერ თავსდება ტრადიციული ისტორიული წარმოდგენების ჩარჩოებში. ფრონდა, როგორც პოლიტიკური მოძრაობა, შინაგან მთლიანობას იყო მოკლებული, რაც მნიშვნელოვანწილად ამ მოძრაობის სოციალური შემადგენლობის სიჭრელით იყო გამოწვეული. ამიტომ სოციალური მოძრაობების ამ რთული კომპლექსის ერთგვაროვნად შეფასება ძნელია. ვ. ბალოვის მოსაზრებით, ყველაზე სწორი იქნება იგი განვსაზღვროთ როგორც „მასების ფართო ანტისაგადასახადო მოძრაობა" (6, 87). „ფრონდა იყო ინგლისის რევოლუციის ფრანგული იმიტაცია, საფრანგეთის დიდი რევოლუციის გენერალური რეპეტიცია" (10, 4).

შილერის ნაშრომში — „ნიდერლანდების განდგომის ისტორია" გვხვდება მსჯელობა ფრონდის ეპოქის შესახებ. აი, რას წერდა შილერი: „პარიზელთა აღშფოთების მიზეზი გაჭირვება იყო, მართალია ის (ე. ი. აღშფოთება — მ. კ.) იყო აღვირახსნილი, თავგასული, მაგრამ არა მამაცი, არამედ ჯიუტი, არა შეუდრეკელი, არამედ მდაბალი და არაკეთილსინდისიერი, როგორც მისი წარმოშობის პირველწყარო" (13, 139). ჩვენი ვარაუდით, შილერი აქ 1648 წლის 26 აგვისტოს ისტორიულ ამბებს გულისხმობს, როცა ბურჟუაზია უბრალო ხალხთან ერთად მთავრობის ჯარების წინააღმდეგ იბრძოდა (5). მოტანილ ციტატაში შეიძლება დავინახოთ ფრ. შილერის დამოკიდებულება ფრონდის ეპოქის სახალხო მოძრაობებისადმი. როგორც კონტექსტიდან ჩანს, აჯანყებული პარიზელებისადმი შილერი სიმპათიებით არ უნდა იყოს განწყობილი. ამიტომაა, რომ შილერი აჯანყებულთა მიმართ უარყოფით ეპითეტებს არ აშურებს. აქ ისახა ხავსებით რეალური ვითარება. შილერს, როგორც განმანათლებელს, არ სწამს ისტორიაში ხალხის პოზიტიური როლი.

ანა ავსტრიელი (1601-1666)

აჯანყება რა ფრონდის შედეგებს, შილერი წერდა: „ფრანგებმა იგრძნეს უჩვეულო თავისუფლება რიშელიეს დიდი ხნის მმართველობის შემდეგ, ნიდერლანდელები კი დიდი ხნის თავისუფლების შემდეგ გადავიდნენ მონობაზე. ბუნებრივია, რომ ფრონდა დამთავრდა ახალი დამორჩილებით, ხოლო ნიდერლანდების რევოლუცია ახალი აჯანყებით და რესპუბლიკური თავისუფლებით" (13, 139). შილერის დასკვნა სწორია, თუმცა იგი ჩვენი აზრით, უფრო მეტ არგუმენტაციას მოითხოვს. მტკიცების დასაბუთების თვალსაზრისით ის ცოტაი მოიკოჭლებს, რაც ამით აიხსნება, რომ ამ დროს ისტორია როგორც მეცნიერება თავის პირველ ნაბიჯებს დგამს და ჯერ კიდევ სუსტადაა განვითარებული, იგი სიტყვაკაზმული ლიტერატურის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. ისტორიკოსის მთავარი მიზანია რაც შეიძლება ლამაზად მოგვითხროს. „ისტორია იწერება არა

მტკიცებისათვის, არამედ თხრობისათვის." არადა, სწორედ მტკიცება ანიჭებს ისტორიას მეცნიერულ ღირებულებას.

ფრონდა გამოწვეული იყო იმ საზოგადოებრივი ძალების მიერ (არისტოკრატია, ბურჟუაზია), რომელთა ინტერესები მჭიდროდ იყო გადაჯაჭვული ერთი აბსოლუტიზმის ინტერესებთან. ბუნებრივია, ამ ძალებს არ შესწევდათ უნარი ეთამაშათ სერიოზული ოპოზიციის როლი. მათ შეეძლოთ მხოლოდ რევოლუციით დამუქრებოდნენ მონარქიას მისთვის პრივილეგიები და საჩუქრები გამოეძალათ. შემთხვევითი არ იყო [illegible] კი მიიღეს პენსიები, საჩუქრები, თანამდებობები, უმალ ჩაბოშორდნენ მოძრაობას და შეურიგდნენ სამეფო ხელისუფლებას. ამიტომ იყო, რომ „ფრონდა ახალი დამორჩილებით დამთავრდა".

შილერის ნაშრომში — „ნიდერლანდების განდგომის ისტორია" გვხვდება საინტერესო პარალელი ნიდერლანდების რევოლუციასა და ფრონდას შორის. ეს არის ხალხის ამხედრება გრანველას და მაზარინის წინააღმდეგ (13, 139). უნდა დავინახოთ ფრონდაში რევოლუცია, რომელიც თავის ხასიათით და მამოძრავებელი ძალებით ახლოს დგას ნიდერლანდების რევოლუციასთან, თუ პირიქით, ნიდერლანდების რევოლუცია განვმარტოთ ფრონდის მიხედვით (7). შილერი არც ერთ გზას ირჩევს და არც მეორეს. იგი ფრონდაში ფეოდალურ შუღლს ხედავს, ხოლო ნიდერლანდების აჯანყებაში — დიდ ეროვნულ მოძრაობას. ამიტომ იყო, რომ მათი შედეგები, როგორც შილერი აღნიშნავს, სრულიად განსხვავებული აღმოჩნდა. მისი მთავარი მიზანია უჩვენოს მსგავსება გრანველასა და მაზარინის ბედს შორის, რასაც, სხვათა შორის, შილერი საკმაოდ ოსტატურად ახერხებს. თუმცა მის მსჯელობაში შეიმჩნევა სუბიექტურობაც. საქმე ისაა, რომ შილერის სიმპათიები სულ გრანველას მხარეზეა, ხოლო მაზარინს საკმაოდ უარყოფითი ეპითეტებით ამკობს. მაზარინი კარდინალ რიშელიეს პოლიტიკური კურსის ღირსეული გამგრძელებელია და ამიტომ მისი მოღვაწეობის ცალსახად ნეგატიური შეფასება მართებული არ უნდა იყოს (17).

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ჩვენი ფრთხილი ვარაუდით, შილერი იზიარებდა გავრცელებულ მოსაზრებას, რომ „ფრონდა იყო წინააღმდეგობა არისტოკრატიასა და სამეფო ხელისუფლებას შორის". მიგვაჩნია, რომ ფრონდის შეფასებისას კეორნერი უფრო ახლოს მივიდა ისტორიულ ჭეშმარიტებასთან, ვიდრე შილერი. მისი სკეპტიკური დამოკიდებულება კეორნერის პროექტის მიმართ საკამათო ჩანს.

მერაბ ქალანდაძე
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი,
თსუ დასავლეთ ევროპისა და ამერიკის
ახალი და უახლესი ისტორიის კათედრის დოცენტი

ლიტერატურა

1. **Ардашев П. П.** Абсолютная монархия на западе. СПб. 1902.
2. **Виппер Р. Ю.** Новая история. СПб. 1918.
3. История Франции. Под ред. А. Манфреда и др. I. М. 1972.
4. **Кареев Н. И.** История западной Европы. 3. М. 1899.
5. **Лившиц Р.** Народное восстание в Париже в 1648 году. "Уч. записки Ленинградского государственного педагогического института им. А. И. Герцена". т. 68. Л. 1970.
6. **Малов В. Н.** Фронда. "Вопросы Истории". № 7. 1986.
7. **Мотлей Д.** История нидерландской революции и основание республики соединенных провинции. I-III. СПб. 1865-1871.
8. **Петров М. Н.** Лекции по всемирной истории. 3. СПб. 1913.
9. **Пиренн А.** Нидерландская революция. М. 1937.
10. **Поршнев Б. Ф.** Народные восстания во Франции перед фрондой (1623-1648). М-Л. 1948.
11. **Поршнев Б. Ф.** Отклики Французкого общественного мнения на английскую буржуазную революцию. в кн.: Средние века. вып. VIII. М. 1956.
12. **Поршнев Б. Ф.** Франция, Английская революция и Европейская политика середины XVII века. М. 1970.
13. **Шиллер Фр.** История отпадения соединенных Нидерландов от испанского владычества. Собр. Соч. т. 4. М. 1957.
14. **Шиллер Фр.** Письма. Собрю соч. 7. М. 1957.
15. **Шлоссер К.** Всемирная история. XV. М. 1860.
16. **Чистозвонов А. Н.** Нидерландская буржуазная революция XVI века. М. 1958.
17. **Cabrin A. M.** Mazarini. Torino. 1962.

ᲛᲘᲪᲕᲐᲚᲔᲑᲣᲚᲘᲡ ᲓᲐᲢᲘᲠᲔᲑᲐ-ᲓᲐᲙᲠᲫᲐᲚᲕᲘᲡ ᲠᲘᲢᲣᲐᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚ ᲔᲑᲠᲐᲔᲚᲔᲑᲨᲘ

(რაჭის ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით)

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ

საქართველოში მცხოვრებ ებრაელებს მდიდარი მატერიალური და სულიერი კულტურა გააჩნიათ. მათ ისტორიაში მნიშვნელოვანი როლი რელიგიამ ითამაშა. სწორედ რელიგია წარმოადგენს ქართველ ებრაელთა ეროვნული შეგნების ღრმა ფსიქოლოგიურ ფაქტორს, რაც კონკრეტულად იმაში გამოიხატა, რომ მიიღეს მეზობელი ხალხის ენა, დაკარგეს თავიანთი ტერიტორია და ძველებრაული საზოგადოებრივი ერთობა, მაგრამ შეინარჩუნეს ეროვნული ცნობიერების ერთ-ერთი უმთავრესი ფაქტორი — რელიგია. რელიგიური აზროვნების ფორმა კავკასიის (კერძოდ, საქართველოს) ებრაელებში საოცრად განსხვავდება სხვა ქვეყნების ებრაელთა რელიგიური აზროვნების ფორმისაგან. მათთვის რელიგიური თვითმყოფადობა, თორა და მოსეს კანონები წარმოადგენს ცხოვრების წესს, ეროვნულ ხასიათს. იუდაიზმის რელიგიურ-ეთიკური გავლენა ღრმად ეტყობა ებრაელთა საზოგადოებრივ აზრს, მათ სოციალურ ფსიქიკას, კულტურის ფორმების ყველა სფეროს. საქართველოში მცხოვრებმა ებრაელებმა შეითვისეს ქართული ენა, ტანსაცმელი, საკვების მრავალი სახეობა, ყოფისა და კულტურის სხვა არაერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი და მიუხედავად ამისა, ერთგულნი დარჩნენ რელიგიურ წეს-ჩვეულებათა ძველებური ტრადიციებისა.

შეუძლებელია არ აღინიშნოს ებრაული ეთნიკური ხასიათისა და ზნე-ჩვეულების, მატერიალური და სულიერი კულტურის ის სპეციფიკური ელემენტები, რომლებიც ებრაელ-ქართველთა ეთნოკულტურული სიახლოვის მიუხედავად, საოცრად მდგრადი აღმოჩნდა. ყოფის ასეთ ელემენტებს განეკუთვნება ნიშნობის, ჯალაბის გაყოფის, ქორწინების, დატირება-დასაფლავებისა და სხვა რიტუალები, სადაც ნათლად ჩანს ებრაელთა ინდივიდუალურობაც და ეროვნული ხასიათის ნიშნებიც.

მორწმუნე ქართველ ებრაელთა შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი მიცვალებულის დატირება-დაკრძალვის რიტუალს უჭირავს. წინამდებარე ნაშრომის მიზანს სწორედ ამ რიტუალის ზუსტად და თანმიმდევრულად განხილვა წარმოადგენს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ებრაელები უძველესი დროიდან ცხოვრობენ საქართველოში და არ არის გამორიცხული, რომ მათ შეეთვისებინათ ამა თუ იმ კუთხის სამგლოვიარო-რიტუალური პროცესის ზოგიერთი დეტალი. ქუთაისის დიდი რაბინი იაკობ დავარაშვილი ამბობდა: „შავად ჩაცმის წესი ვინმეს გარდაცვალების შემთხვევაში ებრაელობამ სომხებისაგან გადაიღო, ხოლო მიცვალებულის რამდენიმე დღით გაჩერება ოჯახში აღგილობრივი მცხოვრებლებისაგან უნდა იყოს შემოღებული, რადგან ებრაული წესით აუცილებელია გარდაცვლილის იმავე დღეს დასაფლავება მზის ჩასვლამდე."

მთის რაჭაში ადამიანი გარდაიცვლება თუ არა, მაშინვე გასუდრავენ და ცხედარს თავთან დაუდგამენ მაგიდას, რომელზეც მისი სულის საგზლად „ალალტენ" პურს და ერთ ჭიქა ღვინოს ალაგებენ, ხოლო ფეხებთან სანთელს უნთებენ. ასევეა ებრაელებშიც: გარდაიცვლება თუ არა ადამიანი, მას გასუდრავენ და სულის საგზლად თავთან გატეხილ კერცხს, ხოლო ფეხებთან ერთ ჭიქა წყალს დაუდებენ და სანთელს დაუნთებენ. როგორც მთის რაჭველებში, ასევე ებრაელებში, საქელეხო შესაწირად ახლობლებს მოაქვთ საკვები. მთელი შვიდი დღის განმავლობაში მგლოვიარე ოჯახი მარხულობს. მიცვალებულის პატრონი საქელეხო სუფრით მთელ სოფელს უმასპინძლდება, განსაკუთრებით, ქვრივ-ობლებს.

ქართველ ებრაელებში დატირება-დასაფლავების რიტუალი შესწავლილი და აღწერილი აქვთ თავდიდაშვილს (1), ჩორნის (2), ბლისეკკის (4), რომელთა გამოკვლევებიდან დგინდება, რომ აღნიშნული რიტუალები უკანასკნელ დრომდეა შემორჩენილი პირვანდელი სახით, თუმცა კი ეს რიტუალური პროცესები განსხვავებულად სრულდებოდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მცხოვრებ ებრაელებში. ჩვენი ნაშრომი ძირითადად საკუთარ საველე-ეთნოგრაფიულ მასალებს ეფუძნება, შეჯერებულია აგრეთვე ზემოჩამოთვლილ მკვლევართა შრომებთან.

გარდაცვალების წინ, ვიდრე ავადმყოფს ლაპარაკი შეუძლია, მოდის ხახამი (სასულიერო პირი), თუ ავადმყოფს რაიმე „ნედერი" (შეკვეთა) დარჩა შეუსრულებელი, „ალალს"

(შენდობას) ეტყვიან. თუ რაიმე აქვს დასაბარებელი, დაიბარებს ხახამის თანდასწრებით. მომაკვდავი იტყვის სიკვდილის წინა ლოცვას – „ვიდუის" (24-ჯერ ჩაირტყამს მუცლის გულში), რომლის დროსაც ამბობს თავის ცოდვებს და ღმერთს შესთხოვს პატიებას. ამის შემდეგ, მორწმუნე ებრაელების წარმოდგენით ღმერთი მას ყველაფერს შეუნდობს. თუ მომაკვდავი ისე გარდაიცვალა, რომ მან ვერ მოასწრო „ვიდუის" თქმა, მაშინ ხახამი ცოლ-შვილს (ქმარ-შვილს) ათქმევინებს. მიცვალებულის წესის აგებაში დიდი მნიშვნელობა აქვს „მინიანს" (10 კაციანი შემადგენლობა).

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

აუცილებელია, რომ გარდაცვლილი კაცი ქალმა დაიტიროს ხმით, რისთვისაც აქვთ სპეციალური ლექსები ქართული ენაზე (აკაკი წერეთელმა გამოსცა პროზაულად „ებრაელი კაცის დატირება საქართველოში"). ებრაელი ქერეველისთვის დიდ სირცხვილად ითვლება, თუ ის ცუდად დაიტირებს თავის მეუღლეს, რადგან მას მეზობელ-ახლობლები დასცინებენ.

თუ ებრაელის სახლში ქორწილისთვის ემზადებიან და ვინმე გარდაიცვალა, მაშინ ქორწილს გადადებენ, ხოლო თუ ბავშვია მოსანათლი და მას მერვე დღე უწევს, იმ შემთხვევაში მონათლავენ, ხოლო თუ არ უწევს, მაშინ ნათლობას გადადებენ.

თუ ადამიანი შაბათ დღეს გარდაიცვალა, მას არავითარ შემთხვევაში არ დასაფლავებენ იმავე დღეს, რადგან შაბათი „დღეთა დედოფალია, შაბათი არის ხასი, რა არის ამის ფასი" – ამბობს ერთ-ერთი მთხრობელი. ამიტომ მიცვალებულს დაკრძალავენ კვირას. თუ ებრაელი პარასკევს ან რომელიმე დღესასწაულის (ფურიმი, შაბუოთი, ფესახი...) წინა დღეს გარდაიცვალა, იციან თქმა, რომ მას ყველა ცოდვა შეუნდობიათ, ე. ი. „ღმერთისაგან მადლიანია". პარასკევი დღე ალბათ იმიტომ არის გათანაბრებული დღესასწაულებთან, რომ ამ დღიდან იწყება „ელია ღამისათვის" (შაბათ ღამე) მზადება.

ებრაელი თუ ჭლექით კვდება, პირში უმარილო ფყინტ ყველს ჩაუდებენ და პირზე სუდარას გადააფარებენ, თუ სიკვდილის წინ წყალობს, სასწორს დაანახვებენ. თუკი მან ოდესმე „აწონა" ვინმე (უპირატესობა მიანიჭა ვიღაცას, ან ვინმეს გამო სჯას აწყენინა), უნდა მოინანიოს. ნომაკვდავს პირზე გადააფარებენ. ხახამი არ ტოვებს მას, ვიდრე იგი სულს არ განუტევებს. თუ ებრაელი გარდაიცვალა „ქარეთით" (უბედური შემთხვევით), ისე, რომ მას ორგანიზმიდან გამოუვიდა სისხლი, მასზე არ იციან ტანსაცმლის და სუდარის შეკერვა. საცხედრეში თავისივე ტანსაცმლით აწვენენ, რითაც იგი გარდაიცვალა. უკერავენ მხოლოდ ერთ თეთრ გრძელ პერანგს. სადაც ცხედრის სისხლი მოეცხება, მოფხიკავენ და საფლავში ჩაყრიან, რადგან „სისხლის დაკარგვა არ შეიძლება."

ადამიანის გარდაცვალების შემდეგ ცხედარს გადაასვენებენ ჭილოფზე, აანთებენ სანთლებს ფეხებთან და თავთან. თუ მიცვალებულზე დასაფარებელი ქსოვილი (სუდარა) მზადაა, გადააფარებენ, თუ არადა, მკერავები მოდიან სახლში. სუდარის მკერავი სპეციალურად შერჩეული ქალია, რომელსაც ბავშვობიდან ასწავლიან კერვას. სასუდარე ნაჭრის შეძენა გარდაცვალებამდეც შეიძლება. ვინც სუდარას კერავს, ის კერავს მიცვალებულის ტანსაცმელსაც. სუდარა მზადდება მიტკლისაგან. მკერავ ქალებს მიართმევენ ღვინოსა და საჭმელ-სასმელს. შესაკერად უნდა იხმარონ ახალი კოჭის ძაფი, ახალი ნემსი, ახალი საპონი ან ცარცი, უბმარი ქსოვილი. ჩასაცმელს ისე შეკერავენ, რომ მიცვალებულს ხელ-ფეხი დაუფაროს. ბოლოს კერავენ ერთიან დიდ „სამიწურეს", რომელშიც მთლიანად გაახვევენ მიცვალებულს. შეუკერავენ აგრეთვე ბალიშის პირსაც, რომელშიც ყრიან მიწას და მიცვალებულს თავქვეშ ამოუდებენ. სუდარა აუცილებელია ყველა მიცვალებულისათვის დიდიდან პატარამდე. ზოგნი, მეტწილად მოხუცნი, წინასწარ, სიცოცხლეშივე იკერავენ სუდარას. მოიწვევენ მტერ-მოყვარეს, სუდარის მკერავს, გააწყობენ სუფრას და სიცილ-ხარხარით შეუდგებიან ჭრა-კერვასა და პერის ჭამას. განსაკუთრებული ცერემონიით ახომებენ ცოცხალს თავის სუდარას. შეკერვის შემდეგ სუდარა ინახება იერუსალიმის მიწასთან, საპონთან და ვერცხლის ბეჭედთან ერთად.

ეთნოგრაფიული მონაცემების ანალიზი გვიჩვენებს, რომ საქართველოს უმეტეს რეგიონში (რაჭა, ჭუთაისი, ფოთი, სურამი) ებრაელები მიცვალებულს ვერცხლის ბეჭდის მეტს არაფერს ატანდნენ. იცხაკ დავიდს აღნიშნული აქვს, რომ ცხინვალელ ებრაელებს წესად ჰქონდათ მიცვალებულისათვის სხვადასხვა ნივთებისა და ხანდახან ფულის გატანებაც. ეს ფაქტი მეტად საინტერესოა, რადგან ებრაული რელიგია კრძალავს მიცვალებულისათვის საფლავში რაიმეს ჩატანებას. არ არის გამორიცხული, რომ ეს წესი ცხინვალელმა ებრაელებმა ადგილობრივ მცხოვრებთაგან გადმოიღეს. რაც შეეხება ვერცხლის ბეჭდს, მასზე

მიცვალებულის სახელი და გვარია წარწერილი, რადგან ებრაელთა რწმენით, მეორედ მოსვლისას ყველა მიცვალებული გაცოცხლდება და როდესაც ბეჭედზე დაიხედავენ, თავიანთი ვინაობა მოაგონდებათ. ბეჭედზე სახელი და გვარი აუცილებლად ებრაულ ენაზე უნდა იყოს ამოტვიფრული.

თუ ოჯახში ვინმე გარდაიცვლება, ოჯახის წევრები და მეზობლებიც კი, [illegible] სავსე ჭურჭელს დაცლიან, რადგან იტყვიან, „სულის ამღები ხმალს წყალში ავლებსო." გასვენების შემდეგ, როცა ქალები სალოცავიდან შინ ბრუნდებიან, ოჯახის უფროსი [illegible] სავსე ჭურჭელს შეიტანს შინ, ტაშს შემოჰკრავს და სამჯერ იტყვის: „ლხინში [illegible] ვიყავი." გამყოლი ქალებიც ცოტა ხნით რჩებიან და ანუგეშებენ ჭირისუფალს.

ადამიანი რა დღესაც გარდაიცვლება, იმავ დღეს უნდა მიბარდეს მიწას. მათი აზრით, „კაცი მიწაა და მიწამ უნდა შეჭამოს." სანამ გარდაცვლილს შესუდრავენ, თვალებზე მოაყრიან იერუსალიმის მიწას, რადგან „იერუშალაიმის მიწა წმინდაა, მიცვალებულს ჭია ალარ შეჭამს და ალარ იმოქმედებს." ცხედრის გაპატიოსნებაში სამი კაცი იღებს მონაწილეობას. ერთი წყლის დამსხმელია, მეორე — საპნის წამსმელი, მესამე კი — დამბანი. ვინც



ონის სინაგოგა

მიცვალებულს ბანს. მან უნდა იცოდეს ყველა წესი, რაც თორაში წერია. მის მოვალეობას ხახამი ან რაბინი ასრულებს, რადგან ყველაზე კარგად მან იცის თორა. როგორც სუდარის შეკერვისას, ასევე დაბანვის დროსაც ყველაფერს უხმარს იყენებენ. ზემოხსენებული სამი პიროვნება მიცვალებულს აცმევს, აჭრის ფრჩხილებსა და თმას, ატარებს სუდარას, ადებს მას ცხედრის ზომა ძაფს, უკეთებს ცერა თითზე ბეჭედს და ამით გასულდგმულ დამთავრებულია. შემდეგ მიცვალებულს საცხედრით წაასვენებენ სალოცავში, მერე კი სასაფლაოზე. მიცვალებულს საცხედრით არ ასაფლავებენ, იგი მოაქვთ უკან და სინაგოგაში ან სახლებში სათავსოებში ინახავენ.

მიცვალებულის გამოსვენების წინ სახლის კარებს მიხურავენ, კუბოს სამჯერ მიარტყამენ ფეხს და იტყვიან: „მძიმე იქნეს შენი ფეხი." პროცესიას სალოცავამდე მიჰყვება ყველა 13 წელს აცილებული ქალი და კაცი, ხოლო სასაფლაოზე ბავშვები და ქალები არ მიდიან, რადგან ებრაელთა რწმენით, სასაფლაოს ჰყავს თავისი ჩენილი, ბოროტი ძალა, რომელიც შეიძლება დაეპატრონოს სუსტებს და შეიძლება „მოსახდომი" დამარილოს მათ. მოხრილების გადმოცემით, ონში მცხოვრები ერთ-ერთი ბავშვი წავიდა ბიძის გასვენებაში. სახლში რომ მობრუნდა, ენა ჩაუვარდა და ველარ ლაპარაკობდა. ხახამი მას ერთი კვირის განმავლობაში უკითხავდა თორას და ლოცულობდა. სწორედ ამიტომ მიცვალებულს სასაფლაოამდე მხოლოდ მამაკაცები მიასვენებენ. გარდაცვლილს დასაფლავების დროს ფეხები იერუსალიმისკენ უნდა ჰქონდეს. სასაფლაოზე ხახამი თორულად ლოცულობს. მიცვალებულს მიაყრიან მიწას, ბალახს მოწყვეტენ და საფლავისკენ ხელუკუღმა, თავსუკან გადაიყრიან.

ამის შემდეგ ბრუნდებიან შინ. მათ ხახამიც თან მიჰყვება. მოგროვდება ყველა, ვისაც „აბელობა" (მგლოვიარობა) ერგება. ხახამი პირველად უფროსს მიაღებინებს აბელობას, შემდეგ – დანარჩენებს. მას ხელში დანა უჭირავს. ჩაუჭრის პერანგს მშობლებს მარცხნივ, დანარჩენებს – მარჯვნივ. აბელი ამბობს: „ბარუხ დაიანა ემეთ" („მოსამართლე ჭეშმარიტი ბრძანდება"). როდესაც „კერიყას" (პერანგის გაჭრას) დაამთავრებენ, იქვე სუფრას გაშლიან. აბელს არცერთ წუთს მარტო არ ტოვებენ. აბელობა ერთ კვირას გრძელდება. ამ ხნის მანძილზე იგი უნდა იჯდეს დაბალზე, არ უნდა იმუშაოს არ ჭამოს ხორცეული (შაბათის გარდა). მერვე დღეზე „აუშვებენ აბელობიდან". მამაკაცები მიდიან სასაფლაოზე „მინიანთან" ერთად ქვის დასადებად. აბელობიდან გამოსულნი იცვლიან ტანსაცმელს და შეუდგებიან ჩვეულებრივ საქმიანობას.

დღიდან გარდაცვალებისა, სრული თერთმეტი თვის განმავლობაში, მიცვალებულისათვის ანთებული „ყანდილი" (ზეთი) არ უნდა ჩაქრეს. უნდა იყოს გაწყობილი ლოგინი, რომელზეც არავინ ჩამოჯდება. სასთუმალთან უნდა იდგეს ჭიქა სავსე წყლით, იგი დღეგრძელობის უნდა შეიცვალოს. თუ არ დაიდგა ჭიქით სავსე წყალი და არ გამოიცვალა, მიცვალებული გაჯავრდება, – დაბრუნდეს და სხვა ვინმე საყვარელ ადამიანს წაიყვანს ოჯახიდან. თერთმეტი თვის განმავლობაში, ყოველი „როშხოდეში" (ახალი მთვარე, თვის დასაწყისი) ოჯახში აღინიშნება დიდი ვახშმობით, სადაც მოიხსენიებენ მიცვალებულის სულს და ამბობენ „დარუშებს" (ლეგენდებს). ყოველ პარასკევ სალამოს სინზე დაალაგებენ საუკეთესო ,ერძებს და იტყვიან „მენუხას" (მოსაგონარს).

მიცვალებულის გამოტირილი იციან ორმოცი დღის თავზე, რომელსაც ესწრება ხახამი. იგი ამბობს „კადიშს" (ლოცვას). გამოტირილზე ქალები ცალკე არიან. ჭირისუფალნი სასაფლაოზე მიდიან, მიაქვთ მიცვალებულის ტანსაცმელი და საჭმელ-სასმელი. პირველად მამაკაცები მიდიან „მინიანთან" ერთად. ქალები მიცვალებულის ტანსაცმელს ქვაზე დააწყობენ. ირგვლივ ხალიჩებს მოფენენ, შემოუსხდებიან და ხმამაღლა ტირიან. გამოტირილზე ერთ-ერთი მოწინავე ხნიერი ქალი „კუფას" დაიძახებს, ხელში თავსაფარს დაიჭერს და ფულს აგროვებს. თანხას დებენ სურვილისამებრ, ვისაც რამდენი შეუძლია. შემდეგ შეგროვილ ფულს გადასცემენ ვინმე ღარიბსა და გაჭირვებულს, ან აუადმყოფს, ან დასასახლებელ ობოლს. სასაფლაოდან დაბრუნებულნი ხელ-პირს დაიბანენ და იტყვიან: „ღმერთო შენ გააგრილე ყოველივე სიავე და გაჭირვება ისრაელის შვილზე წამოსულიო." თერთმეტი თვის შემდეგ ჭირისუფლები ტანსაცმელს იცვლიან, ახალს იცვამენ, ძველს კი ქვრივ-ობლებსა და ღარიბ-ღატაკებს ურიგებენ.

მიცვალებულის სულის სახსენებლად და მოსაგონრად საფლავზე გასვლა თითქმის ყველა დღესასწაულზე იციან, იმის აღსანიშნავად, რომ ღმერთმა ისრაელის ერი მოსეს ხელით დაიხსნა ეგვიპტელთა მონობისაგან.

დაჭირება-დაკრძალვის რიტუალურ პროცესში არანაკლები მნიშვნელობა აქვს მიცვალებულის კულტის ერთ-ერთ მთავარ ელემენტს — პურობას, რომელსაც თან ახლავს გარკვეული სახის კვებითი აკრძალვები, რაც გარდაცვალების დღიდან იწყება მიცვალებულის ოჯახში. პირველ რიგში, როგორც აღვნიშნეთ, წყლის ჭურჭელს დაცლიან. ოჯახის წევრები მარხვას ინახავენ, მათ „შვიდის" გადახდამდე ხორცისა და ხორცის პროდუქტების ჭამა ეკრძალებათ (შაბათის გარდა). წლის განმავლობაში მიცვალებულისათვის შემდეგი დღეები უნდა გადაიხადონ: დასაფლავების დროს — „რიგი", შვიდი დღის თავზე [illegible] — „ცდაათი" დღეზე — „ოცდაათი", თერთმეტ თვეზე — „წლისთავი". გარდა ამისა, [illegible] ყველ როშხოდეშში განსვენებულის პატრონმა უნდა გაიტანოს სუფრა მიცვალებულის სახელზე და ღარიბებსა და ქვრივ-ობლებს უნდა დაურიგოს.

მიცვალებულის დასაფლავების შემდეგ სუფრას შლიან სახლში ან ეზოში. ხალხის დაპატიჟება ამ დროს არ იცვიან. „რიგისთვის" აუცილებლად გამოაცხობდნენ ხახვისგულიან ქადას — „ყათმანს", რომელიც ზეთში ცხვება გაფუებული ცომისაგან. ონში მცხოვრები ებრაელები ამზადებენ აგრეთვე „ლობუანს". ამ ორივე რიტუალურ ქადას აცხობენ მოხვეულს, მრგვალი ფორმისას, კენტი რაოდენობით. „რიგის" სუფრაზე უნდა იყოს ლობიო, ცოცხალი თევზი, მოხარშული კვერცხი, მწვანილი, ხილი, სასმელებიდან — არაყი, ღვინო. „კილუშს" (სუფრას) აკურთხებს ხახამი. საერთოდ, რა დღესასწაულსაც ემთხვევა სუფრა, იმ დღის მიხედვით შლიან სუფრას.

„შვიდის" გადახდისათვის დაკლავენ საკლავს, დააცხობენ პურებს, ლობიანებს, ნამცხვრებს, მოამზადებენ ხორციან კერძებს — ყალიას, ხაშლამას. დილით, საფლავზე გასვლის წინ, ქალებისათვის გაშლიან სუფრას „თეთრეულით" (რძე, ყველი, კარაქი, არაყანი), ნამცხვრით, ჩაით. მიცვალებულის შესანდობარს არყით შესვამენ. შემდეგ მიდიან სასაფლაოზე და იქ ეწყობა გამოტირილი. როგორიცაა „შვიდის" სუფრის ხარჯი, ისეთივეა „ოცდაათი" და „წლისთავი", მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ თუ „შვიდამდე" ხარჯის სუფრას ნათესავ-ახლობლები აკეთებენ, „ოცდაათისა" და „წლისთავის" გადახდა ოჯახის წევრებს ევალებათ.

ებრაელების სამგლოვიარო რიტუალურ სუფრას წინ უსწრებს სასაფლაოზე გასვლა, „კადიშის" თქმა, გამოტირილი, სალამოს კი სალოცავში ისევ „კადიში". მიცვალებულის სულის დღედ ითვლება „შვიდფერობა" და აღინიშნება ადრე გაზაფხულზე, „ფესახის" წინა შაბათს. ამ დღეს ხარშავენ შვიდი სახეობის მარცვალს (ხორბალს, სიმინდს, წიწიბურას, ლობიოს, მუხუდოს, ცერცვს, ბრინჯს) და ამბობენ: „როგორც ეს არის მატებიანი, ისე იმატოს ჩვენმა ოჯახმაო." მიცვალებულის სულის დღედ ითვლება აგრეთვე „სიონის ტირილი". ეს მოგონებაა იმ დღეებისა, როცა ნაბუქოდონოსორმა ომი დაიწყო ისრაელის სამეფოსთან.

წარმოდგენილი ეთნოგრაფიული მონაცემების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ქართველ ებრაელებში არსებული რიტუალური რწმენა-წარმოდგენები დღევანდლამდე ისევ შემორჩენილი, როგორც გასული საუკუნის ბოლოსა და ჩვენი საუკუნის დასაწყისში. ებრაელთა ყოველი რიტუალი მჭიდრო კავშირშია რელიგიასთან, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს ყოველდღიურ ცხოვრებაში. ებრაელთა ეთნიკური ხასიათისა და ზნე-ჩვეულებების, მატერიალური და სულიერი კულტურის სპეციფიურობაზე სწორედ მათი რწმენა-წარმოდგენები მიუთითებს. რამდენად საოცარია, რომ მიუხედავად ქართველებთან ოცდაექვსაუკუნოვანი ეთნოკულტურული სიახლოვისა, ისინი საოცრად მდგრადი აღმოჩნდა. ებრაელთა ყოფისა და კულტურის ელემენტების შესწავლისას იკვეთება ებრაელთა ცხოვრების წესის ინდივიდუალურობა და ეროვნული ხასიათის თავისებური ნიშნები.

ᲫᲔᲗᲔᲕᲐᲜ ᲨᲝᲨᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ

1. რიზა **თავდიდიშვილი**. ეთნოგრაფიული ნარკვევი. ქუთაისელ ებრაელთა ყოფა და კულტურა. თბ. 1940.
2. იუდა ჰალიევ **ჩორნი**. მოგზაურობა იმერ და ამიერკავკასიაში. ისტ. ეთნ. მუზეუმის შრომები. III. 1945.
3. **Ицхак Давид.** История евреев на Кавказе. т. 1. "Кавкасиони". Тель-Авив. 1989.
4. **Плисецкий М. С.** Религия и быт грузинских евреев. Тб. 1959.

ქალაქი არტანუჯი და მისი სიძველენი



ქალაქი არტანუჯი. საერთო ხედი. ნიკო მარის ფოტო. 1904.

შუა საუკუნეების საქართველოს ქალაქებს შორის არტანუჯს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. IX-X საუკუნეებში, ქართველთა ეროვნული თვითშეგნების გამოღვიძებისა და ზოგადქართული სახელმწიფოებრიობის იდეის ჩამოყალიბების სანაში იგი ქვეყნის უმთავრეს პოლიტიკურ ცენტრს წარმოადგენდა. ის იყო სატახტო ქალაქი კლარჯი ბაგრატიონებისა, რომელთა სამფლობელოებშიც იშვა ქართველთა ისტორიული ერთიანობის იდეა და რომელთაც მოამზადეს საქართველოს გაერთიანება.

არტანუჯს დიდი ხნის ისტორია აქვს. როგორც დასახლებული პუნქტი, ის უკვე ქრისტიანობამდელ ხანაში არსებობდა. კლავდიოს პტოლემაიოსი (ახ. წ. II ს. შუახანი) იხსენიებს იბერიის ქალაქ არტანისას – Artanissa (3, 50), რაც ძველი არტანუჯი უნდა იყოს. V საუკუნის ბოლოს არტანუჯი ადგილობრივ ერისთავთა რეზიდენციად იქცა. ჯუანშერის ცნობით, ვახტანგ გორგასალმა „იხილა კლდე შუა კლარჯეთსა, რომელსა სოფელსა ერქუა არტანუჯი და მოუწოდა არტავაზს, ძეძუსძეს მისსა, და დაადგინა იგი ერისთავად; და უბრძანა, რათა ააგოს ციხე არტანუჯისა... ხოლო არტავაზ აღაშენა ციხე არტანუჯისა“ (10, 177-178). 730-იან წლებში ციხე დაანგრია კლარჯეთს შემოსეულმა არაბთა ლაშქარმა მურვან ყრუს მხედართმთავრობით და ამის შემდეგ იგი კარგა ხანს მიტოვებული იყო. მისი განახლება დაკავშირებულია აშოტ I კურაპალატის სახელთან. გიორგი მერჩულეს მიხედვით, აშოტმა „აღაშენა ციხე არტანუჯისაჲ“ (1, 296). სუმბატ დავითის ძე ამ ამბავს უფრო ვრცლად მოგვითხრობს: „აშოტ კურატპალატმან პოვა კლარჯეთის ტყეთა შინა კლდე ერთი, რომელ პირველ ვახტანგ გორგასალს ციხედ აღეშენა, სახელით არტანუჯი; და აოკრებულ იყო ბალდადელისა მით ყრუობითგან. იგი განაახლა

ამოტ და აღაშენა ეგრეთვე ციხედ, და წინა-კერძო მისსა ქუეშეთ აღაშენა ქალაქი. და აღაშენა ციხესა მას შინა ეკლესია წმიდათა მოციქულთა პეტრესი და პავლესი, და შექმნა მას შინა საფლავი თჳსი, და დაემკჳდრა ციხესა მას შინა ცხორებად" (7, 377). ამის შემდეგ არტანუჯი იქცა ამოტის მემკვიდრეთა საგანგებო ქალაქად და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს პოლიტიკურ ცენტრად. ამ გარემოებისა და მოხერხებული გეოგრაფიული მდებარეობის წყალობით ქალაქი სწრაფად დაწინაურდა. ბიზანტიის იმპერატორი [illegible] VII პორფიროგენეტი (913-959) ასე აღწერს მას: „ადრანუჯის ციხე [illegible] აქვს დიდი რაბატიც და დაბა-ქალაქიც. და იქ მოდის საქონელი ტრაპეზუნტისა, იბერიისა, აფხაზეთისა, და არმენიის და სირიის ყველა ქვეყნიდან; და ამ საქონლებიდან მას უამრავი ბაჟი შემოსდის" (4, 278-279).

X საუკუნის ბოლოდან, როცა გაერთიანებული საქართველოს დედაქალაქი ქუთაისში გადადის, არტანუჯი კარგავს უწინდელ როლს, მაგრამ ინარჩუნებს აღგილობრივი ცენტრის მნიშვნელობას. ის ხშირად ფიგურირებს XI საუკუნის მოვლენების ამსახველ მატიანეებში. 1027-1028 წლებში, როცა ბიზანტიის იმპერატორი კონსტანტინე VIII საქართველოში შემოდის, არტანუჯის ციხე უჭირავს ერისთავ აბუსერს, რომელიც მცირეწლოვან ბაგრატ IV-ს ერთგულობს და საბა მტბევართან და ეზრა ანჩელთან ერთად წარმატებით ებრძვის ბიზანტიელებს კლარჯეთში. „მატიანე ქართლისა"-ში აბუსერი მოხსენიებულია როგორც „ერისთავი არტანუჯისა, და ჩიხათა და ციხისჯუარისა და აწყუერის ციხის პატრონი" (5, 300). 1046 წელს ბაგრატ IV-სთან მებრძოლმა ლიპარიტ ბალვაშმა ხელთ იგდო არტანუჯი და დაატყვევა აბუსერი, მაგრამ მალევე იძულებული გახდა თავისი მძევლად აყვანილი შვილის გამოხსნის საფასურად დაებრუნებინა ციხე და გათავისუფლებინა ტყვე. 1052 წელს ლიპარიტი კვლავ დაეუფლა არტანუჯს — მან შეიპყრო ახალი ერისთავი გრიგოლი (აბუსერის ძე) და სიკვდილით დასჯის მუქარით აიძულა იგი ჩაებარებინა ციხე. 1058 წელს სულა კალმახელმა ისევ წაართვა ლიპარიტს არტანუჯი და მეფეს დაუბრუნა. 1080 წელს, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ცნობით, თურქ-სელჩუკებმა „ერთსა დღესა დაწუეს ქუთაისისი, და არტანუჯი" (9, 319).

გარკვეული დროის შემდეგ ქალაქი კვლავ აღდგა. XIII საუკუნიდან იგი ათაბაგთა გამგებლობაში იყო. სამცხე-საათაბაგოს მხარეების ჩამონათვალში ეამთააღმწერელი ქალაქთაგან საგანგებოდ იხსენიებს მხოლოდ ერთს — არტანუჯს, რაც მის გამორჩეულ მნიშვნელობას მოწმობს. (6, 273, 304). XV საუკუნის ბოლოდან სამცხე ოსმალთა ძლიერი გავლენის ქვეშ მოექცა. ათაბაგები ამაოდ ცდილობდნენ დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებასა და სუვერენიტეტის აღდგენას. 1553 წელს (თურქული წყაროების მიხედვით — 1551 წელს) ერზერუმის მმართველმა ისქანდერ ფაშამ ათაბაგ ქაიხოსრო II-ს არტანუჯი წაართვა. ამის შემდეგ თითქმის სამი საუკუნის განმავლობაში არტანუჯის ისტორია აღბეჭდილია დაუსრულებელი სისხლიანი შინაომებით არტანუჯისა და ართვინის მმართველ გვარებს შორის, რამაც ორსავე ქალაქისა და მთელი კლარჯეთის მოსახლეობას უამრავი უბედურება მოუტანა. ამ პერიოდში არტანუჯი ძლიერ დაკნინდა. ვახუშტი მას „მცირე ქალაქს" უწოდებს (2, 681). 1833 წელს ართვინის ბეიმ ჰუსეინმა დაატყვევა მოწინააღმდეგე გვარის უკანასკნელი წარმომადგენელი და არტანუჯს დაეუფლა, თუმცა სიმშვიდე რეგიონში არც ამის შემდეგ დამყარებულა — ცოტა ხანში არტანუჯს ყარსელი ალმედ ფაშა დაეპატრონა (16, 172). 1877 წლის ზაფხულში, რუსეთ-თურქეთის ომის დროს, ქალაქი რუსებმა აიღეს. 1878 წელს ბერლინის კონგრესის გადაწყვეტილებით კლარჯეთის დიდი ნაწილი არტანუჯის ჩათვლით რუსეთის იმპერიას გადაეცა. ახალი ადმინისტრაციული დაყოფით იგი ქუთაისის გუბერნიის ართვინის „ოკრუგში" შევიდა.

1918 წლის გაზაფხულზე, ბოლშევიკურ რუსეთთან ბრესტის ხელშეკრულების დადების შემდეგ, არტანუჯი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სხვა მხარეებთან ერთად

კვლავ თურქებმა დაიკავეს. 1921 წელს მოსკოვისა და ყარსის ხელშეკრულებებით საბოლოოდ დამტკიცდა ამ რეგიონის თურქეთისათვის გადაცემა. აღნიშნული ტერიტორია შეადგენს ძირითად ნაწილს ართვინის ვილაიეთისა, რომელიც დაყოფილია შვიდ ქაზად (ოლქად). არტანუჯი ერთ-ერთი ქაზის ცენტრია.

სახელწოდება „არტანუჯი", როგორც აჩვენა აკაკი შანიძემ, მომდინარეობს ჭანური ტოპონიმიდან „არტაანიშ ცუჯი", ე. ი. „არტაანის ციხე" (დადასტურებულია ასევე ქველად ამ მიწა-წყალზე ჭანები სახლობდნენ — 8, 492-493). სომხურ წყაროებში ქალაქი მოიხსენიება როგორც „არტანუში", ბერძნულ-ბიზანტიურში — „არდანუჯი" ან „ადრანუჯი" („ჯ" ბგერის „tz"-ით გადმოცემით — Ardanoutzi, Adranoutzi). კარტოგრაფ ბ. ბელინის 1769 წლის რუკაზე იგი დატანილია იტალიანიზირებული ფორმით: „არდანო" — Ardano (16, 172, შენ. 50). XVI-XVIII საუკუნეებში თურქები არტანუჯის ციხეს „გევჰერნიქს" ეძახდნენ (უკავშირდება სპარსულ „გოჰარნიქ"-ს, რაც მარგალიტს ან, ზოგადად, ძვირფას ქვას ნიშნავს). 1920-70-იან წლებში ქალაქს ოფიციალურად ეწოდებოდა „ადაქალე" — Adakale (თურქული ტოპონიმია, რომელიც შეიძლება ითარგმნოს როგორც „ციხე-კუნძული"). ბოლოხანს ამ სახელით აღინიშნება მხოლოდ ძველი, ციხის მიმდებარე უბანი, ხოლო მთლიანად ქალაქს დაუბრუნდა თავისი ისტორიული სახელი ოდნავ შეცვლილი ფორმით — „არდანუჩი" (Ardanuç).

საუკუნეთა მანძილზე ქალაქის მოსახლეობამ ეთნიკური შემადგენლობის თვალსაზრისით მკვეთრი ცვლილებები განიცადა. XVI საუკუნემდე იგი (ისევე, როგორც მთელ კლარჯეთში) მთლიანად თუ არა, მეტწილად მაინც ქართული იყო. ოსმალთა მიერ არტანუჯის მიტაცების შემდეგ, განსაკუთრებით XVIII-XIX საუკუნეებში არტანუჯში (ასევე არტაანში, ართვინში, ოლთისში და ტაო-კლარჯეთის სხვა ქალაქებში) მრავლად სახლდებიან სომხები. XIX საუკუნის შუახანებში ისინი აქ უკვე აშკარა უმრავლესობას შეადგენენ. არტანუჯელი სომხები კათოლიკეები იყვნენ. რაც შეეხება ქართველებს, ისინი პირიქით, ქალაქიდან სხვა ადგილებში გადაადგილდნენ და XX საუკუნის დასაწყისისთვის აქ ძალზე ცოტანი დარჩნენ. 1918 წელს, არტანუჯის თურქული ოკუპაციის შემდეგ, სომხურმა მოსახლეობამ, რომელსაც კარგად ახსოვდა რამდენიმე წლის წინანდელი სისხლიანი გენოციდი, მთლიანად დატოვა ქალაქი. ახლა არტანუჯში მხოლოდ თურქები ცხოვრობენ. ქალაქის მოსახლეობა 1986 წლისათვის 4800 სულს შეადგენდა.

დღევანდელი არტანუჯი მკვეთრად იყოფა ორ ნაწილად, რომლებიც ერთმანეთისაგან ორიოდე კილომეტრითაა დაშორებული. ახალი უბანი (Yeni Ardanuç — ახალი არტანუჯი) გაშენებულია მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, მდინარე არტანუჯისწყლის (თურქულად „არდანუჩ-სუ", Ardanuç-su) მარჯვენა დაბალ ნაპირზე, სწორ ადგილას. აქ განლაგებულია ადმინისტრაციული შენობები, ბანკები, სასტუმროები, ტელეგრაფი, ავტოსადგური, მაღაზიები და სხვა. ძველი უბანი (Eski Ardanuç — ძველი არტანუჯი, იგივე „ადაქალე") მდებარეობს მდინარის მარცხენა ნაპირზე აღმართული გრანდიოზული კლდოვანი მთის ბაქანზე. ეს საკმაოდ ვრცელი, ოდნავ დამრეცი ბაქანი მთის ჩრდილო-აღმოსავლეთ ფერდზეა, დაახლოებით შუა სიმაღლეზე. მის ზემოთ იწყება გაშიშვლებული პიტალო კლდე, რომლის თავზეც დგას ციხე. დასახლების ქვემოთ მთის კალთები შედარებით ზომიერად არის დაფერდებული (გარდა ჩრდილოეთისა), ზემოთ კი თითქმის ვერტიკალურად აღიმართება და ციხეს მიუვალს ხდის.

არტანუჯის ციხე ქართული საფორტიფიკაციო ხუროთმოძღვრების ფრიად საინტერესო ნიმუშია. სამეცნიერო ლიტერატურაში ის კარგად არის ცნობილი. პირველ ცნობებს მის შესახებ ვხვდებით უკვე XIX საუკუნის მოგზაურთა და სიძველეთმცოდნეთა — ღუკას ინჭიჭიანი (ღ. ინჭიჭიანის ჩანაწერები გამოაქვეყნა მარი ბროსემ: 14, 468-470), კარლ კოხი (17, 192-193), დიმიტრი ბაქრაძე (11, 91-94), ღევონდ ალიშანი (16, 173),

არგანუჯის ციხის
გეგმა
რობერტ ედვარდსის მიხედვით
ეროვნული
ბიბლიოთეკა
A
B
C
D
E
F
G
H
I
J
RWE 1983
ARDANUÇ
0 5 10 15 25 35 50 75m

პრასკოვია უვაროვა (12, 301-302) – თხზულებებში. 1904 წელს არტანუჯი ინახულა ნიკო მარმა და დაწვრილებით აღწერა ქალაქის სიძველენი, მათ შორის, ციხეც (13, 108-110). უკანასკნელ ხანს გამოქვეყნდა ამერიკელი მეცნიერის რობერტ

დლესის უხვად ილუსტრირებული წერილი, რომელშიც შავშეთ-კლარჯეთ-არტანის [illegible] სხვა საფორტიფიკაციო ნაგებობასთან ერთად არტანუჯის ციხეც არის განხილული (15, 171-174, ტაბ. 20-30).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ციხეს კლდის მთელი ზედა მოედანი უჭირავს (აქედან ყველა მიმართულებით არაჩვეულებრივად შთამბეჭდავი ხედები იშლება). ამ მოედანს ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ ძლიერ წაგრძელებული ფორმა აქვს და ციტადელიც, შესაბამისად, სიგრძეშია გაჭიმული დაახლოებით 220 მეტრზე. სიგანე ყველაზე ფართო ადგილას 55 მეტრს აღწევს. ციხის კედლები რელიეფის მოსახულობას მიჰყვება, მრუდჩაზოვანია. ახლა ისინი ბევრგან ჩანგრეულია (ზოგან მთლიანად). როგორც ჩანს, ციკაბო კლდე ისეთი საიმედო ყაცვას უზრუნველყოფდა, რომ კედლებში კოშკების ჩართვა საჭიროდ არ მიუჩნეიათ – მათი კვალი არსად ჩანს.

კედლები ამოყვანილია უხეშად ნატეხი კლდოვანი ქვით. როგორც წერილობითი წყაროებიდან ჩანს, ციტადელი თავისი არსებობის მანძილზე რამდენჯერმე განუახლებიათ. ეს მის კედლებსაც ეტყობა – წყობა სხვადასხვა ადგილებში საკმაოდ სხვაობს. აღმოსავლეთ კედლის გარე წყობა შედგება შედარებით დიდი, მოგრძო ბლოკებისაგან და ალბათ ამოტ კურაპალატის დროინდელი უნდა იყოს. დასავლეთ კედლის გარე პირითი ქვები უფრო პატარაა, ფორმით კვადრატს მიახლოებული. წესიერ რიგებად დალაგებული. ეს წყობა ე. წ. „უჯარმულის" მოგვაგონებს და შესაძლოა, ვახტანგ ვორგასლის დროს აგებული უძველესი ციტადელის ნაწილი იყოს. შიგნით ამ კედლის წყობა გაცილებით უარესი ხარისხისაა. სხვადასხვა ზომის, შემთხვევითი ფორმის უსისტემოდ დაწყობილი ქვები გვაფიქრებინებს, რომ გვიან შუა საუკუნეებში ძველ კედელზე დამატებითი მასივი მიუშენებიათ. ძალიან, რომ აქ კედელი ბევრად სქელია, ვიდრე ციხის სხვა ნაწილებში. რ. ედვარდსი ვარაუდობს, რომ ეს გაკეთებულია უნდა იყოს დასაცავად ლოდსატყორცნებისაგან, რომლებიც შეიძლება განლაგებულიყო მცირე ბაქანზე ზედ კედლის ძირას (16, 174).

შესასვლელი ციტადელის ჩრდილოეთიდან აქვს. ეს არის ერთადერთი ასეთი ადგილი მისალგომი მხარე. ვიწრო ბილიკი ჩრდილოეთიდან მიჰყვება კლდეს ციხის ძირში და აღწევს კლდეში გამოკვეთილ საფეხურებამდე. უფრო ზემოთ, უშუალოდ ციხის ბჭის წინ, როგორც ჩანს, იყენებდნენ ხის მისადგმელ კიბეებს, რომლებიც მტრის შეტევისას შეეძლოთ აეღოთ და შიგ შეეტანათ (16, 173). 1904 წელს, როცა ნ. მარს ციხეზე ასვლა დასჭირდა, ასეთი კიბე მას საგანგებოდ ამოუტანეს ქალაქიდან (ახლა თურქეთის არმიამ, რომელიც ციტადელს პერიოდულად საწვრთნელი ვარჯიშებისათვის იყენებს, ამ ადგილას ლითონის სტაციონარული კიბე დააყენა). შესასვლელის დასაცავად ძირითადი ციტადელის ჩრდილოეთით აუშენებიათ დამატებითი სიმაგრე. ოცი ციხის ბჭე ახლა ჩაქცეულია.

არტანუჯის ციხის სათავდაცვო სისტემაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ ბუნებრივი გამოქვაბულები. ესენი ძრავლად არის კლდეში ციტადელის ქვეშ. ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეს გამოქვაბულთა შესასვლელები პარაპეტებით არის ამოშენებული, რაც მოწმობს, რომ ისინი საბრძოლო პლატფორმებს წარმოადგენდა (16, 173). გამოქვაბულები ციხეს გვირაბებით უკავშირდება. დღესაც ცოცხალია გადმოცემა (ის ჯერ კიდევ ე. ინჭიჭიანს აქვს დაფიქსირებული), რომ არსებობდა საიდუმლო გვირაბი, რომელიც ციხიდან არტანუჯისწყლამდე ჩადიოდა.

ციხის შიგნით ახლა რამდენიმე შენობის უმნიშვნელო ნაშთი განირჩევა. მათი არქიტექტურული სახისა და დანიშნულების გარკვევა შეუძლებელია. შედარებით მეტი რამ შემორჩა ციტადელის შუა ნაწილში მდგარი ეკლესიისაგან. მისი ხუროთმოძღვრება გამოკვლეული აქვს ვახტანგ ჯობაძეს (15, 19-21, ტაბ. 16-17), რომელიც ნაგებობას

სტილისტური ნიშნებით IX საუკუნით ათარიღებს და სავსებით სამართლიანად უკავშირებს მას ხუმბატ დაეითის ძის ცნობას აშოტ კურაპალატის მიერ არტანუჯის განახლებულ ციხეში წმ. პეტრესა და პავლეს ეკლესიის აგების შესახებ. ამრიგად, ციტადელში შემორჩენილი ნაეკლესიარი იღებს ზუსტ თარიღს – 810-20-იანი წლები.

წმ. პეტრესა და პავლეს ეკლესია მომცრო დარბაზული ნაგებობაა ჩრდილოეთის თანადროული მინაშენით. მოგვიანებით (ვ. ჯობაძის ვარაუდით, X საუკუნის I ნახევარში) მისთვის ჩრდილოეთიდან კიდევ ერთი მოგრძო სათავსი მიუდგამთ, ხოლო დასავლეთიდან – თავისებური ნართექსი. ახლა შენობის დასავლეთ მხარე თითქმის მთლიანად დანგრეულია. აღმოსავლეთით კედლები 2-3 მ სიმაღლეზე შემორჩა. ჩანს საკურთხევლის აფსიდის სარკმელი. შესასვლელები ძირითად ნაწილსაც და ჩრდილოეთის სათავსსაც, როგორც ჩანს, დასავლეთიდან ჰქონდა.

ეკლესია ნაგებია ადგილობრივ მოპოვებული მოთეთრო-სპილოსძვლისფერი მკვრივი კლდოვანი ქვით, რომელიც უხეშად არის დატეხილი. ქვები მეტწილად თითქმის დაუმუშავებელია. შემთხვევითი ფორმისაა და სწორ რიგებს არ ქმნის. დიდრონი ღრეჩოები მათ შორის წვრილი ნატეხებით შეუვსიათ. ქვები ძირითადად დიდებია. ზოგიერთის ზომა 1 x 2 მეტრს აღწევს. არანაირი კვეთილი შემკულობა არ ჩანს. შიგნით კედლები შელესილი იყო და ალბათ მოხატულიც, ერთგან შემორჩა წითელი და ლურჯი პიგმენტის კვალი (15, 19).

ნართექსის ჩრდილო-დასავლეთ კუთხის ქვეშ არის წრიული რეზერვუარი. მას ჰქონდა გუმბათური გადახურვა, რომელიც ახლა სანახევროდ ჩანგრეულია. საგულისხმოა, რომ ციტადელზე წყარო არ არის და რეზერვუარში ალბათ წვიმის წყალს აგროვებდნენ (15, 21).

ციხის ქვეშ გაშლილი ქალაქი ახლაც საკმაოდ კოლორიტულია, მიუხედავად იმისა, რომ მხატვრული თუ ისტორიული ღირებულების მქონე ნაგებობა მას ძალზე ცოტა შემორჩა. ღ. ინწკირველის, ჯ. კოხის, დ. ბაქრაძის, პრ. უვაროვასა და ნ. მარის ჩანაწერებით ასეთუასე

არტანუჯის ციხე. ქვედა არტანუჯისწყლის ხეობისაკენ. ფოტო ნიკოლოზ ავსნეიშვილისა. იელისი, 1995.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არგანეჯის ეკლესია. წმ. პეტრესა და პაველს ეკლესია. ხედი საკურთხეველისაკენ. ფოტო ხიკოლოგ ეთნოგრაფიულისა. იელიხი, 1995.



წმ. პეტრესა და პაველს ეკლესია არგანეჯის ეკლესიის. ეკლესია ეთნოგრაფიული ჯიბანის მიხედვით.

არტანუჯის ციხე. წმ. პეტრეხა და პაველის ეკლესია. აღმოსავლეთ ფასადი. ფოტო სიკოლოზ ეპისკოპოსისა. თელავი, 1995.

შეიძლება წარმოვიდგინოთ, თუ როგორ გამოიყურებოდა არტანუჯი XIX საუკუნეში, როცა ჯერ კიდევ მნიშვნელოვანწილად შენარჩუნებული ჰქონდა შუასაუკუნეობრივი სახე.

ძველ ქალაქს მთლიანად ზღუდე ერტყა (ახლა მისგან მხოლოდ ფრაგმენტებია შემორჩენილი). გალავანს ჰქონდა კოშკები, ალაგ-ალაგ კი მასში კლდეებიც იყო ჩართული. ქალაქის ზღუდე ებმოლა ციტადელის ჩრდილოეთ ნაწილს (სამხრეთით ამის არც საჭიროება იყო და არც შესაძლებლობა რელიეფის გამო) და მასთან ერთად ერთიან სათავდაცვო კომპლექსს ქმნიდა. ქალაქში შესვლა შეიძლებოდა მხოლოდ გალავანში დატანებული ორი ბჭიდან. ამათგან აღმოსავლეთისა, რომლიდანაც იწყებოდა მთავარი ქუჩა, ქალაქის მთავარ შესასვლელს წარმოადგენდა და სათანადოდაც იყო გაფორმებული. როგორც პრ. უვაროვა აღნიშნავს, კარიბჭე ჯერ კიდევ არტანუჯში ოსმალთა გაბატონებამდე უნდა ყოფილიყო აგებული (12, 302). მოგვიანებით იგი თურქებმა აღადგინეს, გაუკეთეს მაღალი ისრული თაღი და ზედ კუფური წარწერაც ამოკვეთეს. კარის წირთხლებში ჩატანებული იყო მოჩუქურთმებული ქვები, როგორც ჩანს, თურქების მიერ დანგრეული ქართული ეკლესიიდან. ამჟამად კარიბჭე აღარ არსებობს. ის დაანგრიეს მას შემდეგ, რაც ქალაქში გაჩნდა ავტოტრანსპორტი, რომელსაც უფრო ფართო შესასვლელი სჭირდებოდა.

ზღუდის შიგნით, ქალაქში, იდგა ძირითადად ორსართულიანი ქვის სახლები კრამიტის სახურავებითა და ვიწრო ქუჩების თავზე გადმოკიდებული ხის აივნებით. ბევრი მათგანი დღემდეა შემორჩენილი, განსაკუთრებით ყოფილ მთავარ ქუჩაზე. ისინი XIX საუკუნეშია აგებული, მაგრამ ზოგიერთი შეიცავს უფრო ძველი შენობების ნაშთებსაც. ერთ-ერთი სახლის პირველ სართულზე შემოინახა აგურის ჯვაროვანი კამარა, რომელიც, ვფიქრობ, XVII საუკუნეზე გვიანდელი არ უნდა იყოს. პირველი სართულები უწინ ეთმობოდა მრავალრიცხოვან დუქნებსა და სახელოსნოებს, რომლებიც მეტწილად დაიხურა მას შემდეგ, რაც სავაჭრო-სამეურნეო ცენტრმა ახალ უბანში გადაინაცვლა.

საზოგადოებრივ ნაგებობათაგან ძველი ავტორები აღნიშნავენ 1790-იან წლებში აგებულ სომხურ კათოლიკურ ეკლესიას (დაანგრიეს 1920-იან წლებში), მეჩეთს, მედრესეს,

ქართული წარწერის ფრაგმენტი არგანუჯის მეჩეთის კედელში. ნიკო მარის ფოტო. 1904.

ჰამამს (აბანოს) და ქარვასლას (დაიწვა XIX საუკუნის II ნახევარში და აღარ აღუდგენიათ). ქალაქში იყო აგრეთვე დახურული შადრევნიანი აუზები.

მეჩეთი, რომელიც ახლაც ფუნქციონირებს (ახალ უბანში არის მეორე მეჩეთიც, 1970-იანი წლებისა), დიდი მართკუთხა შენობაა ხის გადახურვით. ის XIX საუკუნის დასაწყისშია აგებული დანგრეული ეკლესიის ნაშთზე. ეკლესიის კედლები ალაგ-ალაგ საკმაო სიმაღლეზეა შემონახული. გარდა ამისა, მეჩეთის მშენებლობისას ეკლესიის ჩამოცვენილი ქვებიც უხმარიათ. მის გარე ჩრდილოაღმოსავლეთ კუთხეში ნ. მარმა ნახა თავდაყირა ჩადგმული ქვა ორსტრიქონიანი ასომთავრული წარწერის ფრაგმენტით (პირველ სტრიქონში იკითხებოდა: **წ[ი]ნ[ა]მძღ[ვა]რს**, მეორეში – **და მ[ის]სა დას**). ახლა წარწერა აღარ ჩანს.

ქალაქის უძველესი ნაგებობაა ადაქალეს ჩრდილოეთ კუთხეში მდგარი ეკლესია. მას უნდა გულისხმობდეს ვახუშტი, როცა წერს, რომ „არს არტანუჯს ეკლესია გუნბათიანი, კეთილ-დიდ-შვენიერნაგები" (2, 137). ამ ეკლესიას ახსენებს ქალაქის სიძველეებით დაინტერესებული ყველა ავტორი, მაგრამ გამორჩეულად ვრცელი და საფუძვლიანია ნ. მარის ცნობები (13, 95-97, ტაბ. 30-31). ამასთან, რაც განსაკუთრებით ღირებულია, მის აღწერას დართული აქვს ორი ფოტოსურათი – ერთი (შენობის სამხრეთ-აღმოსავლეთი ხედი) თავად ავტორისა, 1904 წლისა, მეორე (სამხრეთ-დასავლეთ ხედი) კი ფოტოგრაფ დიმიტრი ერმაკოვისა, 1907 წლისა. შემდგომი ხანის მეცნიერთაგან ეკლესია არავის უკვლევია. მისი არქიტექტურა სრულიად შეუსწავლელია, მიუხედავად იმისა, რომ ეს ძალზე მნიშვნელოვანი ძეგლია და საგანგებო ყურადღებას იმსახურებს.

ეკლესია დგას საცხოვრებელი უბნის განაპირას, კლდოვან კონცხზე, რომელიც არტანუჯისწყლის ღრმა ხეობის გადაჰყურებს. ამ მონაკვეთზე კლდეები შეუღლად არის აღმართული მდინარის ორსავ მხარეს (ალაგ-ალაგ კი გადმოკიდულიცაა მის თავზე) და ქმნიან ნაპრალივით ვიწრო და ღრმა, ზღაპრული სილამაზის გასასვლელს, რომელსაც ოურქები „ჯეჰენემ-დერესი" – „ჯოჯოხეთის ხეობა" უწოდებენ. ტაძრის ჩრდილოეთ კედლიდან ქარავამდე სულ ათიოდე მეტრია. შენობა აღმართულია სპეციალურად მოსწორებულ და ნაწილობრივ სუბსტრუქციით ამოშენებულ კლდოვან ბაქანზე.

ეკლესია ამჟამად თითქმის მთლიანად დანგრეულია. შემორჩა მისი ჩრდილოეთ კედელი და დასავლეთ კედლის ჩრდილოეთ ნაწილი 0,4-0,9 მ სიმაღლეზე, ერთი უზარმაზარი ქვა ნაგებობის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში, სამხრეთ კედლის შუა ნაწილი (ის ახლა უცნაური სვეტივით აღიმართება დაახლოებით ხუთ მეტრზე) და სამკვეთლოს ჩრდილოეთ და დასავლეთ კედლები. სხვა ყველაფერი ჩანგრეულია. კამარებისა და კედლების ჩაქცეული ნამტვრევებისა და ნაყარი მიწის გამო ინტერიერში ადგილის დონე შესამჩნევად არის ამაღლებული, ალაგ-ალაგ ორ მეტრამდეც კი – სამკვეთლოს კარის გადარჩენილი ზღუდარი ახლა თითქმის მიწის პირზეა. შესაძლოა, მიწის ქვეშ შენობის სხვა ნაშთებიც იყოს შემონახული, მაგრამ გათხრა-გაწმენდის გარეშე ამის დადგენა შეუძლებელია. მთლიანად ტაძრის მდგომარეობა დღეს გაცილებით უარესია, ვიდრე XX საუკუნის დასაწყისში – მაშინ,

მიუხედავად უკვე საგრძნობი დაზიანებისა, შენობის არქიტექტურული სახე ასეთისე იკითხებოდა. ამგვარი მკვეთრი გაუარესება, ვფიქრობ, უნდა გამოეწვია რაიმე მძაფრ კატაკლიზმას, შესაძლოა, მიწისძვრას. გამორიცხული არ არის გამიზნული აფეთქებაც. 1950-80-იან წლებში მოსახლეობამ ამ რეგიონში ხიმ სხვადასხვა მიზეზებით რამდენიმე ქართული ეკლესია აიფეთქა მთლიანად (ექექი, ური) ან ნაწილობრივ (ოპიზა, ტბეთი, ზეგანი).

არტანუჯის ტაძრის თავისებურებაა საშენ მასალად უზარმაზარი ქვიტკირის გამოყენება კედლების ქვედა ნაწილებში, როგორც შიგნით, ისე, განსაკუთრებით, გარეთ. დასავლეთ ფასადი, მაგალითად, ხუთი მეტრის სიმაღლემდე ამ ლოდების წყობის სულ ოთხი რიგით იყო ამოყვანილი (ეს კარგად ჩანს ფოტოსურათზე). სხვადასხვა კონფიგურაციის, არასწორი ფორმის გიგანტური ქვები შეძლებისდაგვარად მორგებული იყო ერთმანეთზე, თუმცა, ცხადია, არა მჭიდროდ – რჩებოდა დიდი ღრეჩოები. საფასადო წყობის ფრაგმენტი შემოინახა სამკვეთლოს ჩრდილოეთ კედლის ქვედა ნაწილში. აქ არცერთი ქვა არ არის სიგანით ერთ მეტრზე ნაკლები, ზოგი კი ბევრად მეტიცაა. სამხრეთ-დასავლეთ კუთხის ეულად გადარჩენილი ქვის ზომა 2,5 × 1,6 მეტრია, ხოლო ყველაზე დიდი (ამჟამად დაკარგული)

არტანუჯი. ციხის ეკლესია. ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან. ფოტო ლიმბერი ერმაკოვისა. 1907.



არგახევი. ქალაქის ეკლესია. ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან. ნიკო მარის ფოტო. 1904.

ქვისა. ნ. მარის ცნობით, 3,00 x 1,85 მეტრს აღწევდა. ლოდები ადგილობრივ არის მოპოვებული (სხვა ადგილიდან მათი მოტანა ძალიან რთული იქნებოდა). ეს იგივე კლდოვანი ქვაა, რითაც ნაგებია ციხის ეკლესია. იგი არაჩვეულებრივად მაგარია და თავისი თვისებებით კაჟს მოგვაგონებს: პრაქტიკულად არ ითლება, არ პრიალდება, შეიძლება მხოლოდ დაიტეხოს დიდ უფორმო ბლოკებად და დამუშავდეს ცოტ-ცოტა ატკეჩვით. შედეგად მიიღება დამახასიათებელი არათანაბარი ზედაპირი.

დიდი ქვებით კედლები ამოყვანილი იყო ოთხი-ხუთი მეტრის სიმაღლემდე. უფრო ზემოთ იწყებოდა სხვაგვარი წყობა — გაცილებით პატარა, თანაბარზომიერი, ზოგადად ფორმამიცემული ქვებით, რომლებიც 30-40 სმ სიმაღლის რიგებად იყო დალაგებული. ძველ ფოტოსურათებზე ეს ჩანს ფასადებზეც და ინტერიერშიც (თუმცა წყობის დიდი ნაწილი უკვე მაშინ განძარცული იყო. პრ. უვაროვას ცნობით, ამ ქვებით ეკლესიის მახლობლად სახლი აუშენებია სულეიმან ფაშას. დიდი ქვების წაღება და საშენ მასალად გამოყენება მოსახლეობას, ცხადია, უფრო გაუჭირდებოდა), ხოლო მცირე ნაშთები დღემდე შემოინახა სამხრეთ და ჩრდილოეთ კედლების გადარჩენილ ნაწილებზე. ამავე მასალით — უხეშად დატეხილი, არასწორზედაპირიანი ქვებით გამოყვანილია სამკვეთლოს კარის შემორჩენილი შიდა თაღიც. მკვეთრი განსხვავება წყობაში მოგვიანო აღდგენის მაჩვენებლად არ უნდა მივიჩნიოთ (შენობა, როგორც კედლის გულზე დაკვირვებიდან ჩანს, უეჭველად ერთიანად არის აგებული), იგი მშენებლობის პროცესის ბუნებრივი ლოგიკით აიხსნება — ვეებერთელა, მძიმე ლოდების მაღლა ატანა ხარაჩოებზე დიდ სიძნელეებთან იქნებოდა დაკავშირებული.

როგორც ნ. მარი აღნიშნავს, ინტერიერის წყობა ხარისხით ჩამოუვარდებოდა საფასადოს. აქ ქვები უარესად იყო დამუშავებული და მორგებული, რიგები ბევრგან ირეოდა. საფიქრებელია, რომ თავიდანვე იკარაუდებოდა კედლების შიგნიდან შელესვა. ბათქაშის ფრაგმენტები ნ. მარმა ადგილზე ნახა. მანვე შენიშნა მოხატულობის მკრთალი კვალი დასავლეთ კედელზე.



არეანუკი ქალაქის ეკლესია. ფუძის (ინტერიერის) რეკონსტრუქცია სახი და ვითარება ბაგრატიონების 1995 წლის აღმოჩენა და ნიკო მარის აღწერის მიხედვით.

შემორჩენილი ფრაგმენტების მიხედვით არტანუჯის ეკლესიის არქიტექტურული კომპოზიციის შესახებ მხოლოდ ის შეიძლება ითქვას, რომ იგი წარმოადგენდა 14,7 x 17,7 მ ზომის მართკუთხა შენობას სამნაწილიანი საკურთხევლით. ნ. მარის აღწერა მნიშვნელოვნად ამდიდრებს ჩვენს ცოდნას და უფრო დაწვრილებითი და დაზუსტებული შეხედულების საშუალებას იძლევა. მისი მონაცემებით დგინდება, რომ ეკლესია იყო ჯვარგუმბათოვანი ნაგებობა. ცენტრალურ კვადრატს ქმნიდა ოთხი მკლავი — ერთი აფსიდური (აღმოსავლეთისა) და სამი მართკუთხა. მკლავებშორის კუთხის არეებს ავსებდა უფრო დაბალი სათავსები, რომლებსაც გარედან ითითი ქანობი ხურავდა. ამათგან დასავლეთის წყვილი თავისებურად იყო გადაწყვეტილი — დასავლეთის მკლავს სათავსები კედლებით გამოეყოფოდა (სამხრეთ-დასავლეთ კუთხის ოთახს ამ კედელში კარი ჰქონდა, მოგვიანებით — ალბათ მოხატვისას — ამოქოლილი), ხოლო განივი მკლავებისაკენ ისინი მოლიანად იხსნებოდა თაღებით. მიუხედავად ამისა, უნდა ვიფიქროთ, რომ ეს სათავსები თავიანთი სიღრმისა და სივიწროვის გამო არ შეერწყმოდა ძირითად სივრცეს, ერთგვარად გამოყოფილი იქნებოდა მისგან.

საკურთხევლის მიმდებარე სათავსები ასევე ვიწრო და გრძელი იყო, აფსიდების გარეშე. აღმოსავლეთ კედელში მათ ითითო სარკმელი ჰქონდათ და ითითო კარით უკავშირდებოდნენ შესაბამის განივ მკლავებს. ჩრდილოეთ სათავსის (სამკვეთლოს) კარი, როგორც ითქვა, დღემდე შემოინახა. მას მკლავისკენ ზღუდარი აქვს, შიგნით — თაღი. საკურთხევლის



ირგახეკი. ქალაქის ეკლესია. ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან. ფოტო ნიკოლოზ ჯანიშვილისა. თბილისი, 1995.

აფსიდში იყო ორი სარკმელი (ერთიმეორის ზემოთ) და 1,4 მ სიმაღლის ღრმა ნიშა ჩრდილოეთ ნაწილში. თითო დიდი სარკმელი იყო სამხრეთის, ჩრდილოეთისა და დასავლეთის მკლავებში. ეკლესიას ჰქონდა ორი ფაროო შესასვლელი დასავლეთ მკლავიდან და სამხრეთ-დასავლეთ სათავსიდან.

ძველი ფოტოსურათები ცოცხალ წარმოდგენას გვიქმნის შენობის გარე იერზე და მნიშვნელოვნად ავსებს ნ. მარის აღწერას. ექსტერიერის მხატვრული სახის შექმნაში არსებით როლს ასრულებს უზარმაზარი ნახევრადდამუშავებული ლოდების საფასადო წყობა, რომელიც დიდწილად განსაზღვრავს საერთო შთაბეჭდილებას. იგი შენობას უძველესი მეგალითური ნაგებობების მსგავს ერთგვარ „პირველყოფილ"-ბრუტალურ იერს ანიჭებს. ამ წყობის გამომსახველობა ძალიან ძლიერია და აშკარად „თრგუნავს" მოკრძალებულ კვეთილ შემკულობას, რომელიც შესასვლელია ზღუდარებზე გამოყვანილი ჯვრებით შემოიფარგლება (თუმცა გასათვალისწინებელია, რომ ეკლესიის სარკმლები ნ. მარს უკვე თავმორღვეული და პერანგშემოცლილი დახვდა — შესაძლოა, რაიმე გაფორმება მათაც ჰქონოდა). სამხრეთის კარის თავზე გამოსახული ჯვარი უფრო დიდია, აქვს თანაბარი სიგრძის მართკუთხა მკლავები და ჩასმულია ძრგვალ medalionში. ნ. მარი წერს, რომ ჯვარი მოჩუქურთმებული იყო, მაგრამ ფოტოსურათებზე ორნამენტი არ განირჩევა. როგორც ჩანს, ის ძალიან მსუბუქად იყო ნაკვეთი. medaliونს შემოწერს დიდი, სადა, ნახევარწრიული თავსართი მოკლე გადანაკეცებით. ფოტოსურათებზე ჩანს, რომ ჯვარი და თავსართი სულ ოდნავ არის ამოწეული ფონიდან, მათი შემომწერი კონტურის ღარი კი კედელშია ჩაჭრილი — კვეთილობა „ჩახირულია" კედლის სიბრტყეში. იგივე ითქმის დასავლეთის კარის ზღუდარის კომპოზიციაზეც, ოღონდ ჯვარი აქ უფრო პატარაა და სადა.

რამდენიმე სიტყვა უნდა ითქვას სუბსტრუქციის შესახებ. მოედანი, რომელზეც აგებულია ეკლესია, დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ არის ოდნავ დაფერდებული. შესაბამისად, სუბსტრუქცია აღმოსავლეთ მხარეს ყველაზე მაღალია. აქედან ის ახლაც კარგად ჩანს. იგი ამოყვანილია ასევე ძალიან დიდი, ოღონდ უარესად დამუშავებული ლოდებით — ისინი სრულიად შემთხვევითი ფორმისაა, პირითი მხარე ეკლესიის პერანგის

ქვებზე ნაკლებად აქვთ მოსწორებული. ნ. მარის აღწერიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ სუბსტრუქციაში მოწყობილი იყო კრიპტა, რომელიც მკვლევარს უკვე ჩანგრეული და მოლიანად ამოვსებული დახვდა. კრიპტის არსებობას ადასტურებს კარი სამხრეთიდან – იგი ეკლესიის შესასვლელზე ბევრად დაბლა იყო გაკეთებული (გარედან კარი საერთოდ არ ჩანდა. შიგნით ნაყარი ქვებისა და მიწის ზემოთ მოჩანდა მხოლოდ მცირე თაღი). ცხადია, რომ ამ კარით მხოლოდ ეკლესიის იატაკის ქვეშ მდებარე სათავსში [illegible] ეკლესიის შუაგულში სუბსტრუქცია არცთუისე მაღალია [illegible] რომ კრიპტა ნაწილობრივ კლდეში იყო ამოკვეთილი ან მოიკავდა ბუნებრივ მღვიმეს. შესაძლოა, ის ჩასასვლელი გვირაბით უკავშირდებოდა ეკლესიის ქვეშ კლდეში მდებარე ვრცელ გამოქვაბულს, რომელსაც ახსენებს პრ. უვაროვი.

ეკლესიის სამხრეთით ნ. მარი აღნიშნავს რაღაც მინაშენს. იგი კარგად განირჩევა ფოტოსურათებზეც. მინაშენი აშკარად ეკლესიაზე გაკილებით გვიანია და წვრილი ნატეხი ქვით ძალიან უხარისხოდ ამოყვანილი კედლებით მკვეთრად კონტრასტირებს ეკლესიასთან.

როგორც ვხედავთ, არტანუჯის ტაძარი საკმაოდ თავისებური ნაგებობაა. ტიპოლოგიურად იგი შეიძლება დავუკავშიროთ ჯვარგუმბათოვანი ოქმის ერთ-ერთ ვარიანტს, რომელსაც პირობითად „კუთხეებშევსებული ჯვრის" ტიპს ვუწოდებ (საყოველთაოდ მიღებული ტერმინი ჯერჯერობით არ არსებობს. სხვა ავტორებთან გვხვდება უფრო გაშლილი სახელწოდებები: „ჩახაზული ჯვრის ტიპის შენობა კედლებით გამოყოფილი კუთხის ნაწილებით", „ჯვრული ნაგებობა სათავსებით ყველა კუთხეში" და ა. შ.). იგი გულისხმობს მართკუთხა გეგმაზე ამოზრდილ სტრუქტურას ძირითადი ჯვრული ნაწილითა და უფრო დაბალი დამატებითი სათავსებით ოთხსავე მკლავთაშორის კუთხეში. მკლავთაგან ერთი (აღმოსავლეთისა) ოდნავ ბოლოვდება, სხვა სამი მართკუთხაა. გარე იერით ასეთი ნაგებობა „ჩახაზული ჯვრის" ტიპის შენობას ჰგავს. ექსტერიერის მასათა განაწილების პრინციპი ანალოგიურია, მაგრამ შიგნით სხვა სურათია: აქ ჯვრული ფორმა ნათლად იკითხება როგორც „ზემოთ", სივრცეში, ისე „ქვემოთაც", გეგმის დონეზე. ძირითადი სივრცისაგან გამოყოფილია არა მხოლოდ საკურთხევლის მიმდებარე ოთახები

არტანუჯი. ქალაქის ეკლესია. ჩრდილოეთი ფასადის ფრაგმენტი.
ფოტო ხიკოლომ ერისკვნილისა. თელავი, 1995.

(პასტოფორიუმები), არამედ სამხრეთ-დასავლეთ და ჩრდილო-დასავლეთ კუთხის ნაწილებიც — ისინი ასევე ცალკე სათავსებს წარმოადგენენ და მხოლოდ კარებით თუ უკავშირდებიან ეკლესიის მთავარ ნაწილს.

„კუთხეებშევსებული ჯვრის“ კომპოზიციის ეკლესიები ქრისტიანული სამყაროს მრავალ რეგიონში გვხვდება. ჩამოვთვალი მხოლოდ შედარებით ადრეული (XII საუკუნემდელ) ნიმუშებს: ჰაგიოს დავითი სალონიკში და რომეტას მაცხოვრის ეკლესია ხიკილიაზე (ორივე V საუკუნის ბოლო); ალაქილისეს (ალაჯა-ჯამლას) ბაზილიკა ბალკანეთ-ალმოსავლეთ კაპელა და აქ-ქალეს მონასტრის მაუზოლეუმი ლიკიაში, ბინბირქილისეს № 35 ეკლესია ლიკაონიაში, რიმინის სან-ანდრეა ჩრდილოეთ იტალიაში (ყველა VI ს.); ბჟუჟუკადას ეკლესია ამასტრასთან პაფლაგონიაში (VIII ს.); ატიკ-მუსტაფა-ჯამი ანუ წმ. პეტრესა და მარკოზის ეკლესია კონსტანტინოპოლში, კარიესის პროტატონი ათონზე, კერამენტინ-ჯამი სალონიკში (ყველა IX ს.); ხერსონესის „ხუთაფსიდიანი ეკლესია“ ყირიმში (X საუკუნის შუახანი); ისკარპასის (ზაგეს) „შვიდსაკურთხევლიანი ეკლესია“ ბულგარეთში (XI ს.); სომხური ეკლესიები: სანაინის სურბ ასტვაწაწინი (928-944 წწ.), ჰაგარწინის სურბ გრიგორი (X-XI საუკუნეთა მიჯნა), ჰახპატის სურბ-გრიგორი (1005-1025 წწ.), ანბერდი (1026 წ.) და სხვა. საყურადღებოა, რომ აღნიშნული კომპოზიცია სხვადასხვა ქვეყნებში ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ჩამოყალიბდა, ე. ი. იგი არ შეიძლება ჩაითვალოს სადმე ერთგან შემუშავებულ და შემდეგ იქიდან გავრცელებულ ტიპად. ამასთან, გენეზისის საფუძვლები და პირობები სხვადასხვა იყო.

ქართულ ხუროთმოძღვრებაში „კუთხეებშეკვსებული ჯვრის“ ტიპმა ვერ ჰპოვა ფართო გავრცელება. შემოინახა მისი სულ რამდენიმე ნიმუში, ყველა ისტორიულ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში (ტაო-კლარჯეთში). „სუფთა“ სახით ეს კომპოზიცია განხორციელებულია დადაშნის საეპისკოპოსო ტაძარსა (X ს.) და ღოლისყანის მონასტრის ეკლესიაში (954-958 წწ.). მას უკავშირდება აგრეთვე კლარჯეთის წყაროსთავის მონასტრის ეკლესიაც (IX ს., შესაძლოა 830-40-იანი წწ.), სადაც იზოლირებული სათავსები სამხრეთ-დასავლეთ და ჩრდილო-დასავლეთ კუთხეებში მეორე სართულის დონეზეა მოწყობილი, მათ ქვემოთ კი გაკეთებულია ორ-ორი თავისებური სივრცითი უბე, თაღებით გახსნილი დასავლეთ მკლავისაკენ.

არტანუჯის ტაძარი, როგორც ვნახეთ, არსებითად მთლიანად მიჰყვება „კუთხეებშევსებული ჯვრის“ კომპოზიციურ სქემას. ერთადერთი, რაც მას განასხვავებს ამ ტიპის ნიმუშებისაგან, არის სამხრეთ-დასავლეთ და ჩრდილო-დასავლეთ კუთხის სათავსების გახსნა განივი მკლავებისაკენ — არა კარებით დაკავშირება, არამედ სწორედ გახსნა თაღებით, რომელთა მალებიც შესაბამისი კედლების მთელ სიგანეს მოიცავს (თუმცა, როგორც ზემოთ ითქვა, უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ნაწილები თავიანთი აგებულების გამო მაინც ინარჩუნებდნენ გარკვეულ „ავტონომიას“ და არ იყვნენ ჩართულნი ეკლესიის ერთიან სივრცეში). არტანუჯელი ხუროთმოძღვრის მიერ შექმნილ ამ თავისებურ კომპოზიციურ ქვევარიანტს „კუთხეებშევსებული ჯვრის“ ტიპისა ქართულ არქიტექტურაში უშუალო პარალელი არ გააჩნია. რამდენადაც ვიცი, ის უცნობია ჩვენს მეზობელ მხარეებშიც — სომხეთსა და მცირე აზიაში. უფრო შორეული ქვეყნებიდან შეიძლება მოვიტანოთ ერთი მაგალითი — ნესებარის (მესემბრიის) წმ. იოანე ნათლისმცემლის ეკლესია ბულგარეთში, აგებული X-XI საუკუნეთა მიჯნაზე, სადაც კუთხის ოთახების დასავლეთ წყვილი არტანუჯის ანალოგიურად არის გაღაწყვეტილი. მსგავსება ფრიად საინტერესოა, მაგრამ რაიმე ურთიერთგავლენაზე ან, მითუმეტეს, სესხებაზე ლაპარაკი ალბათ არ იქნება სწორი.

ამრიგად, არტანუჯის ტაძრის არქიტექტურული კომპოზიცია IX-X საუკუნეებს უკავშირდება. უფრო ზუსტი დათარიღებისათვის მნიშვნელოვანია გამოყენებული საშენი მასალის დამუშავების ხასიათი. ძალიან დიდი ზომის უხეშად გათლილ ქვებს ქართველი მშენებლები უპირატესად X საუკუნეში ხმარობენ (თუმცა ამხელა ქვებს იშვიათად შეეხვდებით). მეორე მხრივ, ის ფაქტი, რომ კონსტრუქციულად მნიშვნელოვანი ნაწილებიც (კერძოდ, კარის თაღი) ნატეხი ქვითაა გამოყვანილი, თარიღს უფრო IX საუკუნისაკენ წევს — უკვე X საუკუნის პირველ ნახევარში ტაო-კლარჯეთში თაღებისათვის თლილ ქვას

იყენებენ (ხანძთა – 918-941 წწ.). არტანუჯის რელიეფური დეკორის შედარება ზემოთნახსენებ წყაროსთავისა და ხანძთის ეკლესიების შემკულობასთან გვიჩვენებს, რომ ჩვენს ეკლესიას მათ შორის ქრონოლოგიურად შუალედური ადგილი უჭირავს. წყაროსთავთან შედარებით არტანუჯის თავსართი და ჯვარი „მდიდრული“ და გამოთარებული ჩანს, მაგრამ არქაულად გამოიყურება ხანძთის მძლავრი, ძლიერრელიეფური თავსართების ფონზე. კიდევ უფრო თვალსაჩინოა განსხვავება დოლისყანისაგან, სადაც თავსართებს უხვი ჩუქურთმა ამკობს.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

შუა საუკუნეების ნარატიულ წყაროებში არტანუჯის ტაძრის მშენებლობასთან დაკავშირებით, როგორც ვნახეთ, ცნობები არ მოიპოვება (განსხვავებით ციხისა და წმ. პეტრეს და პაველეს ეკლესიისაგან, რომელთა აგების ხანაც მატიანეებიდანაა ცნობილი). რაიმე წარწერა მას არ გააჩნია, ყოველ შემთხვევაში, არ შემორჩა. ამდენად, ჩვენ არა გვაქვს შესაძლებლობა მისი დათარიღებისას წერილობით ცნობას დაეყრდნოთ. მიუხედავად ამისა, ტაძრის არქიტექტურის ზემოთგანხილული თავისებურებებიდან გამომდინარე, ვფიქრობ, საკმარისად დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ის აგებული უნდა იყოს IX-X საუკუნეთა მიჯნაზე.

არტანუჯის სიძველენი მრავალი თვალსაზრისით არის საინტერესო ქართული კულტურის ისტორიის მკვლევართათვის. რამდენიმე წლის წინ მათ შესწავლაში ახალი ეტაპი დაიწყო – ქართველ მეცნიერების „თურქეთის საქართველოს“ ხურითმოძღვრებისა და საბჭოთა ხელოვნების ძეგლების ადგილზე გაცნობის საშუალება მოგვეცა და არტანუჯიც. ბუნებრივია, იმთავითვე განსაკუთრებული ყურადღების ობიექტი მოექცა. უეჭველია, მომავალი კვლევა-ძიება უფრო გაამდიდრებს ჩვენს ცოდნას ბაგრატოვანთა პირველი სატახტო ქალაქის შესახებ და კიდევ ბევრ რასმე მოჰფენს შუქს.

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲮᲝᲨᲢᲐᲠᲘᲐ
ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ

1. **გიორგი მერჩულე.** ცხორებაჲ და მოღუაწეობაჲ ღირსად ცხორებისაჲ წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლისი არქიმანდრიტისაჲ, ხანძთისა და შატბერდისა აღმაშენებელისაჲ, და მის თანა ქმნებაჲ ძმათა მამათა ნეტართაჲ. წგნ.: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. I. ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით. თბ. 1963.
2. **ვახუშტი ბატონიშვილი.** აღწერა სამეფოსა საქართველოსა. წგნ.: ქართლის ცხოვრება. IV. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ. 1973.
3. **კლავდიოს პტოლემაიოსი.** გეოგრაფიული სახელმძღვანელო. ცნობები საქართველოს შესახებ. თარგმანი და განმარტებები ნ. ლომოურისა. კრ. „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“. ნაკვ. 32. თბ. 1955.
4. **კონსტანტინე პორფიროგენეტი.** De administrando imperio. წგნ.: გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. IV. ნაკვ. II. გამოკვლევა, თარგმანი და განმარტებები ს. ყაუხჩიშვილისა. თბ. 1952.
5. **მატიანე ქართლისა.** წგნ.: ქართლის ცხოვრება. I. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ. 1955.
6. **ჟამთააღმწერელი.** წგნ.: ქართლის ცხოვრება. II. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ. 1959.
7. **სუმბატ დავითის-ძე.** ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა. წგნ.: ქართლის ცხოვრება. I.
8. **აკაკი შანიძე.** ჯ. ბგერის წარმოშობის წყაროები ქართველურ ენებში. ობჯ. II. თბ. 1981.
9. **ცხოვრება მღვდელ-მონაზონ დავითისა.** წგნ.: ქართლის ცხოვრება. I.
10. **ჯუანშერი.** ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა. წგნ.: ქართლის ცხოვრება. I.
11. **Бакрадзе Д. З.** Об археологической поездке, совершенной в 1879 в Чорохский бассейн, в Батум, Артвин и Ардануджь. Записки Императорской Академии Наук. XXXVII. кн. 1. 1880.
12. Кавказ, Абхазия, Аджария, Шавшетия, Посховский участок. Путевые заметки графини Уваровой. ч. II. М. 1891.
13. **Марр Н. Я.** Дневник поездки в Шавшию и Кларджию. в кн.: Житие св. Григория Хандзтийского. Грузинский текст. Введение, издание, перевод Н. Марра. СПб. 1911.
14. **Brosset M.** Description de l'ancienne Géorgie turque, comprenant la pachalik d'Akhaltzikhé et le Gouria. Traduit de l'arménien du docteur Indjidjian. Journal asiatique. 13. 1834.
15. **Djobadze W.** Early Medieval Georgian Monasteries in Historic Tao, Klarjet'i and Šavšet'i. Stuttgart. 1992.
16. **Edwards R. W.** The Fortifications of Artvin: A Second Preliminary Report on the Marchlands of Northeast Turkey. Dumbarton Oaks Papers. 40. 1986.
17. **Koch K.** Reise im pontische Gebirge und türkischen Armenien. Weimar. 1846.

ABSTRACTS

History of Georgia

„Manuil's story on Atskuri icon"
(to the problem of dating and authorship)

p. 17

The paper makes an attempt to study the Greek written source little known in Georgian historiography of the beginnig of the 16th c. The full name of this manuscript is „The story of Manuil the great rhetorician of God's most holy great church of Constantinople, on Atskuri icon of blessed Virgin Mary and wonders she worked at different times". The subject matter of the last part of the source is a panegyric to atabegs of Samtskhe. Owing to that, sometimes the whole source is called „Manuil's panegyric". „The story" is important source for studying South-West Georgia, in particular the principality of Samtskhe of the 15th-16th cc.

In the author's view, the source was written in 1515. The principal assertion for this date is based on Mzechabuck Atabeg's monastic name mentioned in „The story". Mzechabuck took monastic vows in 1515, and died the same year. The above-mentioned date is confirmed by other arguments too.

Different opinion appeared about an authorship. According to the previosly existing opinion, the prominent rhetorician Manuil Chorinthian (Sp. Gambros) and the patriarch of Constantinople Joachim I (R. Bartikian) were considered as authors. In conformity with the parallels between „The story" and the book of funeral repasts of Iberian monastery on Athos, cautiosly was suggested, that the author was a person in attendance with Atabeg toiled on the Holy Mount of Athos. Manuil was a copyist, or the author took an advantage of Manuil's authority to give greatest importance to his naration.

Mariam Zaldastanishvili

On the origin of the Samukhranbatono and the Mukhranbatonies

p. 22

A disintegration of the kingdom of Georgia (the 15th c.) resulted in emergence of a few branches of the royal dynasty of Bagrationi. The certain representatives of the royal house, loosing any chance to success the throne, along with the favourable conditions for emergence of the principalities (the 15th-18th cc.) could not even retain their names of Bagrationi and established new princely houses. Among these separated branches of the royal house the branch of the Mukhranbatonies („Mukhranbatoni" – the lord of Mukhrani) occupies particular and distinguished position.

The paper deals with the principal points of establishment of the domain of Mukhranbatonies – „Samukhranbatono", which had predetermined the process of transformation of a domain of the royal prince („Batonishvili") into the principality of the first rank. The important role in this process was rendered by the rank and position of the first Mukhranbatoni – Prince Bagrat – he had been granted the title of a „King" („King of a province") before he became Mukhranbatoni. The last „King of a province" became the first Mukhranbatoni and the head of the new branch of Bagrationies dynasty.

The author pays particular attention to the problem of transforming the historical-geographic lend of Mukhrani into the principality. Among the Mukhranbatonies the first and eldest head of a family was supposed to be „The superior prince". He was called „The lord of Mukhrani", and the junior representatives of a family were known as „Princes of the lord of Mukhrani".

In 1658, due to the fact of succession of the throne of Kartli by Vakhtang Mukhranbatoni (Shah-Navaz), the major branch of the Mukhranbatonies regained the royal insignia. The junior brother of Vakhtang V – Konstantine – became Mukhranbatoni – the lord of Mukhrani. Hitherto, his descendants were known to be Mukhranbatonies and the princes of the lord of Mukhrani.

The whole genealogical tree and the coats of arms of Mukhrani branch of the Bagrationies dynasty are attached to the paper.

Davit Ninidze

The coat of arms of Georgia

p. 37

The paper represents a consequent survey of a history of the state coat of arms of Georgia from its establishment up to now. Though the Georgian historiography does not lack heraldic researches, the paper is the first attempt of the scientific study of the official state symbol based on the heraldry principles.

Along with the heraldic description of the coats of arms, the conditions of their establishment, critical analysis are represented.

The periodization of the Georgian heraldry as a whole subject is the first attempt of the systematic classification of the national heraldry.

Tornike Asatiani

World History

Shiller and the Fronde

p. 49

The scientific references regarding Shiller as historian lack the analysis of the cited problem. Shiller revealed his attitude towards the Fronde in his letter of December the first 1788 to Gotfrid Kerner.

Shiller searches for the clue to the historical phenomenon of the Fronde in scrutinizing the personalities of Anne of Austria, Mazarini, Cardinal Retz, and the Duke of Orlean. The concentration of attention on these four persons must have not been accidental. The author concludes that by selecting and distinguishing them, Shiller intended to stress the fact, that the Fronde essentially had been the conflict between the nobles and the royal power.

The Fronde itself was the complex mixture of the social trends, and cannot be confined to the frames of aristocracy-royal power conflict.

Merab Kalandadze

Ethnology

The Jewish rites of lamentation and burying of the departed in Georgia (According to the ethnographic data from Racha)

p. 55

An attempt is made to give a thorough description of the Jewish rite of lamentation and burying of the departed, based on the field-ethnographic materials gathered among the Jews inhabiting one of the regions of Georgia – Racha.

The specific rites to be performed such as the duties of a „rabin", „khakhami", „miniani", that concern the preparation of a corpse for burying are analysed; the different banns and the rules to follow and their peculiarities are described.

The analysis of the represented ethnographic data reveals that the rites of the Georgian Jews have not undergone any changes from the end of the 19th c. and the beginning of the 20th c. up to now. It is to be noted, that despite of the close ethno-cultural contacts of the Jews and the Georgian population that has been lasting for 26 centuries, the Jews have preserved their habits and rites almost intact.

Ketevan Shoshiashvili

History of Culture

Town of Artanuji and its antiquities

p. 60

The paper deals with the history and architectural monuments of one of the ancient political centres of Georgia, the royal city of Bagrationies – Artanuji.

The antiquities of Artanuji are located in the ancient district of the town – Adakale. The prolonged fortress is situated above the city on the top of a rock.The fortress had been erected by Artavaz – the local duke, appointed by Vakhtang Gorgasali. It was reconstructed by Ashot I curopalates in the beginning of the 9th c., who erected also the churches of St. Peter and St. Paul on the territory of the fortress. The remains of the churches have survived up to now. One of them represents a small construction with the annexes to its north and south sides.

Two churches are to be mentioned among the relics of the town itself. The remains of the one of them are inserted into the 19th c. mosque; the ruins of another are preserved on the outskirts of Adakale, on the cragy cape. The description provided by Niko Marr enables us to envisage its architechtural design. It was likely to be the crossdomed square shaped construction with additional rooms adjusted to the four corners of the principal cross shaped hall. The church is built up with roughly cut huge stones. The encircled crosses are engraved above entrances. Stylistic charachteristics point out, that the church was constructed in the end of the 9th c. and beginning of the 10th c.

Davit Khoshtaria

კრწანისის ბრძოლა - ეპოქის დასასრული

„ათ თვეს აღა-მაჰმად-ხანი მოვიდა და თბილისი გარეშემოიცვა. პირველ მოსვლაზე მისი შეწინააღმდეგ ჯარი ჩვენ დავამარცხეთ, მეორე დღეს მოვედი თავისი ლაშქრით შეტევაზე გადმოვიდა, ჩვენ მცირე რიცხოვანი ჯარით შეტევაზე გადმოსულს წინააღმდეგობა დავუწიეთ და დიდიან საღამომდე დიდი ბრძოლა იყო, ხანჯარ დავამარცხეთ მისი ლაშქარი, მაგრამ ჩვენც მოკლულნი ძალიან ბევრნი ვიყავით, ჯარი იმას ჩვენზე მეტი აქვედა და ბოლოს ჩვენი ჯარი გაანადგურა და თბილისი აიღო..."

(ერეკლე — ბატონიშვილი მირიანს, 1795 წ.)*

„ჩვენი ჯარი გაანადგურა და თბილისი აიღო..."
ჩვენი ჯარი კრწანისთან დამარცხდა...
აღა-მაჰმად-ხანმა თბილისი აიღო...
1795 წლიდან 200 წელი გავიდა...
ერეკლეს ამ წერილში მომხდარი ამბავი ლაკონურად, ზუსტად და მშრალად არის აღწერილი. დამარცხების მიზეზიც თითქოს სავსებით ნათელია და უდავო („ჯარი იმას ჩვენზე მეტი ჰყავდა"). თბილისიც ბევრჯერ აუღია და აუოხრებია მომხდურს... და მაინც, კრწანისი ქართველი კაცის ცნობიერებაში უმძიმესი ტრაგიკულობის, ბედის უკულმართობის, უკიდურესი უღიბლობისა და დაუძლეველი გარდუვალობის ნიშნით არის აღბეჭდილი. ხშირად, როდესაც რაიმე მოვლენის გააზრებასა და შეფასებას აძაოდ ეკვდებიან, საბოლოოდ განაჩენს დროს მიანდობენ ხოლმე — ისტორია განსჯის, გავა ხანი და ყველაფერი თავის ადგილზე დადგებაო. 1795 წლიდან 200 წელი გავიდა. კრწანისზე დასმული კითხვები ქართველობას ისევ სტკივა. კრწანისზე დასმული კითხვები 200 წლის შემდეგ ჯერ კიდევ ელიან პასუხს...

საქართველოზე თავდასასხმელად ჯარის შეგროვება აღა-მაჰმად-ხანმა არდებილში, 1795 წლის აპრილ-მაისში დაიწყო.

„ხმები გავრცელდა, რომ [აღა-მაჰმად-ხანი] თეირანიდან მირაზზე მიემართება... მაგრამ (რადგანაც იგი ცბიერია, ამ ხმებს შეიძლება განზრახ აგრცელებს ჩვენი თვალის ასახვევად) იგი სინამდვილეში შეიძლება აზერბაიჯანის გზით ჩვენს საწინააღმდეგოდ ემზადებოდეს, სპარსელების ცბიერება და მუხანათობა საკმაოდ ცნობილია... ეცადე, რომ უმაღლესმა ელჩმა აგრძნობინოს აღა-მაჰმად-ხანს, ისე რომ თავი დაანებოს ჩვენს საწინააღმდეგო ბოროტ წამოწყებას. ამისათვის საჭირო იქნება ... ნაბოძები ზარბაზნების ორი წილი გადმოგვგზავნოს. ეცადე რამდენადაც შეგიძლია ამ უკანასკნელისათვის შუამდგომლობას და თუ წარმატება იქნება მე შევეცდები კავკასიის ხაზიდან თვით გადმოვიტანო აქამდე."

(ერეკლე — ბატონიშვილ მირიანს, 1793 წლის აპრილი)

ამიერკავკასიაში ანტიირანული ფრონტის შექმნა მარცხით დასრულდა. აზერბაიჯანის ხანები და სომეხთა მელიქების ნაწილი ყაჯარს დამორჩილდნენ. აღა-მაჰმად-ხანს მხოლოდ შუშის ხანი იბრეიმი არ მიმხრობია.

* წერილები მოყვანილია წიგნიდან: ილია ცინცაძე, „აღა-მაჰმად-ხანის თავდასხმა საქართველოზე", თბ., 1963.

„თურქები, დაღესტნელები და ირახელები, გვიყვედრიან რა რუსეთის მფარველობაში შესვლას, სიცრუეს ზიანს გვიყენებენ და მომავალშიაც მათი თავდასხმა საფიქრებელი და საფარდებელი გვაქვს.“

(ერეკლე – გაითს ალექსანდრეს, 1795 წ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსეთი არ ჩქარობდა. ერეკლეს კი გარანტიების ნაცვლად კვლავ ძველივე დაპირებები ჰქონდა. რუსეთის სამხედრო ძალის იმედი კი საკმაოდ ეფემერული ხასიათისა იყო. თავადაც ჰქონდა გამოცდილი. ქართველები სხვა გზებსაც ეძებდნენ...

„მაცნობე მე დაბეჯითებით, შესაძლებლობის ფარგლებში, საფრანგეთისა და ევროპის სხვა სახელმწიფოების ამბები, აგრეთვე რუსეთ-თურქეთის საზავო ხელშეკრულების შესახებ.“

(ერეკლე – ბატონიშვილ მირიანს, 1793 წლის აპრილი)

1795 წლის აგვისტოში აღა-მაჰმად-ხანმა შუშის ციხეს ალყა შემოარტყა. სომეხთა პატრიარქი დამორჩილდა ირანის მბრძანებელს და მშვიდობა „იყიდა“.

„სპარსეთის ახლანდელი მბრძანებელი, აღა-მაჰმად-ხანი, მიიწვრაფვის შაჰად იქნეს ცნობილი და ხელმწიფეობაზე თავდასხმელად ემზადება. ჩემი თანამდებობისამებრ მე უმდაბლესად ვთხოვთ გვაუწყოთ: ინებებს თუ არა რუსეთის უმაღლესი კარი ტრაქტატით გათვალისწინებული დასმარებისა და მფარველობის აღმოსენას. ვთხოვ თქვენს ბრწყინვალებას ამ ჩემს წარდგინებაზე სწრაფად მიმცეთ პასუხი. ჩვენ ახლა უკიდურესად ვეჭირდება ამის ცოდნა.“

(გარსევან ჭავჭავაძის ნოტა ალექსანდრ ბეზბოროდკოს, 1795 წლის იანვარი)

29 აგვისტოს, აღა-მაჰმად-ხანის საიდუმლო ფირმანის ხელში ჩაგდების შემდეგ, ერეკლესა და მასთან მყოფი იმერეთის მეფე სოლომონ II-საოვის (ერეკლეს შვილიშვილი) ცხადი გახდა, რომ ყაჯარის მთავარი მიზანი თბილისი იყო. მან 20 000-იანი ლაშქრით შუშის ციხე დატოვა და საქართველოსაკენ გამოემართა. გზაში განჯისა და შაქის ხანებიც შეუერთდნენ და თბილისს უკვე 35-ათასიანი ჯარით მოადგა.

„Царь Ираклий был переметчив в поведении своем, содержа сношения тайные с Портою, несмотря, что он вассал Российский ... присылал сюда тайно депутатов и имел здесь агента...“

(რუსეთის კონსტანტინოპოლელი რეზიდენტის 1795 წლის აგვისტოს მოხსენება)

აღა-მაჰმად-ხანი

ერეკლე II

8 სექტემბერს თბილისის მოსახლეობამ გაჩიჩვნა დაიწყო. ქალაქი მეფის ოჯახმაც დატოვა. გაურბოდნენ ტყვეობას, დამცირებას, საკვდილის შიშს. დარჩენილ მოქალაქეთაგან შედგა 1.500-კაციანი მებრძოლი რაზმი, რომელსაც სათაყვანო ჩუდგა მაჩაბელი – „წარჩინებულთა შესაკრავეთა და მსახიობთაგან მეფისათოა, მუსიკი და კომედიანტი“.

პირველი შეტაკება 9 სექტემბერს, სოღანლუღში მოხდა. აქ იყო ქართველების პირველი, ძლიერი სანგრებით გამაგრებული პოზიცია. სპარსელთა ჯარის მეწინავე მცირერიცხოვან რაზმს ერეკლეს შვილიშვილი, 28 წლის დავით ბაგრატიონი (ალექსანდრეს ძე) დახვდა, დაამარცხა იგი და უკან გააბრუნა.

10 სექტემბერს სპარსელთა ჯარმა შეტევა უკვე კრწანისის ველზე წამოიწყო. ქართველები მოწინააღმდეგეს არტილერიის ცეცხლით დახვდნენ. მტრის ყველა შემოტევა მოიგერიეს და თავადაც გადავიდნენ შეტევაზე. ამ ოპერაციასაც დავით ბატონიშვილი ხელმძღვანელობდა. ბრძოლაში თავიანთი რაზმებით მონაწილეობდნენ სარდლები: იოანე მუხრანბატონი, ზაქარია ანდრონიკაშვილი (ერეკლეს სიძეები), ოთარ ამილახვარი, იმერეთის სახლთუხუცესი ზურაბ წერეთელი (იმერლების რაზმით).

ქართველებმა 11 სექტემბერსაც სამჯერ სძლიეს მტერს. ქართველთა მხრიდან ბრძოლას 75 წლის მეფე ერეკლე წინამძღოლობდა – „თუმცა იყო ფრიად მოხუცებული, გარნა ბრძოლასა შას შინა ეოფაქცევა მისი იყო მრავალთა ჭაბუკთაგან სანატრელ“ (ვახტანგ ბატონიშვილი, „ისტორიებრი ალწერა...“). სპარსელთა მეწინავე რაზმს თვით ალა-მაჰმად-ხანი სარდლობდა. 75 წლის ერეკლე და 53 წლის ყაჯარი... ორი უძველესი სახელმწიფო – საქართველო და სპარსეთი. მერამდენედ შეახვედრა ისტორიამ ისინი ბრძოლის ველზე. მაგრამ თითქოს კრწანისის ველზე უნდა გადამწყდარიყო მათი საუკუნებრივი მტრობის ბედი. ძალთა თანაფარდობაც ისტორიისათვის ჩვეული იყო: 4.500 ქართველი – 20.000 სპარსელი (+15.000 მოკავშირე). სიმბოლურია ამ ორი მმართველის შერკინებაც – იგი თითქოს ბოლო სცენა იყო ორი ქვეყნისათვის შუა საუკუნეების ბობოქარი ეპოქის ფარდის დაშვების წინ (6 წელიწადში ქართლ-კახეთში მეფობა გაუქმდა და სპარსეთის ძლიერებაც მალე დაადგა სამოლოო დამცრობის გზას!).

საბჯერ დაჯაბნეს მტერი ქართველებმა, მაგრამ ამინდმაც, ბრძა ტყვიამაც და ბედისწერამაც საბრისპიროდ გადაწყვიტა ბრძოლის საბოლოო ბედი. ქართველთა ჯარი იმისთვისაც კი არ იყო საკმარისი, რომ აღებული პოზიციები შეენარჩუნებინათ. „ჯარი იმას ჩვენზე მეტი ჰყავდათ“ და ამ ერთი შეხედვით უბრალო, მაგრამ ულმობელი ფაქტის წინაშე უძლური იყო თვით მეფე ერეკლეც.



კრწანისის ბრძოლა. ხახული სვეტიცხოვლის მოსაპირკეთებელი.

ქრწანისის ბრძოლის მონაწილენი – ვახტანგ (ალმასხან), დავით და იოანე ბაგრატიონიშვილები.

სპარსელთა ნაწილი თბილისს ზურგში მოექცა. ამ დროს ერეკლე უკანასკნელ სანგარში იბრძოდა. მეფე იძულებული გახდა ეს სანგარიც დაეტოვებინა. სოლომონ II-ის მცირერიცხოვანი ჯარის თავგანწირვამ სპარსელთა ლაშქრის მოწოლა ერთგვარად შეაჩერა და ამით მეფესა და მის რაზმს ტყეობის საფრთხე ააცილა.

ბრძოლის გაგრძელებას აზრი აღარ ჰქონდა – სპარსელთა ჯარი ნიაღვარივით ასკდებოდა ქალაქის კედლებს.

ერეკლე ახლობელ პირთა მცირერიცხოვან რაზმთან ერთად სტოვებდა თბილისს. ავლაბრის ხიდზე მეფემ ცხენი შემოატრიალა და ქალაქს გადმოხედა. უკან რჩებოდა თბილისი, უკან რჩებოდა მთელი მისი სიცოცხლე:

სიონის, კალაუბნის, ქაშვეთის, მეტეხის სკოლები...

ანჩისხატის ფილოსოფიური სემინარია...

მის მიერ ორგზის განახლებული სტამბა...

სიონის წიგნთსაცავი...

თეატრი...

მარიჯის ქარხანა...

ლითონის ჩამომსხმელი ქარხანა...

სამლებროები...

სამეფო ზარაფხანა...

ზარბაზნებისა და მორტირების ჩამომსხმელი ქარხანა...

ხელმწიფობის უზენაესი ნიშნები და ნახევარსაუკუნოვან ბრძოლებში ნაკურთხი სამეფო დროშები!..

განა გასაძლისი იქნებოდა ადამიანისთვის ის ტკივილი, ბოლმა და უმწეობა, ერეკლეს რომ დაუფლებოდა მაშინ, განა სიცოცხლეს ექნებოდა რაიმე ფასი? ერეკლემ ცხენი შემოაბრუნა და მტერზე იერიშის მიტანა ბრძანა.

„მამინვე ივანე მუხრანის ბატონმა მეფის ირაკლის ცხენის ჯილაგს ხელი უტაცა, გამოატრიალა, ერთის მხრიდან ბატონიშვილი ალმასხან (ივივე ვახტანგ) მიეარდა, მეორეს მხრით ბატონიშვილი იოანე, უკან ცხენსაც ქიზიყის მოურავმა მათრახი დაუკრა და საჩქაროდ გაარბენინეს ტყულმოკლული ერეკლე.“

(ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანი, „ალა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ქ. ტფილისში“)

იმერეთის მეფე სოლომონ II – ქრწანისის ბრძოლის მონაწილე.

ქრწანისის ტრაგედია უმთავრესად ერეკლეს ტრაგედიაა და ეს არის საბედისწერო მოვლენებთან შეჭიდებული დიდი პიროვნების ტრაგედია. ერეკლე მარტო იყო. მარტო იყო თავის არჩევანთან, მარტო იყო თავისი პასუხისმგებლობის პირისპირ. მარტო იყო ქრწანისზეც, მიუხედავად იმისა, რომ გვერდზე ჰყავდა ძე – ვახტანგ, შვილიშვილები – სოლომონ, დავით და იოანე, თავდადებული მხედრობა (მათ შორის 300 არაგველი) და ...ელი ...ალაქი.

საინტერესოა ასეთი ფაქტი: ბატონიშვილების – ვახტანგის, დავითის, თეიმურაზისა და ბაგრატის თხრობა ალა-მაჰმად-ხანის შემოსევის შესახებ ყოველგვარ გრანდიოზულობისა-ან-ამაღლებული, მეტად მშრალი და მოკლეა. დავითიცა და ბაგრატიც საკუთარ თავზე მესამე პირში წერენ:

„იქმნა ბრძოლა ველსა ზედა ქრწანისისასა. იძლიოდნენ ქართველნი და იმერნი, განიგლტნენ მეფენი, და აღიღეს ტფილისი წელსა 1795, ქ~ალ: უჰგ:; და მიუღეს ყოველივე თოფსანაი მეფესა. ღღესა ამას იყო მკნედ მეფის ძის ძეი ოთვანე ესრეთ, უკეთუ იგი არა იბოებოდა მუნ, შეიპყრეს მცა მეფე ირაკლი. სოლო მეფის ძემ დავითმა მთიელნი ჰ�მინა საუბრისათა ზარბაზანნი იგი, რომელიცა, აქვნდა მას თანბორის ყურეთ, რათა არა დაეშთეს სპარსთა, და ესრეთ განარინა. აღიღეს ტფილისი და მოწვეს, და თვით მეფე განიგლტო მთიულეთს."

(დავით ბატონიშვილი, „ახალი ისტორია")

„ხოლო ღღესა ხაშაბათსა, სეკდებერსა 11 ~ ~ დ შეიბნენ შაუნაბადაზე, და იძლიოდნენ მეფენი სპარსთაგან. აღიღეს ქალაქი ტფილისი, მოაოხრნეს წმინდანი ეკლესიანი, ოვარ ჰეფეს ხალხნი, ათტნეს, მოსწყვიტნეს და ტეფე ჰეფნეს. მოწვეს ტფილისი და ეერეთვე საუნჯეცა მეფისა ხელთიგდეს."

(ბაგრატ ბატონიშვილი, „ახალი მოთხრობა")

უცნაურია ასეთი დამოკიდებულება ქრწანისის ტრაგედიის უშუალო მონაწილეებისა ან ახლო მდგომი პირებისაგან. რა შეიძლება ყოფილიყო ამის მიზეზი? ეგებ ქრწანისი იმდენად დიდი და შემზარავი უბედურება იყო, რომ ადამიანის გონება უარს ამბობდა მიეღო იგი. ეგებ ბატონიშვილთა მშვიდი ტონი იყო ქვეცნობიერი ცდა ამ ტრაგედიისაგან გამიჯვნისა, თავსდატეხილი უბედურების აცილებისა...

კვლავ ერეკლესთან მივყავართ ისტორიას – შესაძლოა, – კვლავ ბრალდებებით. ქრწანისი რომ საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი კულმინაციური მომენტია, ეს დღესაც თვალნათელია. ასეთ დროს კი ღალატი, შეცდომა, შემოჩვევითობა თუ დაუდევრობა უკიდურესად მძაფრ, მისტიკურ ხასიათსაც კი იღებს! ყოველივე ამან განაპირობა ერეკლეს არჩევანი თუ ერეკლეს არჩევანმა განაპირობა ყოველივე? ან რა იდგა თვითონ არჩევანის უკან?

2.000-მა ქიზიყელმა ბრძოლის წინ თბილისი დატოვა და კახეთში გაბრუნდა. ერეკლეს შვიდი ვაჟიშვილიდან (ანტონ II კათალიკოსის გარდა – გიორგი, იულონ, ვახტანგ, ალექსანდრე, მირიან, ფარნაოზ) მამის გვერდზე მხოლოდ ვახტანგი (ალმასხან) იდგა (იმ დროისათვის აღარ იყო ცოცხალი ლევან ბატონიშვილი). წყაროების მონაცემებით, სამეფო ოჯახში განხეთქილებას ჰქონდა ადგილი. სათუო და არამყარი იყო მეზობელი სომხების კეთილგანწყობისა და ერთგულების იმედი. სომეხი მელიქების ერთი ნაწილი ყაჯარს მიემხრო. მელიქ-მეჯლუმი კი უხიფათო შემოსავლელი გზით გამოუძღვა სპარსელებს თბილისზე იერიშის დროს (ქართველებსა და სომხებს ფიზიკური გადარჩენისათვის ბრძოლამ სხვადასხვა პირობებში მოუწიათ. ეგებ ამანაც დაასვა დაღი ჩვენს მიმართ სომხების დამოკიდებულებას).

სპარსელთა შემოსევის წინ ხალხს ერეკლეს იმედი ჰქონდა. თავად ერეკლეს? განხეთქილებებისა და თავსდატეხილი მრავალი უბედურების ჟამს, მას, როგორც ქრისტიანს, ალბათ ერთადერთი – ღვთის შემწეობის იმედილა თუ შერჩა...

1795 წლიდან 200 წელი გავიდა. ორსაუკუნოვანი მდუმარე, მაგრამ ტევადი ისტორია. ალბათ დრო, საკუთარი პასუხებითა და ჩვენეული მნიშვნელობებით ავამეტყველოთ იგი...

ნინო მიწიშვილი

თსუ საქართველოს ისტორიის კათედრის ასპირანტი

150 სერგი მესხი

ვასულ 1995 წელს დაბადებიდან 150 წელი შეუსრულდა დიდ საზოგადო მოღვაწეს და ბრწყინვალე პუბლიცისტს – სერგი მესხს (1845-1883).

1869 წელს, როცა ჯერ კიდევ 24 წლისა იყო სერგი, პროგრესული ქართული გაზეთის – „დროების" რედაქტორად მიიწვიეს. გაზეთი მან ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის, ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზროვნების აღორძინების ერთ-ერთ მძლავრ კერად აქცია. 14 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა იგი გაზეთს და ამ ხნის მანძილზე არ დარჩენილა საქართველოს ცხოვრებაში არცერთი აქტუალური საკითხი, რომელსაც სერგი მესხი და მისი „დროება" არ შეხებოდნენ, არ ყოფილა არცერთი საზოგადო წამოწყება, რომელშიც სერგი მესხს და მის „დროებას" ღირსეული წვლილი არ შეეტანათ.

ძნელია, 38 წელი იცხოვრო მხოლოდ და სერგი მესხად დარჩე ისტორიაში. სერგი მესხმა ეს შეძლო...

„მეც სხვებისაებრ უბრალო კაცი ვარ და იმ რამე ღირსება მაქვს, ეს ღირსება ჩემი სამშობლოს მტკიცე და თავგანწირულ სიყვარულში მდგომარეობს" – წერდა იგი.

ძნელია, 38 წელი იცხოვრო მხოლოდ და ისეთი „უბრალო კაცი" გახდე, როგორიც სერგი მესხი იყო...

საუბილეო თარიღთან დაკავშირებით ს. მესხის მდიდარი პუბლიცისტური მემკვიდრეობიდან მკითხველს წარმოვუდგენთ ერთ საინტერესო წერილს – „მცხეთის აკლდამები", რომელიც 1873 წელს დაიბეჭდა გაზეთ „დროებაში". ჩვენი არჩევანი სამმა ფაქტორმა განაპირობა:

პირველი. 1870-იან წლებში საუუძველი ეყრება ქართულ არქეოლოგიას. 1871 წელს, პირველად საქართველოს ისტორიაში, იწყება სისტემატური არქეოლოგიური გათხრები ძველი დედაქალაქის – მცხეთის მიდამოებში, სამთავროს ეკლესიის გათხრებს აწარმოებს ავსტრიელი ბუნებისმეტყველი და არქეოლოგი ფრიდრიხ ბაიერნი. სერგი მესხს მხედველობიდან არ გამორჩენია ეს მომავლისათვის დიდმნიშვნელოვანი ფაქტი და წერილი უძღვნა არქეოლოგიურ გათხრებს. შეიძლება ითქვას, რომ წერილი საქართველოს არქეოლოგიის ისტორიაში საეტაპო მნიშვნელობის პუბლიცისტური ძეგლია და უპრიანი იქნება მისი გაცნობა მკითხველისათვის.

მეორე. სერგი მესხის წერილში წამოჭრილი პრობლემები აქტუალური რჩება დღესაც. ეს ეხება როგორც სამეცნიერო არქეოლოგიურ ტერმინოლოგიას (მისი შემუშავების უნებლიე ცდებს წერილში მრავლად ვაწყდებით), ისე მატერიალურ-ტექნიკურ პრობლემატიკას. განსაკუთრებით თანადროულად ეღერს სიტყვები: „რამდენი მცხეთისთანა ადგილები მოიპოვება ჩვენში და რამდენი ჩვენი ძველი ცხოვრების სასათლის მომუენი ხიბეები უნდა მოიძებნებოდეს ამ ადგილებში, რომ პატრონი იყოს?!"

და ბოლოს, მესამე. წერილი წარმოადგენს ქართული პუბლიცისტიკის ისტორიაში ერთ-ერთ პირველ მცდელობას პოპულარული ენით მიეტანოს საზოგადოებამდე საქართველოს არქეოლოგიის მიღწევები, პრობლემები, პერსპექტივები და ამით შეძლებისდაგვარად ხელი შეუწყოს არქეოლოგიური მეცნიერების წინსვლას. სამწუხაროდ, ქართული არქეოლოგია დღესაც მძიმე მდგომარეობაშია. ყურნალ „არგანუჯს" განზრახული აქვს დააარსოს ყოველწლიური რუბრიკა – „საველე არქეოლოგიური ექსპედიციები", რომელიც მიზნად ისახავს ქართული ჟურნალისტიკა ჩააყენოს ქართული არქეოლოგიის სამსახურში. ეს დონისძიება სწორედ XIX საუკუნის ქართველი საზოგადოებლების ანალოგიური მცდელობის (წინამდებარე წერილი მისი გამოხატულებაა) მოკრძალებული გაგრძელება იქნება.

ამჯერად კი გთავაზობთ წერილს:

ძველის ანაწილაშვილი

ერთი დრო იყო, როდესაც ადამიანს და ტყის მხეცს შუა ძალიან [illegible] ბრძოლა იყო. მხეცივით შიშველი და უსახლკარო კაცი დაიარებოდა ტყეში და [illegible] ხელს, შესჭამდა უმად და დაუმზადებლად. სწავლულების გამოკვლევით ამ დროიდამ დაწყებული დღემდი უკანასკნელ ასი ათას წელს მაინც გაუვლია. იმ დროს კაცმა არა თუ წერა-კითხვა არ იცოდა, ისეთი იარაღების გაკეთებაც არ იცოდა, რომლითაც ათასი მხეცისაგან თავის დაცვა და საზრდოს მოპოება შესძლებოდა. დროის განმავლობაში კაცმა ყველაფერი ესენი ცოტა-ცოტათი მოიგონა და შეიძინა. თავდაპირველად იმან გააკეთა ტალის იარაღი, შემდგომ ბრონზისა და დასასრულს რკინის იარაღიც შემოიღო. ვინც ახლანდელ რკინის მნიშვნელობას წარმოიდგენს ჩვენთვის, ის კარგათ მიხვდება რამდენ სარგებლობას მოუტანდა პირველ კაცებს სხვადასხვა რკინის იარაღი და რამდენათ გაუადვილებდა ის იმით ცხოვრებასა და საცხოვრებელ ღონისძიების მოპოებას.

ყველა ხალხები თავდაპირველათ ამისთანა ველურ მდგომარეობაში იყვნენ. რადგანაც წერა-კითხვა არ იცოდნენ, ცხადია, რომ იმათ თავისი ისტორიისა და ადგილ-მამულის მდებარეობის აღწერა არ შეეძლოთ. თუმც ეს ასეა, მაგრამ მგონი ერთ ხალხს ეერა ნახავთ თქვენ დედა-მიწის ზურგზე, რომლის წარსული ისტორია და ალიან-ჩალიანი სწავლულებმა თითქმის დაწვრილებით არ იცოდნენ, სწავლულებმა მონახეს ისეთი საშუალება, რომლის შემწეობით შეუძლიათ გამოიკვლიონ და დაწვრილებით შეიტყონ არა თუ წარსული მდგომარეობა რომლისამე ადგილისა, ყოფა-ცხოვრება, ჩვეულება, ხასიათი და თითქმის ყველა თავგადასავალი იმ ხალხისა, რომელიც ამ ალაგას ცხოვრობდა. ეს ღონისძიება, რომლითაც ახლანდელი სწავლულები ძველი ხალხების ყოფა-ცხოვრებას და ისტორიას ტყობულობენ, არის ენა და ძველი ნივთები, რომელსაც მიწაში ჩაფლულს, ან ზედ მიწაზე პოულობენ; როგორც ბუნების გამომძიებელს მხოლოდ ერთის კბილის საშუალებით შეუძლია გამოიცნოს რომელიმე ცხოველი და შეიტყოს იმის ხასიათი და ჩვეულება, ავრეთვე ფილოლოგს და ისტორიკოსს შეუძლია ერთი რომელიმე ძველი ნივთის, ან ერთი სიტყვის შემწეობით გამოიკვლიოს რა ხალხი ყოფილა ის ხალხი, რომელსაც ეს ნივთი ეკუთვნის, რა ჩვეულებები ჰქონია იმას, როგორც უცხოვრია, რომელ ხალხთან ჰქონია კავშირი და მისვლა-მოსვლა და სხვა ამგვარები.

აი, ამგვარი საშუალებით, სწავლულებმა შეიტყვეს იმ ძველი ხალხების ცხოვრება და ხასიათები, რომელთაც არავითარი ნაწერი მასალები არ დაუტოვებიათ თავიანთი ისტორიისათვის. ამ ჩემი მოკლეთ გამოთქმული აზრის დასამტკიცებლად, მე მოვიყვან აქ მცხეთის აკლდამების აღწერას, რომლიდამაც მკითხველი ცხადათ დაინახავს — თუ რა მნიშვნელობა აქვს ძველი ხალხებისაგან დანაშთენ ნივთებს, იმათი ისტორიული ცხოვრების გამოსაცნობათ.

ამ ხუთი-ექვსი წლის წინათ, როდესაც მცხეთიდან თფილისამდე შოსეს გზის გაყვანა დაიწყეს, მიწის თხრის დროს მუშები ხშირად პოულობდნენ მიწაში რაღაცნაირ ქვისა და აგურის ლოდებს და აქვე კაცის ძვლებსა და სხვადასხვა ნივთებს. მაგრამ ისინი ამ ნივთებს, რასაკვირველია, არავითარ ყურადღებას არ აქცევდნენ. თუ რასმე ძვირფას ნივთს ან ქვას ნახავდნენ, ჩაიდებდნენ ჯიბეში, თუ არა და ისროდნენ. ბოლოს ამ საგანს მმართველობამ მიაქცია ყურადღება და ერთი ძველის მცოდნე (არხეოლოგი) უფ. ბაიერნი გაგზავნა აქ, გზის მუშაობაზე, რომ თვალყური ედევნა და გამოეკვლია, თუ რასმე შესანიშნავს ნახავდა. უფ. ბაიერნმა ბევრი რამ ყურადღების ღირსი იპოვა იქ და ახლა გაზეთ „კავკაზში" დაბეჭდა შემოკლებით თავის გამოკვლევა და აღწერა ზოგიერთი ნივთები, რომელიც მცხეთის ახლო-მახლო ადგილებში ამოსჩხრიკა.*

ყველაზე მომეტებული ყურადღება უფ. ბაიერნმა მიაქცია იმ ქვის სასაფლაოებს, რომელიც აღმოჩნდა სამთავროს მონასტრის ახლოს, მიწაში. იმის სიტყვით, მარტო აქ, სამთავროს მონასტერთან გზის კეთების დროს მუშებს სამას სასაფლაოზე მეტი ამოუთხრიათ და იმ დროს აქ კაცი არ დასწრებია და ამიტომაც არაფერი აღმოჩენილა. ამას გარდა მტკვრის მარჯვენა ნაპირზე მცხეთიდამ თფილისამდე, დიღმის მინდორში, ვინ იცის რამდენი ასი საფლავი ამოთხრილა და

* აქ ს. მესხი გულისხმობს გაზეთ „კავკაზში" დაბეჭდილ წერილს — "Исследование древних гробниц близ д. Мцхета, произведенное г. Байерном летом 1871 года", "Кавказ", № 7, 8, 1872 (რედ.).

გამოუკვლევლათ დაუნგრეკიათო. უფ. ბაიერნს გაუთხრია სამთავროსთან რამდენიმე ალაგას მიწა და ცამეტი ქვის სამარხი უნახავს. ამ საფლავებში იმას უნახავს სხვათა შორის რალაც მინები. აქვე უპოვნია სახლის საძირკველი, რომელიც შესაძლებელია მინის ქარხანა ყოფილიყოსო.

სამთავროს გარდა უფ. ბაიერნს გამოურკვევია აგრეთვე მტკვრის მარცხენა ნაპირები და დარწმუნებულა, რომ სოფლებში: სარშინში, კოდმანში და არმაზის ციხესთან, ერთი სიტყვით მტკვრის ორივე ნაპირებზე თითქმის თფილისამდი აუარებელი საფლავებია და იმათში სხვა და სხვა ნივთები უნახავს იმას, რომლიდამაც ცხადია, რომ აქ ერთ დროს ხიცლებრივ ქალაქი.

უფ. ბაიერნის აღწერით, ყველა აქ ნახული საფლავები ერთმანეთს არ ჰგავს: ზოგი იმათგანი ნათალი ქვით არის აგებული და ზოგი აგურითა, ზოგი კიდევ დიდია და ზოგი პატარა; ზოგში რამდენიმე ნივთები და ფულები უნახავს და ზოგში კი მარტო კაცის ძვლები. უმეტესი ნაწილი ქვის აკლდამებისა მთელი ქვის ლოდებით არის თურმე აშენებული: ერთი დიდი ნათალი ქვა ძირათ არის, ოთხი გვერდებზე და მეექვსეც ზევით სახურავათ. როგორც სჩანს, მიცვალებულს კუბოში არ აწვენდნენ და პირდაპირ ამ აკლდამაში ჩაასვენებდნენ. შესანიშნავია, რომ თითქმის ყველა სახურავებს კაცის თავის ოდენა ნახვრეტი აქვს დატოვებული. უფ. ბაიერნის სიტყვით, ამისთანა ნახვრეტები ოსების, ხევსურების და ქისტების სასაფლაოშიც იპოება. ამ ნახვრეტებში ჭირისუფალი რასმე ჩაუგდებდა თურმე ძველათ მიცვალებულს, სულის საცხონებლათ; ზოგან კი ხალხის აზრით ამ ნახვრეტებს ის მნიშვნელობა აქვსთ, რომ სული თავისუფლათ ჩავიდეს და ამოვიდეს საფლავშიო. აგურის აკლდამები პატარ-პატარა თხელი აგურის ლოდებისაგან არის თურმე აგებული. ამისთანა საფლავები ბაიერნს ოჩამჩირეშიც უნახავს და აგრეთვე ქერჩშიც ბერძნების სასაფლაოზე.

თითოეულ დიდ აკლდამაში უფ. ბაიერნს ზოგან სამი, ოთხი და ზოგან ექვსი კაცის ძვლები უნახავს. ისეთი საფლავი, რომ ერთი კაცი ყოფილიყოს შიგ დამარხული, თითქმის სულ არ უპოვნია. პატარა აკლდამებში სამი ყმაწვილის მეტს არ აწვენდნენ, როგორც ნაშთი ძვლებიდანა სჩანს. დიდ აკლდამებში ბაიერნს არავითარი ძვირფასი ნივთი არ უნახავს. ყველა ეს გარემოებები მარწმუნებს მეო, ამბობს უფ. ბაიერნი, რომ როგორც სხვა ხალხებმაც იცოდნენ, ქართველებსაც ძველათ ჩვეულება ჰქონიათ, რომ თავიანთ კერპებს და გამოჩენილ კაცებს ადამიანებს მსხვერპლათ შესწირავდნენო.

ამ აკლდამებში ნახული ნივთები გვიჩვენებენ იმდროინდელ ქართველების ჩვეულებასა და ხასიათს, რომელსაც ეს აკლდამები ეკუთვნიან. იმ მიწებს გარდა, რომელიც ზევით მოვიხსენიეთ, უფ. ბაიერნმა ნახა აქ ნარდის ქვიშარი და კოჭი, რომელიც ნიშნავს, რომ ეს თავის შესაქცევი მაშინდელ დიდებსა და პატარებსაც სცოდნიათ. იპოვეს აგრეთვე სხვადასხვა ბრონზის, ვერცხლისა და ოქროს ქინძისთავები, ბეჭდები, რომელნიც იაგუნდით, მარჯნით და სხვა ძვირფასი ქვებით იყო გაკეთებული. ერთ აკლდამაში ბაიერნმა იპოვა ბრონზით გაკეთებული მედალიონი, რომელზედაც შვიდი ბერძნული ასო იყო ამოჭრილი. ეს გარემოება ცხადათ გვიჩვენებს, რომ მაშინდელ ქართველებს ბერძნებთან მისვლა-მოსვლა და კავშირი ჰქონიათ. შესანიშნავია, რომ ამ აკლდამებში არცერთი იარაღი არ უნახავთ; მხოლოდ ერთ ადგილას უპოვნიათ ხანჯლის ტარი (ხელის მოსაკიდებელი), მაგრამ ისიც შიგ აკლდამაში კი არა, ზევით იმის სახურავზე. „ეს გარემოება მით უფრო გასაკვირველი არისო, ამბობს უფ. ბაიერნი, რომ ქართველები ძველიდანვე ძალიან მეომარნი, მხნე და მაშასადამე იარაღის მოყვარული ხალხი იყო".

დასასრულ უფ. ბაიერნი ესე ათავებს თავის აღწერას: „ყველა ესენი, რაც მე მცხეთის არემარეში ვნახე, იმ ნივთებს რომ შევადაროთ, რომელიც სამხრეთ რუსეთისა და ყირიმის ბერძნების კოლონიაში ნახეს, — აღმოჩნდება, რომ მცხეთის აკლდამები იქაურ ბერძნების აკლდამებზე უფრო ძველია. მაშასადამე, უეჭველია, რომ ეს მცხეთის აკლდამები უკანასკნელი ათასი წლის წინეთ ქრისტეს შობამდი მაინც იყვნენ აგებულნი".

ამნაირათ, ჩვენ ვხედავთ, რომ უფ. ბაიერნის მცირე ადგილის გამოკვლევამ ცოტაოდენი სინათლე მაინც მოჰფინა იმ ჩვენ ისტორიულ ცხოვრებას, რომელზედაც დღემდი თითქმის სრულიათ არაფერი არა ვიცოდით რა. და რამდენი მცხეთისთანა ადგილები მოიპოება ჩვენში და რამდენი ჩვენი ძველი ცხოვრების სინათლის მომფენი ნივთები უნდა მოიძებნებოდეს ამ ადგილებში, რომ პატრონი იყოს?!

გაზ. „დროება", 1873 წ.

მასალა მოამზადა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ძველი ისტორიის განყოფილების ასპირანტმა

თეიმო ჯოჯუამ.

ახალი წიგნები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიკო ჯავახიშვილი. ქართული ფალერისტიკა (ჯილდოთმცოდნეობა). თბ. 1995.

ნიკო ჯავახიშვილი. ქართული ბონისტიკა (ქაღალდის საფასთმცოდნეობა). თბ. 1996.

„არტანუჯის" ბიბლიოთეკის სერიით გამოიცა ნიკო ჯავახიშვილის წიგნი — „ქართული ფალერისტიკა (ჯილდოთმცოდნეობა)". ნაშრომი წარმოადგენს ქართული ფალერისტიკის საკითხების მონოგრაფიულად შესწავლის პირველ ცდას. დასაბუთებულია, რომ ქართველებს გაგვაჩნია საკუთარი წარჩინების ნიშნების გარკვეული ტრადიცია. ამასთანავე დადგენილია, რომ XVIII საუკუნის ბოლოდან მოყოლებული არაერთხელ ყოფილა ქართულ ჯილდოთა დაწესების ცდა. ეროვნული ჯილდოთმცოდნეობის ძირითად საკითხებთან ერთად განხილულია ქართულ ფალერისტიკასთან დაკავშირებული ზოგიერთი პრობლემაც.

ნაშრომი წარმოადგენს ქართული ბონისტიკის საკითხების მონოგრაფიულად შესწავლის პირველ ცდას. სათანადო მასალებზე დაყრდნობით დასაბუთებულია, რომ საქართველოს საკუთარი ქაღალდის ფულის ნიშნებისა და ბონების საკმაოდ მდიდარი და საინტერესო ისტორია გააჩნია. მონოგრაფიაში შესწავლილია როგორც 1918-1924 წლებში, ისე 1993-1995 წლებში გამოშვებული ქართული ქაღალდის ფულადი ნიშნები და ბონები.

ვოჩა ჯაფარიძე. საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო XII-XIII ს-ის პირველ მესამედში. თბ. 1995.

ნაშრომში შესწავლილია XII და XIII საუკუნის პირველი მესამედის საქართველოს სამეფოსა და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყაროს (დიდ სელჩუკთა სახელმწიფო, ერაყის სელჩუკთა სასულტნო, თურქული საამიროები, რომლებიც წარმოიქმნა ჩრდილოეთ მესოპოტამიასა და სომხეთის ტერიტორიაზე სელჩუკთა სახელმწიფოს რღვევის პროცესში, აიუბიანთა და რუმის სასულტნოები) ურთიერთობების პოლიტიკური ასპექტები. განხილულია ქრისტიანული საქართველოსა და ისლამური სამყაროს იდეოლოგიური კონფრონტაციის საკითხები, დავით IV აღმაშენებლისა და მისი მემკვიდრეების რჯულშემწყნარებლური პოლიტიკა ქვეშევრდომ მუსლიმებისადმი, რამაც შესაძლებელი გახადა ორი დაპირისპირებული რელიგიის აღმსარებელთა მშვიდობიანი თანაარსებობა საქართველოს სამეფოში.

დავით ნინიძე.
„პროვინციის მეფეები“ XIV-XV საუკუნეების საქართველოში (ბაგრატიონთა საგვარეულოს ისტორიიდან).
თბ. 1995.

წიგნში განსაზღვრულია ტერმინის („პროვინციის მეფე“) რაობა, განხილულია „პროვინციის მეფეთა“ ინსტიტუტის წარმოშობის საკითხი. მიუხედავად იმისა, რომ ავტორის ძირითად მიზანს წარმოადგენს აღნიშნული ინსტიტუტის შესწავლა ქართული სახელმწიფოს ისტორიის სხვადასხვა ეტაპებზე, ეს არ ზღუდავს შემოტანილი საკითხების დიაპაზონს და კონკრეტული პრობლემები საერთო ისტორიულ ფონზეა განხილული. ხდება ამ ინსტიტუტის შეუსწავლელობის გამო ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებული ხარვეზების შევსება-შესწორება, ბევრი თითქოს უკვე დანახული პრობლემის თავიდან და ახალი კუთხით დასმა. XV საუკუნე ერთ-ერთი გადამწყვეტი მონაკვეთია საქართველოს ისტორიაში. აღნიშნული პერიოდის გააზრება „პროვინციის მეფეთა“ ინსტიტუტთან მიმართებაში ბევრს მატებს საქართველოს ერთიანი მონარქიის დაშლის პრობლემის შესწავლას, საინტერესოდ წარმოაჩენს „ბატონყმობის“ საკითხს საქართველოში, მისი გახანგრძლივების მიზეზებს, აგრეთვე ვასალიტეტს, იმუნიტეტსა და ფეოდალური საზოგადოებისათვის დამახასიათებელ მსგავს ზოგადთეორიულ პრობლემებს.

თედო დუნდუა.
საქართველო და დასავლეთი ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით. [წიგნი I]. თბ. 1995.

წიგნი წარმოადგენს დამხმარე სახელმძღვანელოს ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის. რამოდენიმე წელია თსუ ისტორიის ფაკულტეტზე იკითხება სპეცკურსი – „საქართველო და დასავლეთი ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით“, რამაც ამგვარი სახელმძღვანელოს შექმნის აუცილებლობა წარმოშვა. სახელმძღვანელოში, ერთის მხრივ, ამომწურავად არის წარმოდგენილი უკვე აპრობირებული დებულებები, ხოლო მეორეს მხრივ, შემოტანილია ავტორისეული ორიგინალური შეხედულებები. ძირითად ხაზს ევოლუციის ტრადიციული სქემების უკუგდება და მათ სანაცვლოდ ციკლური განვითარების მეთოდის, ე. წ. ციკლური დიალექტიკის დამკვიდრების ცდა წარმოადგენს.

თედო დუნდუა.
საქართველო და დასავლეთი ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით. [წიგნი II]. თბ. 1995.

II წიგნში შესწავლილია სამონეტო ემისიები XI-XV საუკუნეების საქართველოში, გარკვეულია მათი ხასიათი და მიმართებანი დასავლეთის ნუმიზმატიკურ ძეგლებთან. წარმოდგენილია საქართველოს ეკონომიკური სტრუქტურის ანალიზი. მოცემულია სახარების ნუმიზმატიკური ინტერპრეტაციის ევოლუციური სქემა.

„მეოცნებეები“ ქანდაკებები

თებე — ეგვიპტის დედაქალაქმა ახალი სამეფოს პერიოდში — პირამიდების ქვეყნის მრავალი საოცრება შემოინახა. ქალაქის აყვავება XVIII დინასტიის ფარაონების [illegible]

ჰიქსოსების ულლის გადაგდებამ ეგვიპტის პოლიტიკურ და განსაკუთრებით კულტურულ ცხოვრებას არნახული ენერგია შეიტანა. ფარაონების ძლევამოსილმა ლაშქრობებმა ეგვიპტე აქტიურად ჩართო ძველი სამყაროს საერთაშორისო მოვლენებში. ხმელთაშუა ზღვის აზიის სანაპიროები და ნილოსის ზემო წელი მისი მოხარკე გახდა. სიმდიდრემ ხელი შეუწყო ფარაონების ხუროთმოძღვრული გეგმების განხორციელებას.

XVIII დინასტიის ფარაონებმა, მომავალი საუკუნეების გასაოცრად, ნილოსის ნაპირებზე მრავლად აღმართეს ღვთაებებისა თუ საკუთარი ძლიერების დამადასტურებელი ქანდაკება-კოლოსები. ამ ეპოქის ძეგლები ძველი ეგვიპტის ხელოვნების ერთ-ერთი ნათელი საფეხურია. მშენებლობის გრანდიოზული მასშტაბები ეგვიპტელი ოსტატების საერთო დონეს ამაღლებდა. ფარაონებმა ხელოვნების მსახურებს ნიჭის გამოვლენის სრული თავისუფლება მისცეს.

დღეს უკვე XVIII დინასტიის ფარაონების ტაძრების, ობელისკების, ქანდაკება-კოლოსების უმრავლესობა განადგურებულია, მოღწეული — სერიოზულად დაზიანებული. ოდესღაც ზღაპრული დიდებიდან მხოლოდ აჩრდილიღაა დარჩენილი.

ქალაქი თებე (დღევანდელი ლუქსორი და კარნაკი) ეგვიპტური ხუროთმოძღვრების ბრწყინვალეს წარმოადგენდა (ეგვიპტურად ერქვა უასეტ, სახელწოდება თებე ბერძნულია). მის ხატს პირამიდების ქვეყნის ძლიერების ხანაში აღმართული მრავალი საოცრება ამშვენებდა. ქალაქში, ნილოსის მარჯვენა ნაპირზე, ამქვეყნიური ცხოვრება მიედინებოდა თავისი სიკეთე-სიბოროტით, მარცხენა ნაპირი კი ნეკროპოლს ჰქონდა დათმობილი. ძველ ეგვიპტელთა მიწიერი არსებობა ამ ორი პოლუსის სამსახურში იდგა. უპირატესობა საიქიო მარადიული ცხოვრების გალამაზებას ეთმობოდა.

ძველი სამეფოს ფარაონები (ძვ. წ. III ათასწლეული) თავიანთ მიწიერ დანიშნულებას პირამიდების მშენებლობაში ხედავდნენ. მაგრამ ნათელი გახდა, რომ იმქვეყნიური სამყაროს ბინადართა თავშესაფარს ეს გიგანტებიც ვერ იცავდნენ. მძარცველებმა ყველა პირამიდაში შეაღწიეს. ეგვიპტელი ხუროთმოძღვრები გაბუდმებით ეძებდნენ გზებს მარადისობაში გადასული ფარაონებისა და მათი სიმდიდრის დასაცავად.

ახალი სამეფოს ხანაში (ძვ. წ. XVI-XI სს.) თითქოს მოიძებნა გამოსავალი. მშენებლებმა არჩევანი მიწისქვეშა აკლდამების გამართვაზე შეაჩერეს. ფარაონებმა თებეს დასავლეთით, დეირ ელ-ბახრის კლდოვანი მთის ხეობებში მიწისქვეშა ლაბირინთების გამოკვეთა დაიწყეს. მთას პირამიდის როლი ეკისრებოდა. აღნიშნული ნეკროპოლი ცნობილია „მეფეთა ველის“ სახელწოდებით. მიწისქვეშა სამარხი არქიტექტურულად რთულ ნაგებობას წარმოადგენდა, შედგებოდა რამდენიმე ვრცელი დარბაზისაგან. ზოგიერთი დარბაზი კლდეში 100 მ სიღრმემდეც კი აღწევდა. ეგვიპტელ მშენებელთა სიფრთხილემ მაინც ვერ გააამართლა. ყაჩაღებმა ყველა მიწისქვეშა სამარხის შესასვლელი გზა გახსნეს და სიმდიდრეც გაიტაცეს. გაუძარცვავი გადარჩა მხოლოდ ტუტანხამონის აკლდამა, თუმცა ქურდების კვალი მასაც ემჩნევა.

ფარაონი იკრძალებოდა „მეფეთა ველზე“. მისი სულის მოსახსენებელ ტაძარს კი აგებდნენ ნილოსის ნაპირას. ტაძარი მეტად მრავალფეროვან და რთულ ნაგებობას წარმოადგენდა. ტაძრის გარშემო აღმართული იყო ფარაონისა და მისი მახლობლების ქანდაკებები.

* * *

ახალი სამეფოს ფარაონთა შორის მშენებლობის გრანდიოზული მასშტაბებით გამოირჩევა ამენხოტეპ III (ძვ. წ. 1411-1375). მის მრავალრიცხოვან ხუროთმოძღვართა შორის განსაკუთრებული დიდება მოიპოვა ფარაონის სახელის მოზიარემ — ამენხოტეპმა. ხუროთმოძღვრის მარავანდედი იმდენად დიდი იყო, რომ 12 საუკუნის შემდეგ, პტოლემაიოსების ეპოქაში, იგი ღმერთად შერაცხეს. ამენხოტეპი ფარაონის ყველა ჩანაფიქრს ხორცს ასხამდა. ეპოქის უმნიშვნელოვანესი ძეგლი გახდა ამენხოტეპ III-ის სულის მოსახსენებელი ტაძარი — ფარაონის სურვილისა და ხუროთმოძღვრის გენიის მწვერვალი. ამენხოტეპ III-ის სწრაფვას გრანდიოზულობისაკენ კარგად გადმოგვცემს

მისივე წარწერა მემნონიუმიდან: „აი, დაცხრა მისი უდიდებულესობის გული შეუდარებელი ძეგლის აღმართვით, რომლის მსგავსიც უხსოვარი დროიდან არ არსებულა... ძეგლი აუგო მან თავის მამას, ამონს, ორივე მიწის მეუფეს. აუგო დიდებული ტაძარი... სამარადისო სიმაგრე, ნაშენი თეთრი მტკიცე ქვის ქანებისაგან. შემოჭედილი ოქროთი, რომლის იატაკი შეამკო ვერცხლით... მეუფის ქანდაკებათა უმრავლესობა დააშშვენა ელეფანტინის გრანიტით, ყველგანაა საუცხოო და დიდებული ქვებით. ქანდაკებები აღმართულია საუკუნოდ, მათი სიმაღლე ადის ზეცაში, რომლის სხივებიც სახით მზის დისკოს მსგავსია."

ამონის ძე მიჩნეული ამენხოტეპ III ქვეშეერდომთაგან ღვთისმოსავ ფარაონისცემას მოითხოვდა. შემფისში მან ააგო ტაძარი, რომელშიც თაყვანს სცემდნენ, როგორც ღმერთს. თებეს ტაძარში დაცულია კედლის რელიეფი, სადაც გამოსახულია ამენხოტეპ III-ის დედის ამონთან იდუმალი შეუღლების, ფარაონის ჩასახვისა და დაბადების სცენა.

ამენხოტეპ III-ის სულის მოსახსენებელი ტაძარი რამდენიმე საუკუნის შემდეგ განადგურდა. დროს ფარაონის კოლოსებმა გაუძლეს.

ძვ. წ. 27 წელს ეგვიპტეში ძლიერი მიწისძვრა მოხდა. ქანდაკებები სტიქიურ უბედურებასაც გადაურჩნენ, მაგრამ ბუნების რისხვას უკვალოდ არ ჩაუვლია — ორივე სერიოზულად დაზიანდა. კოლოსებს გაუჩნდა ბზარები. მთლიან მასას მნიშვნელოვანი ნაწილი ჩამოემტვრა კიდეც.

ანტიკურმა სამყარომ გაუდაბურებული ტაძრის ნანგრევებთან მდგარი ქანდაკებები მითოლოგიურ სამოსელში გააბა და ეთიოპიის ლეგენდარული მეფის — მემნონის გამოსახულებად მიიჩნია. ბერძნული მითოლოგიით, მემნონი იყო განთიადის ქალღმერთის — ეოსის შვილი.

რეალური პიროვნების — ამენხოტეპ III-ის ქანდაკებებმა მითიური მემნონის სახელი დაიმკვიდრეს. მიწისძვრის შემდეგ შეამჩნიეს, რომ ჩრდილოეთით მდებარე ქანდაკება მზის სხივების შეხებისთანავე იწყებდა ხმის გამოცემას, თითქოს მეტყველებდა. ზოგიერთი ცნობით, გამოსცემდა მელოდიას, რამდენიმე მუსიკალური ინსტრუმენტის ერთობლივ ჰანგს. ანტიკურ ხანაში ირწმუნეს, რომ ქვაში განსახიერებული მემნონი, ყოველ დილით, მზის ამოსვლისას, ესალმებოდა თავის დედას — განთიადის ღვთაება ეოსს.

ამენხოტეპ III-ის ქანდაკებები ქ. თებეში (ე. წ. „მემნონის კოლოსები"). ძვ. წ. XV-XIV სს. ქანდაკებათა გიგანტური მასშტაბების უკეთ აღსაქმელად ფოტოსურათის მარცხენა ქვედა კუთხეში იხილეთ ადამიანის გამოსახულება.

ორ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში აოცებდა კოლოსი ადამიანებს. ბერძნულ-რომაული სამყაროს ყველა კუთხიდან მიემგზავრებოდნენ ეგვიპტეში, რათა მოესმინათ და ჩაეწერათ მემნონის შეხვედრის სცენა დედასთან. მნახველები განსხვავებული შინაარსის ტექსტებს ისმენდნენ. ერთს რომ კვნესა ესმოდა, მეორე სიმღერად აღიქამდა, მესამე კი უბრალოდ, საუბარს აფიქსირებდა. ხშირად მოსმენილი ტექსტი შემოქმედებით გადამუშავებას განიცდიდა. მსმენელები ქანდაკების კვარცხლბეკზე კვეთდნენ „მოსმენილს". კვარცხლბეკი დაიფარა უამრავი წარწერით. გაჩნდა მრავალი ლექსი და პოემა ბერძნულ და ლათინურ ენებზე. ყველა საკუთარი ინტუიციით ცდილობდა სინათლე შეეტანა საიდუმლოების გარკვევაში.

ქანდაკების „მოსმენის" მსურველთა რიცხვი დიდი იყო. საოცრებამ რომის იმპერატორებიც დააინტერესა. ახ. წ. II საუკუნეში იმპერატორი ადრიანე თებეს ეწვია „მომღერალი" და „მოლაპარაკე" ქანდაკების „მოსასმენად". 202 წელს იმპერატორმა სეპტიმიუს სევერუსმაც ინახულა მემნონი. განსაკუთრებული ყურადღების ნიშნად მან მოინდომა კოლოსის დაზიანებული ნაწილის აღდგენა. იმპერატორის სურვილი შეასრულეს, ჩამომტვრეული ადგილები შეავსეს. კოლოსს დაუბრუნდა ადრინდელი გარეგნობა. მაგრამ აღდგენილმა ქანდაკებამ „სიმღერისა" და „ლაპარაკის" უნარი დაკარგა. იგი სამუდამოდ დადუმდა. რესტავრაციამ დაარღვია მიწისძვრით გამოწვეული აკუსტიკური მიკროგარემო და კოლოსმაც დაკარგა ხმის გამოცემის უნარი.

* * *

ამენხოტეპ III-ის კოლოსები კვარციტის მონოლითისაგან არის გამოკვეთილი. ფარაონის მჯდომარე ფიგურის სიმაღლეა 21 მ. ვარაუდობენ, რომ თითოეულის წონა რამდენიმე ასეულ ტონას აღწევს. ქანდაკებისათვის გამოყენებული მინერალი გამოირჩევა მაღალი სიმტკიცით, ადვილი დასამუშავებელია, მაგრამ არაერთსახოვანია. იშვიათობაა მთლიანი ქანი გიგანტური ქანდაკებისათვის. მაგრამ ფარაონის რჩეულმა ოსტატმა ამენხოტეპმა გადალახა დაბრკოლება და თავისი მბრძანებლის საამებლად მიაკვლია შესაფერის მონოლითს.

დიდხანს მიმდინარეობდა კამათი იმის შესახებ, თუ რომელ კარიერზე გამოკვეთეს კოლოსები. ნილოსის ნაპირებზე ცნობილია მსგავსი ქვის რვა საბადო. ყველაზე ახლო კარიერი თებედან დაშორებულია 97 კილომეტრით, მდებარეობს ნილოსის ზემო დინებაზე, შორეული კი 676 კილომეტრით, მდებარეობს ნილოსის ზემო წელზე, კაიროსთან ახლოს, ჯებელ-ელ-ახმარში. მინერალების შემადგენლობა აბსოლუტურად იდენტური არ არის. როცა კოლოსების რომელიმე საბადოზე მიკუთვნების შესახებ მსჯელობდნენ, ჯებელ-ელ-ახმარის კარიერს ყველაზე ნაკლები მომხრე ჰყავდა. მათი აზრით, ეგვიპტელი ოსტატები მოერიდებოდნენ დინების საწინააღმდეგოდ გიგანტური მონოლითების გადატანას. შეეცდებოდნენ ქანდაკების გამოკვეთას ახლოს მდებარე კარიერზე.

უკანასკნელ ხანებში საიდუმლოს ფარდა აეხადა. კვარციტის ნიმუშების ნეიტრონულ-აქტივაციური ანალიზით დადასტურდა, რომ ამენხოტეპ III-ის კოლოსები ყველაზე შორეულ, ჯებელ-ელ-ახმარის კარიერზე გამოუქანდაკებიათ. დადგინდა იმ ქანის შემადგენლობაც, რომლითაც სეპტიმიუს სევერუსის ბრძანებით კოლოსს კოსმეტიკური პროცედურა ჩაუტარეს. რომაული პერიოდის მშენებლებს იმპერატორის სურვილის შესასრულებლად იოლი გზა აურჩევიათ და კვარციტი ახლოს მდებარე კარიერიდან მოუტანიათ.

საინტერესოა, როგორ ახერხებდნენ ძველი ეგვიპტელები გიგანტური მონოლითების გადაადგილებას. დადგენილია, რომ მათი მოძრაობაში მოყვანა მხოლოდ ადამიანის ძალის გამოყენებით ხდებოდა. სამშენებლო მასალისა და ქანდაკების დამუშავება და საბოლოო სახის მიცემა კარიერზე სრულდებოდა. დაახლოებით გამოთვლილია, რომ ამენხოტეპ III-ის კოლოსების გადაადგილება შეეძლო 15 ათას კაცს. ჩქელეთზე იყენებდნენ მარხილებს, მდინარეზე — ბარჟებს. იმავე გაანგარიშებით, ბარჟების მენიჩბეებად აუცილებელი იქნებოდა 2 ათასი კაცი.

კოლოსები სხვა კითხვებსაც აღძრავენ. რატომ მოიტანეს შორიდან, ნუთუ არ შეიძლებოდა ახლოს მდებარე საბადოებზე მსგავსი მონოლითის გამოკვეთა? როგორც ჩანს, ეს არ მოხერხდა, ხოლო ფარაონის სურვილი — გიგანტური ქანდაკება — გადაულახავი დაბრკოლება იყო. ეგვიპტის მბრძანებლებს სიშორე არ აშინებდათ. მათთვის მთავარი იყო მიზნის მიღწევა. ამ მიზანმა, ურიცხვი ადამიანის შრომის ფასად, შექმნა საოცრებათა რანგის კოლოსები.

ნინო ქავთარია
თსუ ხელოვნების ისტორიისა და თეორიის
კათედრის მეცნიერ-თანამშრომელი

ჯრუსვორდი



თარაზულად:

3. მეოთხე სოციალური ფენა იბერიაში სტრაბონის აღწერას მიხედვით.

4. ლიბარიტ IV ბაღვაში → ივანე → ლიბარიტი → ?

8.

(დღესასწაული)

10. ცხენსიმაგრე ისტორიულ ტაოში.

11. სომხური ბრიგანცია შუა საუკუნეებში.

12. „მესროპ მაშტოცის ცხოვრების“ ავტორი.

14. სოციალ-დემოკრატიული მიმართულების გაზეთი საქართველოში, გამოდიოდა 1908 წელს.

16. აღმოსავლეთ სლავების სახელმწიფოს ცენტრი IX-XII საუკუნეებში.

18.

19.

21. სოფელი იმერეთში, სადაც 1774 წელს ხოლომონ I-მა გაანადგურა ოსმალთა ლაშქარი.

22. ეგვიპტელთა ხანათლისა და სიკვდილის, შეცნაურებისა და ხელოვნების ქალღმერთი, ბურძგნთა ათენას მსგავსი.

24. იკერია, გრუჭია, გურჯისტანი. ...

26.

30.

31.

32.



33. ხევსისკობთსო კაიუდრა ისტორიულ ქლარჯეთში.

ᲛᲔᲝᲣᲚᲐᲓ:

1. მღვდელი, სულიერი მამა.

2. ჯადოსნური ბერსონაჟი ქართულ მითოლოგიაში, გრძნეული ფრინველი.

3. ბუდისტი ბერი.

5. ანდრია ბოგოლიუბსკის ვაჟი.

6.



(ოქროშქანდაკებელი)

7.

9.

(სახელი)

10.



13. მსხვილი მეჩამეულე, ბატონი.

15.

17. დიდმოხელე ქართველი მეფის სახახლეში, მეკარე, მეფისთვის მოხოვნელთა სურვილის მომხსენებელი, ამირეჯიბის ხელქვეითი.

19. ... და დანინა.

20. ეპოქა ჩვენი წელთაღრიცხვის მიჯნაზე.

21. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩი საფრანგეთში.

23. პოლიტიკური მოღვაწე XII საუკუნის საქართველოში, გიორგი III-ის მსახურთუხუცესი, წარმოშობლობით „უგვარო“.

25. ქუცნა ამირეჯიბის მეუღლე, ალექსანდრე I-ის გამზრდელი ბებია.

ᲨᲠᲘᲤᲢᲜᲣᲚᲘ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

27.

1110 — საქშვილდე
1115 — რუსთავი
1117 — ვიში
1118 — ?

28. წმინდა გამოსახულება, რომელსაც ქრისტიანები თაყვანს სცემენ.

29. შენობის მთავარი ნაწილისაგან გამოყოფილი ხიდრცე ეკლესიის შესახვლელში.

შემდგენელი **ᲠᲝᲑᲔᲠᲢ ᲙᲝᲩᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ**

ᲬᲘᲜᲐ ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ:



ერთმა დიდმოხელემ იმპერატორ ვესპასიანეს მოახსენა: „ჩემი ძმა მოგიყვანეთ, უმუშევრად არის და ძალიან გთხოვთ რომელიმე პროვინციის მმართველად დანიშნოთ.“ ვესპასიანემ იცოდა, რომ ამ მოხელეს ძმა არ ჰყავდა, ამიტომაც უთხრა: შენ ცოტა ხანს გარეთ გადი და შენი ძმა შემოაგზავნეთ. როგორც კი უცნობი შეავიდა, ვესპასიანემ უჩურჩულა: რამდენსაც მაგ მოხელეს დაპირდი ადგილისათვის, ის თანხა მე მომეცი და ახლავე დაგნიშნავ მაგ თანამდებობაზეო. მთხოვნელმა იქვე ჩაუთვალა ფული და შეპირებული თანამდებობაც მიიღო, ხოლო თავის მოხელეს ვესპასიანემ უთხრა: ეგ კაცი ჩემი ძმა აღმოჩნდა, შენ სხვა ძმა მოძებნეთ.

☺

ერთხელ ვერსალში მიწვეულმა აბატმა ბოკემ ქადაგებისას მოურიდებლად გაიცხა ძალიან წრის გარყვნილი ცხოვრება. საფრანგეთის მეფე ლუი XIII, რომელიც ქადაგებას ესწრებოდა, კარდინალ რიშელიეს მიუბრუნდა და ეუბნება:

— ვგონებ, ამ მქადაგებელმა ბლომად კენჭები გადმოყარა თქვენი ბოსტნისკენ.

— დიახ, თქვენო უდიდებულესობავ, — მიუგო რიშელიემ, — მაგრამ ისე მაგრად ისვრის, რომ ჩემი ბოსტნის ნაცვლად პირდაპირ ვერსალის ბაღში ცვივა ეგ კენჭები.

☺

ერთმა ახალგაზრდამ მუზეუმში ჩასაბარებლად წარმოადგინა დემეტრე თავდადებულის სიგელი. დემეტრე II-ის მიერ გაცემული არცერთ დოკუმენტს ჩვენამდე არ მოუღწევია და ცხადია, აღნიშნულმა სიგელმა მუზეუმის თანამშრომლთა დიდი აღფრთოვანება გამოიწვია. სიგელისათვის ახალგაზრდა საკმაოდ დიდ თანხას ითხოვდა.

გახარებული სპეციალისტები დოკუმენტს ამოწმებენ. ყველაფერი — პალეოგრაფიული ნიშნები, საწერი მასალა, ტექსტის ენა, საბუთის შინაარსი — ნათლად მეტყველებს, რომ სიგელი ნამდვილად XIII საუკუნის II ნახევრის ძეგლია, დემეტრე II-ის მიერ გაცემული. საეჭვო არაფერია.

ოთახში ცნობილი მეცნიერი დავით კაპანაძე შემოვიდა. დახედა თუ არა საბუთს, გაელიმა.

— სიგელი ყალბია! — თქვა მან.

— რატომ? — გაიოცეს თანამშრომლებმა.

— დახედეთ, ხელს აწერს „**დემეტრე თავდადებული**“.



ძველი სულხანიშვილი

ბლეგნეე ლენგრენი (ბოლიერეთი)

ალბერტ ალბერტ

კუტუზოვი:
— დიდი სურვილი მაქვს საქართველო მოვინახულო.

ბაგრატიონი:
— თქვენი ნებაა, ბატონო, მაგრამ წინასწარ გირჩევთ ფსევდონიმი აირჩიოთ.

ისტორიკოსები მეგობრულ შარჟებში

მხატვრები: ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲙᲣᲪᲘᲐ,
ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲮᲣᲚᲮᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲯᲝᲑᲐᲫᲔ

ᲚᲐᲚᲘ ᲯᲐᲕᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲘᲣᲠᲘ ᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲘᲫᲔ

ᲜᲝᲓᲐᲠ ᲨᲝᲨᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ARTANUJI

The scientific-popular journal of young historians

Georgia, Tbilisi, № 5, 1996

გარეკანის პირველ გვერდზე: საქართველოს სახელმწიფო გერბი (XVIII-XIX საუკუნეთა მიჯნა)
გარეკანის ბოლო გვერდზე: ჯვრის ორნამენტი იშხნის ტაძრიდან.